პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიურად მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34,
ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

კვირა, 17 ნოემბერი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 265 (2611)

დღიური

- ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება ლიტვის საგარეო პოლიტიკის შესახებ
- საფრანგეთის ფოლადის ჩამომსხმელ ქარხნის მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა
- ინგლისის საწინააღმდეგო მოძრაობა სამხრეთ-აფრიკაში
- პოლონეთში იზრდება უმუშევართა რიცხვი
- დანციგის სენატმა დანციგის ტერიტორიიდან გადაასახლა თეთრგვარდიელი გენერლები

მრისხანე გაფრთხილება მემარჯვენეებს

მემარჯვენეთა წინააღმდეგ ბრძოლა თავის გადამწყვეტ მომენტს უახლოვდება. პარტიული მასები, ლენინური პარტიის მოწინავე პროლეტარული კადრები უყოყმანოთ მხარს უჭერენ პარტიას ამ ბრძოლაში. უკანასკნელი დღეების ამბებმა ცხადყვეს მთელი ჩვენი პარტიის ერთსულოვნება მემარჯვენე ოპოზიციის წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღების აუცილებლობის შესახებ. საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან მოდის ცნობები, სადაც ხაზგასმით აღნიშნულია კატეგორიული მოთხოვნა, რომ ბოლო მოეღოს ბუხარინის და მის მომხრეთა ანტიპარტიულ მუშაობას, რომ პარტია უნდა მოეპყრას მემარჯვენე ოპოზიციონერებს, რომლებიც არ დაემორჩილებიან მას, ასეთ შემთხვევებში ჩვეული სისასტიკით. მუშა ბოლშევიკების ხმა—მთელი პარტიის ნება სურვილია და ჩვენი პარტიის უმაღლესი ორგანოები სათანადო დასკვნებს გააკეთებენ პარტიის მთლიანობის შესანარჩუნებლად, სოციალისტურ მშენებლობის ხელისშემშლელ, მოწინააღმდეგე კლასიურ პოზიციაზე დამდგარ თითო ოროლა ელემენტების თუ ცალკე ჯგუფების წინააღმდეგ საჭირო ღონისძიებათა მიღებით.

პარტიულობისა და პარტიული დისციპლინის უარყოფა — იგივეა, რაც პარტიის სრული განიარაღება ბურჟუაზიის სასარგებლოდ, — ამბობს ლენინი. მემარჯვენე ოპოზიცია კი, პირველ რიგში, სწორედ ამ უმთავრეს პირობას ივიწყებს, როდესაც აწყობს ფრაქციას, და ყოველმხრივ ხელს უშლის პარტიის გენერალური ხაზის ცხოვრებაში გატარებას. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ მემარჯვენეები არ კმაყოფილდებიან თავიანთ შეხედულებათა ჩვეულებრივი დაცვით, არამედ მიმართავენ ბრძოლის სულ სხვაგვარ საშუალებებს, ადგებიან იმ გზას, რომელსაც ლენინის სიცოცხლეში დაადგა ე. წ. „მუშათა ოპოზიცია" (მიიყვანა რა იგი აშკარა კონტრ - რევოლუციამდე) და შემდეგ მეტად სამარცხვინოთ და უშედეგოთ — ტროცკისტული ოპოზიცია.

მემარჯვენე ოპოზიცია, მსგავსად ჩვენს პარტიაში სხვადასხვა დროს წარმოშობილ ანტიპარტიულ დაჯგუფებათა, იჩენს არა გულწრფელობას და ამავე დროს უპრინციპობის ჭაობში ეფლობა. არაგულწრფელობათ და უპრინციპობათ გაგებულ უნდა იქნას ის გარემოება, რომ მემარჯვენეები ერთის მხრივ სიტყვით, თვალთმაქცურად მხარს უჭერენ ხუთწლედ გეგმას, ხოლო საქმით ნამდვილად ყოველ ფეხის ნაბიჯზე სახელს უტეხენ მას, ხელს უშლიან სოციალიზმის მშენებლობის ამ ფართო პროგრამის განხორციელებას.

მემარჯვენეები სიტყვით დღეს იძულებული არიან მხარი დაუჭირონ ხუთწლიან გეგმას, რადგან ხუთწლედის პირველმა წელმა გაანიავა და მტვრად აქცია მემარჯვენეთა ყოველგვარი წინასწარმეტყველებანი. კერძოთ „ხუთწლიანი გეგმის ნავარაუდევ რაოდენობას განვლილ წელს გადავაჭარბეთ, ხოლო ხუთწლიანი გეგმის **ოპტიმალური ვარიანტი**, რომელსაც ბურჟუაზიული კალმოსნები „მიუწდომელ ფანტასტიკად" სთვლიდნენ და რომელიც შიშს გვრიდა ჩვენს მემარჯვენე ოპორტუნისტებს (ბუხარინის ჯგუფი), ნამდვილად გადაიქცა ხუთწლიანი გეგმის **მინიმალურ ვარიანტათ**". (სტალინი).

ამის მიუხედავად მემარჯვენეები მაინც განაგრძობენ ბრძოლას პარტიის სამეურნეო პოლიტიკის წინააღმდეგ. ისინი სწერენ დეკლარაციებს, აწყობენ დემაგოგიურ გამოსვლებს, უსირცხვილოთ იცავენ მემარჯვენე იდეოლოგიის მეთაურებს და მემარჯვენეობას სწამებენ თვით პარტიას.

ყოვლად უსინდისო ცილისწამებას წარმოადგენს მემარჯვენე მატვეევის გამოსვლა ამ დღეებში მოსკოვში, უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებელთა პარტკონფერენციაზე ჩვენი პარტიისა და მისი ხელმძღვანელ ორგანოების წინააღმდეგ. ოპორტუნისტ მატვეევის აზრით, მემარჯვენე გადახრის საშიშროება მართლაც არსებობს, მაგრამ ამ გადახრის მატარებელია, არა ბუხარინის ჯგუფი, არამედ ის, ვინც ყოველგან გაჰყვირის მემარჯვენე საშიშროებაზე და მიღწევებზეო.

მემარჯვენე მატვეევი ამგვარად კვალ და კვალ მისდევს ტროცკის, რომელიც ასევე თავს ახვევდა პარტიას საკუთარ ცოდვებს, პროლეტარული რევოლუციის მოღალატე ტროცკი ებრძოდა ოქტომბრის რევოლუციის მოღალატეებს ე. ი. „ტერმიდორიანობის" ელემენტებს არა თავის ჯგუფში, არა საკუთარ პოზიციაში, არამედ ლენინურ პარტიაში, პარტიის მიერ დასახულ ქვეყნის განვითარების გენერალურ პროგრამაში. მემარჯვენეების აზრით მემარჯვენეობა იმაში კი არ არის, რომ ბუხარინი და მისი თანამოაზრენი დასცინიან კოლმეურნეობებს, მოითხოვენ კულაკის დაცვას, უარყოფენ სოციალიზმის ერთიად-ერთ საიმედო საძირკველს — მსხვილი ინდუსტრიის განვითარებასა და სხვას, არამედ თითქოსდა მაში, რომ პარტია ებრძვის ბუხარინს, ყველგან „გაჰყვირის" მიღწევებზე, სოციალისტურ მშენებლობის გამარჯვებებზე, კულაკის ეკონომიურად დაძლევაზე და სოფლად კოლექტივიზაციის ფართოდ გაშლაზე. პარტიისათვის ადვილია მემარჯვენეთა ასეთ უსუსურ არგუმენტების წინააღმდეგ ბრძოლა. ის წარმატებით შეასრულებს კიდევაც ბუხარინის ჯგუფის ანტილენინურ, ჩვენი ქვეყნის ტერმიდორიანულ ელემენტებისათვის მისაღებ იდეოლოგიის ნამდვილი ბუნების გამოაშკარავებას და მის გაცნობას მშრომელთა ფართო მასებისათვის. მემარჯვენეთა უგუნური წამოძახილი იმის შესახებ, რომ ბუხარინი კი არა, არამედ ვითომდა პარტია ატარებს მემარჯვენე ხაზს, ვერავის შეიყვანს შეცდომაში და არც ერთი მუშა და მშრომელი გლეხი არ დაიჯერებს მემარჯვენე დემაგოგების ასეთ ბრიყვულ, სულელურ აზრს.

მემარჯვენეები, ტროცკის მსგავსად, საბოლოოდ ემშვიდობებიან ლენინს და ჩვენი ქვეყნის განვითარების ბურჟუაზიული თეორიის საფუძველზე დგებიან. მემარჯვენეები ამტკიცებდნენ, რომ სოფლის კოლექტივიზაცია და მსხვილი სამანქანო ტეხნიკის შეტანა წვრილ გლეხურ მეურნეობაში დააფრთხობს გლეხობას, პირველ რიგში საშუალო გლეხობას, რომელიც ვითომდა ზურგს შეაქცევს პროლეტარულ სახელმწიფოს პოლიტიკას. მემარჯვენეებმა სრულიად დაივიწყეს ამხ. ლენინი და უარყვეს ის განუზომელი მნიშვნელობა, რომელსაც მიაკუთვნებდა ის სოფლის მეურნეობის ტეხნიკურ რეკონსტრუქციას. **„ჩვენ რომ შეგვეძლოს ხვალ სოფლისათვის ასი ათას პირველ ხარისხოვან ტრაქტორის მიწოდება** — ამბობდა ლენინი მე-8 პარტიულ ყრილობაზე 1919 წელს — **ამ ტრაქტორების მომარაგება ბენზინით, მათი უზრუნველყოფა მემანქანებით (თქვენ საუცხოვოთ იცით, რომ ჯერ-ჯერობით — ეს ფანტაზიაა), საშუალო გლეხი იტყოდა, „მე ვემხრობი კომუნიას" (ე. ი. კომუნიზმს)"**, დღეს კი ეს „ფანტაზია", შეიძლება ითქვას, სინამდვილეთ იქცა. საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობაში უკვე მუშაობს თითქმის ასი ათასამდე ტრაქტორი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ხოლო ხუთი წლის ბოლოს მარტო ტრაქტორების რიცხვი 400 ათასამდე გაიზრდება. მემარჯვენეებს ვერ შეუგნიათ, რომ ტრაქტორების ასეთი მასიური გავრცელება სოფლად, ლენინის აზრის ბრწყინვალე გამარჯვებაა.

ხუთწლედის პირველმა წელმა იოტის ოდენადაც არ გაამართლა მემარჯვენეთა შიში, რომ საშუალო გლეხობა ვითომდა წინაღუდგებოდა საბჭოთა ხელისუფლების სოციალისტურ ღონისძიებებს სოფლად, რომ კოლექტიურ მეურნეობის განვითარება საშუალო გლეხს ჩამოაცილებდა მუშათა კლასს და კულაკს დაუახლოვებდა. კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობამ, და სოფლად ტრაქტორების გავრცელებამ პირიქით, კიდევ ზედმეტად დაადასტურა ლენინის აზრი იმის შესახებ, რომ საშუალო გლეხი საბოლოოდ დადგება სოციალიზმის მხარეზე, რომ ის შეიქმნება სოციალისტური მეურნეობის დამცველი სოფლად. „კოლმეურნეობებში შედის უკვე გლეხობა არა ცალკე ჯგუფებად, როგორც ამას ჰქონდა ადგილი წარსულში, არამედ მთელი თემებით, სოფლებით, ოლქებით, ეს იმას ნიშნავს, რომ **კოლმეურნეობებში შევიდა საშუალო გლეხი.** ამაშია სოფლის მეურნეობაში მომხდარ გარდატეხის ის საფუძველი, რაც საბჭოთა ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენს". (სტალინი).

მემარჯვენეები კი მუდამ ხელს უშლიდნენ პარტიას ამ უდიდესი გამარჯვების მიღწევაში, ისინი სახელს უტეხდნენ სოფლად მეურნეობის სოციალისტური ფორმების გავრცელებას და ეხლაც აგრძელებენ თავიანთ მუშაობას, რომელიც მიმართულია მსხვილ სოციალისტური მიწათმოქმედების შექმნის წინააღმდეგ, ისინი ცდილობენ პარტიის ბრძოლის შესუსტებას, რომელიც მიმართულია კაპიტალისტური ელემენტების დასაძლევად და სოფლის მეურნეობის გარდაქმნის ლენინური კოოპერატიული გეგმის შეცვლას ბუხარინის წვრილბურჟუაზიული თეორიით.

პარტიული მასები ამჩნევენ ამას, ისინი საუკეთესოთ მიხვდნენ თუ რაოდენ საშიშროებას უქადის ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართ მემარჯვენეთა პროგრამის გამარჯვება და ამიტომ სვამენ ისინი კატეგორიულად საკითხს პარტიის ცეკას წინაშე, — **რათა მან მიიღოს ორგანიზაციული ღონისძიებანი ბუხარინის ჯგუფის წინააღმდეგ.**

თბილისის და საქართველოს სხვა სამრეწველო ცენტრების მუშა ბოლშევიკები, საბჭოთა კავშირის ყველა მოწინავე პროლეტარულ ორგანიზაციებთან ერთად, გარკვეულად მოითხოვენ, რათა საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უახლოეს პლენუმზე დასმულ იქნას საკითხი თეორეტიულად და პრაქტიკულად გაკოტრებულ ბუხარინის მიმართ ისეთივე ზომების გამოყენებისა, როგორისთვისაც არა ერთხელ მიუმართავს მას ანტიპარტიული ბრძოლის გზაზე დამდგარ ელემენტების დასამორჩილებლად.

მემარჯვენე ოპოზიცია, თუ ის კიდევ გაჰყვა ფრაქციული ბრძოლის გზას, შექმნის იმ მდგომარეობას, როდესაც საკითხი დაისმება მემარჯვენეთა ცალკე ბელადების არა მარტო ხელმძღვანელ ორგანოებიდან გამოყვანის შესახებ, არამედ შეუძლებლად იქნება აღიარებული საერთოდ მემარჯვენე ოპოზიციისადმი მომხრეობის შეთავსება ლენინურ პარტიაში ყოფნასთან.

წებელდის განაჩენი და გაკვეთილი

წებელდის კულაკების საქმე, რომელიც ერთი თვე გრძელდებოდა, უკვე დასრულდა. პროლეტარულმა სასამართლომ ღირსეული სასჯელი გამოუტანა საბჭოთა აპარატში შემომძვრალ კლასობრივ მტერს და მის აგენტებს, რომელნიც მთელი წლების განმავლობაში განუკითხავად სჩადიოდნენ მთელ რიგ ამაშფოთებელ ბოროტმოქმედებას მშრომელთა ხელისუფლების წინააღმდეგ. 44 ბრალდებულისაგან ათს სასამართლომ გადაუწყვიტა სასჯელის უმაღლესი ფორმა—დახვრეტა, ცამეტს—ათი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით და სხვა დამატებითი სასჯელით, კულაკური ორგანიზაციის მეორეხარისხოვან წევრებსაც შესაფერი სასჯელი მიეზღო.

ეჭვი არ არის, სასამართლოს განაჩენს წებელდის კულაკების საქმეზე დიდი კმაყოფილებით შეხვდება ფართო მშრომელი მასები. მთელი ერთი თვის განმავლობაში სასამართლოს წინაშე გადაიშალა წებელდის კულაკების დაუსჯელი ბატონ-პატრონობის აღმაშფოთებელი სურათი. ნათესაურად და ქონებრივად დაკავშირებულ კულაკების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი მთელი წლების განმავლობაში განაგებდა წებელდის რაიონის სვე-ბედს. კლასობრივი მტრები წებელდაში მოკალათებული იყო საპასუხისმგებლო პოსტებზე; ისინი გარშემორტყმული იყვნენ თავიანთ კაცებით, არამზადებითა და ბნელი კომბინატორების ხროვით. ასეთ პირობებში წებელდაში საბჭოთა კანონების აშკარად ფეხქვეშ გათელვასთან ერთად, ნოყიერი ნიადაგი მოიპოვა ყოველი ჯურის ბოროტმოქმედებამ. სახელმწიფო ქონების მფლანგველობა, მკვლელობა იმ ცალკე მოწინავე პირებისა, რომელნიც ხმას აღიმაღლებდნენ კულაკების წრეგადასულ თავხედობის წინააღმდეგ, ზემდგომ ორგანოების ცალკე მუშაკთა მოსყიდვა, მოურიდებელი სპეკულაცია თამბაქოზე, თამბაქოს ფარდულებისათვის ცეცხლის წაკიდება, კულაკურ მოსახლეობის აშკარა მფარველობა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაწერის დროს და, საზოგადოდ, კულაკობასთან ბრძოლის სრულიად მიჩქმალვა. ამგვარი იყო, მოკლედ, წებელდის კულაკების მავნებლობა რამდენიმე წლის განმავლობაში.

წებელდის გაკვეთილი იმის ზედმეტი და საუკეთესო მაჩვენებელია, თუ რამდენად ფართო, რამდენად მწვავე ხასიათს ღებულობს სოფლად კლასობრივი ბრძოლა. წებელდის იერი, რომელიც მთელი თავისი სისაძაგლით გადმოინთხა სასამართლოს პროცესზე, შეიძლება ჩაისახოს და განვითარდეს იქ, სადაც ადგილობრივი პარტიული მუშაკები ჰკარგავენ სწორ კლასობრივ გზას და პრაქტიკულ მუშაობის დროს ეფლობიან მემარჯვენე ოპორტუნისტულ ჭაობში. სხვანაირად შეუძლებელია ისეთი მდგომარეობა, როცა უპასუხისმგებლობით გათავხედებული კლასობრივი მტრები წლების განმავლობაში დაუსჯელად თარეშობენ მთელ რაიონში, როგორც ამას წებელდაში ჰქონდა ადგილი. საქართველოს კომპარტიის ცეკას სპეციალურ დადგენილებაში აფხაზეთის პარტორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ, აღნიშნულია, რომ ადგილობრივ პარტორგანიზაციის ცალკე მუშაკების პრაქტიკულ საქმიანობაში ადგილი ჰქონდა მემარჯვენე ოპორტუნისტულ გადახრის აშკარა ნიშნებს. წებელდის საქმე ცეკას ამ დებულების ერთ-ერთ ზედმეტ დამამტკიცებელ მჭერმეტყველურ ფაქტს წარმოადგენს.

აქედან სათანადო დასკვნა უნდა გამოიტანოს მთელ ჩვენმა პარტიულ ორგანიზაციებმა. წებელდა საგულისხმო გაფრთხილებაა ყველა ადგილობ. მუშაკისათვის. კლასობრივი მტერი ყოველ საშუალებას მიმართავს, რომ თავის გავლენის ქვეშ მოაქციოს საბჭოთა აპარატის ესა თუ ის მუშაკი და ზოგჯერ თვით აპარატიც. კლასობრივი მტერი ხშირად აჭერხებს ჩვენს ორგანოებში შეძრომას და შიგნიდან აწარმოებს დამრღვევ მუშაობას. დაბოლოს, ზოგიერთ შემთხვევაში, ენერგიული შეტევით შევიწროვებული კულაკებისა და ჩარჩ-ვაჭრების ესა თუ ის წარმომადგენელნი ყაჩაღურად ესხმიან თავს მოწინავე მუშაკებს სოფლად, სიცოცხლეს ასალმებენ მათ, სწვავენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ქონებას და სხვ. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ის ბანდიტური თავდასხმა კოლექტივ „მტევანზე", რომელსაც ამ დღეებში ადგილი ჰქონდა კახეთში: თავზე ხელაღებულ კულაკებმა ვერაგულად დახოცეს კოლექტივის ოთხი წევრი და შემდეგ ცეცხლს მისცეს დახოცილთა გვამები და კოლექტივის ქონება.

გათავხედებულ კლასობრივ მტრებს უნდა ვუპასუხოთ გაძლიერებული იერიშით. განაჩენი წებელდის საქმეზე ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს, რომ პროლეტარულ ხელისუფლებამ იცის კლასობრივ მტრებისათვის საკადრისი პასუხის გაცემა. მაგრამ არ კმარა მარტო გადამწყვეტი დამსჯელი ღონისძიებების მიღება. ამასთან ერთად ფართოდ უნდა გავშალოთ ბრძოლა მემარჯვენე ოპორტუნისტულ იდეოლოგიის წინააღმდეგ. ულმობლად უნდა აღვკვეთოთ მემარჯვენე გადახრის პრაქტიკა ცალკე გადაგვარებულ პარტიულ მუშაკთა საქმიანობაში.

პროლეტარულ სასამართლოს განაჩენი წებელდის კულაკების საქმეზე მრისხანე გაფრთხილებას წარმოადგენს ყველა იმათთვის, ვინც აშკარად თუ ფარულად ებრძვის საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებს ახალი ქვეყნის მშენებლობის საქმეში. პროლეტარულ დიქტატურის რკინის ხელი მთელი ულმობელობით თავს დაატყდება ყველა მათ, ვინც წებელდის კულაკების მსგავსათ შეეცდება წინააღუდგეს ჩვენს შეუჩერებელ წინსვლას სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის გზით.

ფინ-იუი-სიანმა დაამარცხა ნანკინის ჯარები

ხუბეის პროვინციაში ჯარი აჯანყდა ნანკინის წინააღმდეგ

ფინ-იუი-სიანი მიიწევს ქალაქ სიანიანისაკენ.—სისხლისმღვრელი ბრძოლა ხენანის პროვინციაში

შეკითხვები თემთა პალატაში ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის აღდგენის გარშემო

ნანკინის ჯარების დამარცხება

შანხაი, 15 ნოემბერი. მართლდება ცნობა იმის შესახებ, რომ გომინდუნის რაზმებმა ქალაქი ლაოხეკოუ (ხუბეის პროვინცია) დაიჭირეს. ნანკინელებს მათთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. აქედან გომინძუნის ჯარი მიიწევს ქალაქ სიანინსკენ, სადაც ნანკინელები ამაგრებენ თავიანთ პოზიციებს. ქალაქ იანინფუს (ხენანი) ირგვლივ გრძელდება სისხლისმღვრელი ბრძოლა. მსხვერპლის რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ჩინეთის წითელმა ჯვარმა ვეღარ შესძლო სათანადო დახმარება გაეწია დაჭრილებისათვის. ბრძოლაში დიდ მონაწილეობას იღებენ გომინძუნის აეროპლანები, რომლებმაც ამ რამოდენიმე ხნის წინად ყუმბარები დაუშინეს ჩან კაი-შის და ტან შენ-ჩის მატარებლებს.

სიმბუნ რენგოს სააგენტო იუწყება, რომ ხუბეის პროვინციის დასავლეთ ნაწილში მოხდა ნანკინის ჯარის ახალი აჯანყება (ადს).

ინგლის-საბჭ. კავშირის ურთიერთობა

საქმიანი კავშირის აღდგენა

მინსკი, 16 ნოემბერი. ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის აღდგენასთან დაკავშირებით, **ბელორუსიის სახელმწიფო ვაჭრობამ აღადგინა საქმიანი ურთიერთობა ინგლისურ ფირმებთან.** ინგლისიდან ბელორუსიაში უკვე ჩამოაქვთ მანქანების სხვადასხვა ნაწილები და იარაღი (ადს).

შეკითხვები თემთა პალატაში

ლონდონი, 15 ნოემბერი. რეიტერი იუწყება, რომ კონსერვატორი დეპუტატი პოუნოლი შეეკითხა ჰენდერსონს —თვალყურს ადევნებს თუ არა იგი იმას, რომ იმ საბჭოთა მოქალაქეების რიცხვი, რომელნიც ისარგებლებენ დიპლომატიური პრივილეგიებით ინგლისში არ აღემატებოდეს ინგლისის იმ მოქალაქეთა რიცხვს, რომელნიც ისარგებლებენ დიპლომატიური პრივილეგიებით საბჭოთა კავშირში. ჰენდერსონმა უპასუხა: „დიახ, მე ანგარიშს გავუწევ ამასო".

კონსერვატორი **კრუკშენკი** შეეკითხა ჰენდერსონს—გამოვა თუ არა იგი მომავალ მოლაპარაკებაში საბჭოთა მთავრობასთან რომელიმე დომინიონის მთავრობის სახელით და შეუძლია თუ არა ჰენდერსონს მისცეს თემთა პალატას ინფორმაცია მოლაპარაკების შესახებ ცალკე დომინიონებსა და საბჭოთა კავშირს შორის,

ჰენდერსონმა უპასუხა:

„იმ დისკუსიის პროცედურის საკითხს, რომელიც შეიძლება გაიმართოს დომინიონების მთავრობებსა და საბჭოთა მთავრობას შორის, განიხილავენ თვით დომინიონების მთავრობები. ყველა ამ მთავრობებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან დასდონ შეთანხმება ურთიერთ გარანტიების შესახებ პროპაგანდის საკითხის ირგვლივ, იმ შეთანხმების მსგავსად, რომელიც დასდო ინგლისის მთავრობამ. მაგრამ არც ერთი დომინიონის მთავრობას არ გამოუთქვამს არავითარი სურვილი, რომ ინგლისის მთავრობამ მისი მინდობილობით იმოქმედოს მოლაპარაკების ირგვლივ ან რაიმე სხვა საკითხში".

კრუკშენკმა ჰკითხა: „ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ დომინიონების მთავრობები არ იწონებენ ინგლისის მთავრობის პოლიტიკასო".

ჰენდერსონმა უპასუხა:

„არა, პირიქით", (ტაში მუშათა პარტიის სკამებზე).

მთავრობას შეეკითხნენ—განზრახული აქვს თუ არა მას გამოაქვეყნოს დომინიონების მთავრობებთან გამართული მიწერ-მოწერა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების საკითხის შესახებ.

პრემიერმა მაკდონალდმა ამ შეკითხვაზე უარყოფითი პასუხი გასცა (ადს).

ჩემბერლენის შეკითხვა

ლონდონი, 15 ნოემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება: ჩემბერლენმა თემთა პალატაში შეიტანა წერილობითი შეკითხვა, რომელსაც იგი ორშაბათს სიტყვიერად გაიმეორებს. ჩემბერლენი ჰკითხავს საგარეო საქმეთა სამინისტროს: „მიაქცია თუ არა მან ყურადღება 5 ნოემბრის „იზვესტია"-ში გამოქვეყნებულ წერილს, კერძოდ, ამ გაზეთის განცხადებას, რომ 1924 წლის შეთანხმება და 1929 წლის 3 ოქტომბრის ოქმი არ შეიცავენ და არც შეიძლება შეიცავდნენ არც ერთს სიტყვას კომინტერნის შესახებ, რომ ჰენდერსონის განცხადება თემთა პალატაში წარმოადგენს ახლახან დადებული შეთანხმების დამახინჯებას". (ადს).

ამერიკელ მუშათა საჩუქარი

მოსკოვი, 16 ნოემბერი. საკავშირო პროფსაბჭომ დეპეშით ცნობა მიიღო **გიბარტისაგან** (საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების თავმჯდომარე ამერიკაში), რომ ამერიკელი მუშები საბჭოთა კავშირში საჩუქრად 15 ტრაქტორს ჰგზავნიან. გიბარტი სთხოვს პროფსაბჭოს — აცნობოს იმ კოლმეურნეობის მისამართი, რომლის სახელზედაც ტრაქტორები უნდა გამოიგზავნოს (ადს).

ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ

ლონდონი, 15 ნოემბერი. დურბენში მღელვარება გრძელდება. თეთრკანიანთა პოლიციამ, რომელიც შეიარაღებული იყო თოფებით, ტყვიამფრქვევლებით და ცრემლის გამომწვევი ყუმბარებით, ალყა შემოარტყა ადგილობრივ მცხოვრებთა ბარაკებს. ადგილობრივი მცხოვრებნი, რომელთა უმრავლესობასაც დოკერები შეადგენენ, სათითაოდ წაუყენეს პოლიციის რაზმს, რომელიც სთხოვდა მათ ქვითარს სულობრივი გადასახადის შეტანის შესახებ. 600 კაცი, რომლებსაც ქვითარები არ აღმოაჩნდათ, დაუყოვნებლივ დააპატიმრეს და განსაკუთრებულ სასამართლოს გადასცეს. დაპატიმრებულების ირგვლივ თავმოყრილ ადგილობრივ მუშებს პოლიცია ცრემლის გამომწვევი ყუმბარებით ჰფანტავდა. სამხრეთ აფრიკის ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთი ჰკიცხავს სამხრეთ-აფრიკის მთავრობას უხეში ძალის ასე აშკარად გამოყენებისთვის, რაც, გაზეთების აზრით, საჭირო არ იყო.

ლიბერალური „მანჩესტერ გარდიან"-ი სწერს, რომ სულაც არ არის საჭირო დურბენში მომხდარი მღელვარების მიზეზი „მოსკოვის ხრიკებს" მიაწეროთო.

გაზეთის სიტყვით, **სამხრეთ-აფრიკის მთავრობა დურბენში მომხდარი მღელვარების მიზეზად მხოლოდ იმიტომ ასახელებს კომინტერნს, რომ გაამართლოს თავდასხმა, რომელიც მას ხულ სხვა მიზნებისათვის სჭირდებოდა.** გაზეთი აცხადებს, რომ ბარაკებზე თავდასხმამ რამდენიმე კაცი მაინც კიდევ გახადა კომუნისტადო". (ადს).

ავღანისტანის ელჩი საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 16 ნოემბერი. მიღებული ცნობების თანახმად, ავღანისტანის ელჩად მოსკოვში ინიშნება **სერდარ მუჰამედ აზის ხანი**, ავღანისტანის ფადიშაჰის ნადირ-ხანის ძმა. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ავღანისტანში **სტარკი** შვებულებიდან მოსკოვში დაბრუნდა და ამ დღეებში ქაბულს მიემგზავრება. (ადს)

კოლექტივიზაციის ახალი ეტაპი

მე-15 ყრილობიდან განვლილი ორი წლის მანძილზე ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ ჭეშმარიტად უდიდესი მიღწევები გლეხის მცირე და უმცირესი მეურნეობის ძირითადი გარდაქმნის უძნელეს საქმეში. მოძრაობა კოლექტივიზაციისა და კოლექტიურ მეურნეობათა სასარგებლოდ გახდა და ხდება უფრო და უფრო მასიურ მოძრაობად, რომელიც მილიონიან მასებს ედება. ეს მოძრაობა ყოველ სეზონში და წლით-წლობით აჭარბებს ჩვენს გეგმებს ორჯერ და სამჯერ. კოლექტიური მეურნეობანი სიტყვით კი არა, საქმით ხდებიან უფრო და უფრო მოწინავე ნიმუშად გლეხობის მთელი მასისათვის.

კოლექტივიზაციის განვითარების ამ ახალი პერიოდის უმნიშვნელოვანეს შედეგს წარმოადგენს ის, რომ კოლექტიურ მეურნეობაში და სხვადასხვა სახის საწარმოო გაერთიანებაში შევიდა არა მარტო ღარიბი გლეხი, არამედ საშუალო გლეხიც. მოძრაობა კოლექტიურ მეურნეობათა სასარგებლოდ ამჟამად წარმოადგენს ღარიბ და საშუალო გლეხთა მასიურ მოძრაობას, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მთელი დიდი რაიონების მთლიანი კოლექტივიზაცია ნათლად გვიჩვენებს იმ სიფართოვესა და სიღრმეს, რომელთაც სოფლად სოციალიზმის მშენებლობა მიმდინარეობს. კლასობრივი მტრებიც კი—ბურჟუაზიული პუბლიცისტები და ეკონომისტები იძულებული არიან აღიარონ საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების წარმატება ჩვენი სოფლის პრაქტიკაში სოციალიზმის იდეათა დანერგვის მხრით.

ნაგვის ყუთში უნდა გადაიყაროს მემარჯვენე კაპიტულიანტების ყოველგვარი ოინბაზური სიტყვები იმის შესახებ, თითქოს სოფლად კოლექტივიზაციის გაშლა - განვითარებისათვის სერიოზული ეკონომიური დასაყრდენი არ არსებობს, თითქოს კოლექტიური მეურნეობანი იქმნებოდეს დაქუცმაცებისა და სილატაკის პირობებში, პარტია იძულებით იტყუებდეს გლეხებს კოლექტიურ მეურნეობებში, თითქოს საჭირო იყოს კოლექტივიზაციის ტემპის შენელება და სხვა და სხვა.

მემარჯვენეები თვითონვე იძულებულნი არიან ამჟამად უვარგის ბარგად მიიჩნიონ და უკუაგდონ ყველა თავისი მტკიცება. მემარჯვენე კაპიტულიანტებს, რომ დაჟინებით დაეცვათ თავიანთი განცხადებანი, რომლებსაც ისინი სულ მცირე ხნის წინათ აკეთებდნენ, შეიძლება ითქვას, რომ ისინი მექანიკურად გამოიდევნებოდნენ მუშათა მოძრაობიდან.

პარტიის მუშაობის შედეგები კოლექტივიზაციის დარგში მოწმობენ, რომ მუშათა კლასის კავშირი გლეხობის ძირითად მასებთან — საშუალო გლეხთან—გადადის უფრო მაღალ საფეხურზე, საწარმოო კავშირის ლიანდაგზე, და ხდება უფრო მტკიცე, დაურღვეველი. გალაშქრება ამჟამად მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ახალი ფორმების წინააღმდეგ შეუძლიათ მხოლოდ გონებრივად უიმედო ადამიანებს.

კოლექტივიზაციის სწრაფი ტემპით ზრდას, რომელმაც გადააჭარბა ყველაფერს, რაც კი გეგმით იყო გათვალისწინებული, არ შეეძლო სათანადო გავლენა არ მოეხდინა განსაზოგადოებული სექტორის ხვედრით წონაზე სოფლად, კოლმეურნეობათა საწარმოო შედეგებზე. კოლმეურნ. პროდუქციის ზრდის ხუთწლიანი გეგმით დასახული ტემპები ფუჭან ჩამორჩნენ. კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმა, რომელიც ხუთწლიან გეგმასთან შედარებით გადიდებულ იქნა 15 მილიონი ჰექტარის რაოდენობით, უეჭველია წელს გადაჭარბებით იქნება შესრულებული. კოლმეურნეობათა პროდუქცია მარცვლეულის კულტურების დარგში უკვე მიმდინარე წელს განისაზღვრება მილიონ ტონობით, რაც გადამჭრელ გავლენას მოახდენს სასურსათო დაბრკოლებათა საბოლოო დაძლევაზე.

მაგრამ ეს ხომ კიდევ და კიდევ მემარჯვენე ოპორტუნისტების გეზის სამარცხვინოდ დამარცხებას ნიშნავს. მათი ანალიზი ამტკიცებდა, რომ კოლმეურნეობათა პროდუქციას სასურსათო სიძნელეთა გადალახვაში უდიდესი როლი შეუძლია ითამაშოს მხოლოდ 5—10 წლის შემდეგო. აქედან, დღევანდელი დღისათვის ისინი სახავდნენ კულაკისათვის დათმობის პოლიტიკას, კულაკის შეტევის წინაშე დახევის პოლიტიკას, რაც ნიშნავს მუშათა კლასის პოზიციების დათმობას კლასობრივი მტრისათვის.

კოლექტივიზაციის სწრაფი ტემპი იწვევს მთელი სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის დაჩქარებას. ამგვარად, სოფლის მეურნეობის ზრდა და დაჩქარებული განვითარება ორგანიულად უკავშირდება სოფლად განსაზოგადოებული სექტორის ზრდასა და განმტკიცებას.

ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ განვამტკიცოთ და აჩქარებული ტემპით განვავითაროთ კოლექტივიზაციის ტემპი. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შეუსუსტებლად გავშალოთ, განვამტკიცოთ და გავაფართოვოდ კოლექტივიზაციაში ჩაბმული გლეხების ღარიბ-საშუალო მასების ინიციატივა და თვითმოქმედება. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ყოველგვარი საშუალებით გავამაგროთ და გავადიდოთ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი როლი სოფლად. კოლმეურნეობანი უნდა გადაიქცნენ ნამდვილ ნიმუშად ინდივიდუალური მშრომელი გლეხობის მთელი დანარჩენი მასისათვის. ისინი ნამდვილად მოწინავე მეურნეობანი უნდა გახდნენ სოფლად.

მაგრამ ეს მუშათა კლასსა და გლეხობას მთელი თავისი სიგრძე-სიგანით უსახავს კოლექტივიზაციის ამოცანას. ტეხნიკური ბაზისი ამჟამად მეტის-მეტად სუსტია. კოლექტიურ მეურნეობათა უდიდესი ნაწილი იძულებულია მეურნეობას უტრაქტოროდ გაუძღვეს. ამიტომ იმ შემდგომს ბრძოლაში, რომელსაც მუშათა კლასი აწარმოებს სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის, მთავარი მნიშვნელობა ეძლევა სასოფლო-სამეურნეო მანქანათა მშენებლობის რევოლუციონურ გაშლა-განვითარებას და ტრაქტორთა მშენებლობის ყველა გეგმების შემდგომს გაფართოებას. გლეხობის ფართო ფენები სრული კმაყოფილებით შეხვდებიან პარტიის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ იქნას დაწყებული კიდევ ორი ახალი სატრაქტორო ქარხნის აგება და რომ თვითეულმა ამ ქარხნამ გამოუშვას 40.000 ტრაქტორი. კოლექტიურ მეურნეობათა მეცადინეობა უნდა მიმართულ იქნას აგრეთვე იქითკენ, რომ მაქსიმალურად გაძლიერდეს ტრაქტორების შემოტანა საზღვარგარეთიდან.

კოლექტიურ მეურნეობათა მუშაკებმა უნდა იცოდნენ, რომ ტრაქტორების შემოტანის გაფართოების შესაძლებლობა თვალსაჩინოდ დამოკიდებულია თვით მათზე, მათს მეცადინეობაზე, რომ მიიზიდონ მოსახლეობის სახსრები, შექმნან ექსპორტების დამატებითი ფონდები და სხვ.

კოლექტივიზაციის ყოველმხრივი გაძლიერება ტეხნიკურ ბაზისზე, ტრაქტორ-აშენებლობის ყოველმხრივი გაშლა-განვითარება და საზღვარგარეთიდან ტრაქტორების შემოტანის გაძლიერება საშუალებას მოგვცემს რიცხვობრივად გავადიდოთ და განვამტკიცოთ სასოფლოთაშორისო სატრაქტორო სადგურები, რომლებიც, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, წარმოადგენენ მთლიანი კოლექტივიზაციის ცენტრებს.

კოლექტივიზაციის პროცესების სწრაფი განვითარების შემდეგს უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს გლეხობის უფართოესი ფენების სახსრების მოზიდვა. გლეხობის დაზოგვილი თანხების ჩაბმა სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის მშენებლობაში და სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ტრაქტორების წარმოება მხოლოდ ახლა იწყება. გლეხობის თანხებმა თვალსაჩინო როლი უნდა შეასრულონ (და შეასრულებენ კიდეც) კოლექტივიზაციის მსვლელობისა და მთელი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის დაჩქარებაში. სხვადასხვა სახის საწარმოო გაერთიანებისათვის გაწეული სახელმწიფო დახმარება გაცილებით უფრო მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს მოსახლეობის სახსრების მოზიდვის საქმეს და კოლექტიურ მეურნეობათა შინაფონდების ზრდას. საჭიროა ფართოდ განვითარდეს ავანსების მოგროვება ტრაქტორების შესაძენათ და სხვ.

კოლექტივიზაციის პროცესების წარმატებით განვითარება სოფლად დამოკიდებულია კადრების პრობლემაზე. კოლექტივიზაციის გზაზე დამდგარი სოფლისათვის საჭიროა ნამდვილი რევოლუციონური გარდატეხა ორგანიზატორების, აგრონომების, მიწათ-მომწყობების და სხვათა მომზადების სისტემასა, პროგრამასა და მეთოდებში.

ამ საქმეში უმნიშვნელოვანეს რეზერვს წარმოადგენენ სამრეწველო ცენტრების მუშები, რომლებიც უფრო და უფრო მეტად ებმიან კოლექტიური მოძრაობის ხელმძღვანელობაში. ჩვენს პარტიას განზრახული აქვს გაგზავნოს სოფლად უახლოესი წლის განმავლობაში 25.000 მუშა მაინც, რომლებსაც საკმაო საწარმოო სტაჟი და სოფლის ცოდნა ექნებათ; მათ უნდა იმუშაონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურში, ჯგუფურ გაერთიანებებში და სხვ.

სოფლის კოლექტივიზაციის სწრაფი გაშლა-განვითარება პირველ რიგში აყენებს მუშაობის ახალი ორგანიზაციული ფორმებისა და მეთოდების საკითხს. მთელი თავისი სიგრძე-სიგანით სდგას კოლექტიურ მეურნეობათა განმტკიცების ამოცანა. საჭიროა გაძლიერდეს შრომის დისციპლინა კოლექტიურ მეურნეობებში, გადიდდეს კოლექტიური მეურნეობის თვითეული მუშაკის პირადი დაინტერესება თავისი კოლექტიური მეურნეობის განვითარებით. ყოველნაირად უნდა განვითარდეს სოციალისტური შეჯიბრება, საწარმოო თათბირები და სხვა იმ მიზნით, რომ კოლექტიურ მეურნეობებში შრომის ნაყოფიერება თვალსაჩინოდ გაძლიერდეს.

მაგრამ თავის მოტყუებას არავითარი ადგილი არ უნდა ჰქონდეს. განვითარების არსებულ საფეხურზე კოლექტიური მეურნეობანი სრულებითაც არ არიან მოკლებულნი კლასობრივი ბრძოლისა და მათ წევრთა ქონებრივი უთანასწორობის ელემენტებს და სხვ. ოპორტუნიზმი იქნებოდა, რომ საკმაოდ არ შეგვეფასებინა ერთი-მეორის საწინააღმდეგო ინტერესებისა და კლასობრივი ბრძოლის ელემენტების არსებობა კოლექტიურ მეურნეობათა შიგნით. გაუთვალისწინებელი არ უნდა დაგვრჩეს ის გარემოება, რომ პურის დამზადების ახლანდელი კამპანიის დროს კოლექტიურ მეურნეობათა შორის აღმოჩნდა სპეკულიანტურ მეურნეობათა საკმაო რაოდენობა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში აღმოჩნდნენ ნამდვილი კულაკური ცრუ-კოლექტიური მეურნეობანიც. კლასობრივი ბრძოლის გამწვავების დღევანდელ პერიოდში კულაკი სოფლად მოქმედებს არა მარტო პირდაპირი გზით—დაშინებით, ტერორითა და ცეცხლის წაკიდებით, არამედ მიკიბულ-მოკიბული გზითაც, ეს გზაა—კოლექტიურ მეურნეობაში შეძრომა, მისი გახრწნა შიგნით, მისი დაუფლების ცდა და სხვა. ამიტომ ყველა პროლეტარული ელემენტები—ღარიბი გლეხები და მოჯამაგირეები—ფხიზლად უნდა იყვნენ. ბრძოლა განსაზოგადოების ყოველმთავი ზრდისათვის თვით კოლექტიურ მეურნეობათა შიგნით უფრო და უფრო გაძლიერებული ტემპით უნდა სწარმოებდეს.

გლეხის მცირე და უმცირესი მეურნეობის კოლექტივიზაციის ამოცანები უდიდესია. მაგრამ ჩვენ ამ ამოცანებს გადავჭრით, თუ მათზე ბოლშევიკურად და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მივმართავთ საბჭოთა, პროფესიონალური და კოოპერატიული ორგანოების ყურადღებას, თუ მოვახდენთ ინდუსტრიალური პროლეტარიატის ფართო მასების მობილიზაციას.

„პრავდა", 16 ნოემბერი.

სურთ დამალონ თავიანთი იმპერიალისტური ზრახვები

გოლუბკოს განცხადება

ვარშავა, 15 ნოემბერი. პოლონურ გაზეთებში დაბეჭდილია პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის განყოფილების უფროსის გოლუბკოს ვრცელი განცხადება. საყურადღებოა თვით განცხადების სათაური: „პოლონეთისა და ბალტიის სახელმწიფოების მშვიდობიანი პოლიტიკა საბჭოთა რუსეთის მიმართ".

განცხადება ისეთი ხასიათისაა, რომ გოლუბკო ლაპარაკობს არა მარტო თავისი სახელით, არამედ ბალტიის ყველა სახელმწიფოების სახელითაც.

გოლუბკო, აღნიშნავს, რა საბჭოთა პრესის „შეშფოთებას" მისი, გოლუბკოს, მოგზაურობის გამო ბალტიის სახელმწიფოებში, აცხადებს, რომ „პოლონეთის პოლიტიკა ხსენებული სახელმწიფოების მიმართ ნაკარნახევია მათთან პოლიტიკური და ეკონომიური დამოკიდებულების განმტკიცებით. მაგრამ ამ გარემოებას საერთო არაფერი აქვს ბალტიის მხარეში ანტისაბჭოთა ბლოკის მოწყობასთან. თუ ლაპარაკია კერძოდ ჩემზე როგორც, საბჭოთა პრესის ნომენკლატურით, „პოლონეთის იმპერიალიზმის ყველაზე უფრო აგრესიულ წარმომადგენელზე", მაშინ უნდა განვაცხადო, რომ მე **ყოველთვის უზნეოდ მიმაჩნდა ისეთ ღონისძიებათა ორგანიზაცია და მათში პოლონეთის მონაწილეობა, რომელთაც მიზნად აქვთ მოსკოვის დღევანდელი მთავრობის დამხობა და ველიკორუსული ნაციონალისტური ელემენტების დაბრუნება.** უნდა განვაცხადო, რომ, როგორც ბალტიის პოლიტიკურ მოღვაწეებთან საუბრის დროს გამოვარკვიე, ასეთსავე თვალსაზრისზე დგანან ხსენებული მოღვაწენი. ეს არც გასაკვირველია. რუსული ემიგრაციის ვერც ერთი მიმდინარეობა ვერ შეურიგდება ბალტიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობას. მაშ რისთვის უნდა ესწრაფოდეს ეს სახელმწიფოები მოსკოვში მდგომარეობის შეცვლას?".

ერთი ჟურნალისტის შეკითხვაზე—რით აიხსნება, რომ საბჭოთა კავშირი უნდობლად უყურებს პოლონეთს, გოლუბკომ განაცხადა: „ეს არ არის გასაკვირველი. საბჭოთა კავშირი კაპიტალისტური მსოფლიო მრისხანე გამოწვევას წარმოადგენს. კომუნისტური წყობილების მშენებელნი ფიქრობენ, რომ მათ ყოველთვის მოელით თავდასხმა კაპიტალისტური მსოფლიოს მხრით. აქედან გამომდინარეობს ის უნდობლობა, რომელსაც საბჭოთა კავშირი იჩენს მთელი ევროპის სახელმწიფოების მიმართ, მათ შორის იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებთანაც იგი მეგობრულ ურთიერთობაშია".

გოლუბკომ აღნიშნა, რომ თვით არსებობა საბჭოთა კავშირისა გამოწვევაა ევროპისათვისო.

შემდეგ გოლუბკო შეეხო 1920 წლის ამბებს. მან განაცხადა: „1920 წელს უკვე დაამტკიცა პოლონეთმა, თუ რა ძალას წარმოადგენს იგი. მას შემდეგ პოლონეთმა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ სახელმწიფო ცხოვრების ყველა დარგში და ამაღლდა თავისი საერთაშორისო მნიშვნელობა. საბჭოთა საზოგადოებრივ აზრს ესმის, რომ წარმოუდგენელია ანტისაბჭოთა რომელიმე გამოსვლა პოლონეთის მონაწილეობის გარეშე. ეს ჩვენც გვესმის. მაგრამ ერთია ამ შესაძლებლობის გაგება და მეორე მისი განხორციელების სურვილი. ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნო, რომ საბჭოთა საზოგადოებრივი აზრი სათანადოდ ვერ აფასებს ჩვენს შეგნებულ მშვიდობიან პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ".

არანაკლებ დამახასიათებელია გოლუბკოს განცხადების უკანასკნელი აბზაცი, რომელიც საბჭოთა კავშირს შეეხება.

„მართალია,—აცხადებს გოლუბკო,—სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ არსებობს ერთგვარი საფუძველი საბჭოთა კავშირის შეშფოთებისათვის: ამ საფუძველს წარმოადგენს პოლონური პრესის ის ნაწილი, რომელიც თავისი გამოსვლების დროს თავს ესხმის იმ სახელმწიფოს საღვაროს, რომელთანაც ჩვენ ნორმალური მშვიდობიანი ურთიერთობა გვაქვს".

მაგრამ პოლონური პრესის ამ ნაწილს გოლუბკო ამართლებს პრესის თავისუფლებაზე მითითებით, იმ პრესის, „რომლის ბოროტმოქმედებასთან ბრძოლაც მთავრობას ხშირად უხდება". (ადს).

ბესედოვსკის საქმე

მოსკოვი, 16 ნოემბერი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს განუცხადეს, რომ ბესედოვსკის საქმის წინასწარი გამოძიება დამთავრდა. ამ საქმის საბრალმდებლო დასკვნა შედგენილია და დამტკიცებულია საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს პროკურორის მიერ.

გამომძიებელმა ბესედოვსკის გაუგზავნა მოწვევის უწყება, მაგრამ იგი არ გამოცხადდა. ბესედოვსკის ჰბრალდება 15.270 მანეთის მითვისება და გაფლანგვა. საქმე გაირჩევა საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის ღია სხდომაზე, 20 ნოემბერს. (ადს)

დირკსენი გერმანელი კოლონისტების შესახებ საბჭოთა კავშირში

ბერლინი, 15 ნოემბერი. „როტე ფანე"-მ გამოაქვეყნა გერმანიის მოსკოველი ელჩის დირკსენის მიერ საგარეო საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი საიდუმლო მოხსენება. დირკსენი იუწყება, რომ გერმანელი კოლონისტების არახელსაყრელი მდგომარეობა საბჭოთა კავშირში უმთავრესად შექმნილია საბჭოთა მთავრობის იმ ღონისძიებებით, რომლებიც მიღებულია სოფლის მეურნეობის სოციალიზაციის მიზნით. არ არსებობს არავითარი პერსპექტივა, რომ საბჭოთა მთავრობამ, რომელიც 125 მილიონ სოფლის მოსახლეობისათვის ნავარაუდევ პროგრამას ანხორციელებს, გერმანიის გულის მოსაგებად ხელი აიღოს ამ ზომების მიღებაზე 100.000 გერმანელი კოლონისტის მიმართ, ან გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ინტერესებისათვის. დირკსენ განუხორციელებლად მიაჩნია გერმანელი კოლონისტების წინააღმდეგ მიმართული ზომების შერბილება გერმანიის საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციის საშუალებით, ამასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ საშიშროებათა გამო.

დირკსენი აღნიშნავს, რომ გერმანელი კოლონისტების ემიგრაციას შესძლებია შეძლებული ფენებისაგან, რომელთაც სახელმწიფოში უმრავლესობა არ მოეპოვებათ. სამაგიეროდ გერმანელი კოლონისტთა უფრო ღარიბი ნაწილი მზად არის შეურიგდეს საბჭოთა მთავრობას და მის მიერ დაწყებულ კოლექტივიზაციას. დირკსენ საჭიროდ მიაჩნია, ბოლომდის გერმანელი კოლონისტებისათვის გულის გაკეთება მათდამი გერმანიის მხრივ პლატონიური სიმპატიების გამოცხადებით. დირკსენი მიზანშეწონილად სთვლის, რომ გერმანიის საკონსულოებმა მკაფიოდ განუმარტონ კოლონისტებს, რომ შეუძლებელია განხორციელებულ იქნას მათი სურვილი საბჭოთა კავშირიდან გადასახლების შესახებ. (ადს).

მეტალურგიის გიგანტი

როსტოვი - დონზე, 15 ნოემბერი. განზრახულია მომავალი წლის ზაფხულიდან დაწყებულ იქნას ქ. ტაგანროგის ახლოს მეტალურგიული ქარხნის შენება, რომელიც წლიურად გამოუშვებს 240 მილიონ ფუთ თუჯს და დაჯდება სულ ოთხი მილიარდი მანეთი. ქარხანა უნდა აშენდეს 7 წლიწადში.

განაჩენი წებელდის კულაკების საქმის გამო

სოხუმი, 16 ნოემბერი. 15 ნოემბერს საღამოს წებელდის კულაკური მავნებელი ორგანიზაციის საქმის გამო განაჩენის მოსასმენად თეატრის შენობაში თავი მოიყარა რამდენიმე ათასმა მშრომელმა. თეატრის დარბაზი სასამართლოს განაჩენის მოსმენის მსურველთ ვერ იტევს. სასამართლო მხოლოდ ნაშუაღამევს იწყებს განაჩენის წაკითხვას. ხალხი უდიდესი ყურადღებით ისმენს განაჩენს. აფხაზეთის უზენაეს სასამართლოს (ამხ. ტალახაძის თავმჯდომარეობით) განაჩენით მარკოზ, მესროფ და პოღოს აკოფის ძე, არზუმან პოღოსის ძე, ლევონ და აკოფ მესროფის ძე, კარაპეტ სარქისის ძე და კარაპეტ არუთინის ძე თოფჩიანებს, სედრაკ კარახანიანს და ივანე სოფიანოვს მიესაჯათ სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა—**დახვრეტა** და მთელი ქონების კონფისკაცია.

ამიკ და ტიგრან თოფჩიანებს, ბელუხაშიანს, აეტისიანს, ატაჯიანს, ჩიკირიანს, დომბალიანს, გრაჭ და ნერსეს ტოპოლიანებს, მავოპულოს, მინას მინასიანს, მიხრან თოფჩიანს და პოღოს ნექსარიანს მიესაჯა **თავისუფლების აღკვეთა ათ-ათი წლით** სასტიკი იზოლაციით და ხუთ-ხუთი წლის ვადით უფლებების აღკვეთით და ქონების მესამედის კონფისკაცია; გალიჩალის და არაქელიანს—თავისუფლების აღკვეთა ათ-ათი წლით და უფლებების აღკვეთა სამ-სამი წლით, ატიკ თოფჩიანს—10 წლით (ამნისტიის შეფარდებით შემცირდა 3 წლამდე). მელქონიანს, ვაგრან მინასიანს, ყარაბულატს და ჩაქლოვს—ხუთ-ხუთი წლით და უფლებების აღკვეთა სხვადასხვა ვადით.

დანარჩენ ბრალდებულებს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა სხვადასხვა ვადით—3 წლიდან 6 თვემდე. კარაპეტ გალუსტის ძე თოფჩიანი გამართლებულ იქნა.

განაჩენი საბოლოოა და მისი გასაჩივრება არ შეიძლება.

დამსწრენი განაჩენს მქუხარე ტაშით შეხვდნენ. (ადს).

კულაკების თავდასხმა კოლექტივზე

გურჯაანი, 16 ნოემბერი. (სპეციალური კორესპონდენტისაგან) კულაკების თავდასხმის დროს კოლექტივ ვარდისუბანში მოკლული იქნენ კოლექტივის წევრები შაქრო თუშიშვილი, სერგო ჯაშიაშვილი, შაქრო ჯაშიაშვილი და არჩილ სოხაშვილი.

ბოროტმოქმედებმა ტყვიები დაუშინეს არყით სავსე კასრებს და გააჩინეს ცეცხლი, რომლის ალში დაიწვა ორი მოკლული.

მოკლულთა დასაფლავება მოხდება ხვალ, 17 ნოემბერს. სოფლქო აღმასკომს კოლექტივებიდან და გლეხებისაგან მოსდის დიდძალი დეპეშები, რომლებშიაც ისინი მოითხოვენ დამნაშავეთა სასტიკ დასჯას. კოლექტივები დელეგაციებს გზავნიან დაკრძალვაზე დასასწრებლად.

კვლევა - ძიება გრძელდება. ეჭვით დაპატიმრებულია რამდენიმე კულაკი.

ა. ბედიაშვილი.

სამშაბათს, 19 ნოემბერს, დილის 12 საათზე მთავრობის სასახლეში

დანიშნულია

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და ეკონომიური საბჭოს გაერთიანებული სხდომა

რომელზეც მოსმენილი იქნება

თბილისის მუშკოოპის შამგეობის მოხსენება თავის მოქმედების შესახებ; თანამომხსენებელი—თბილისის აღმასკომის ვაჭრობის მომწესრიგებელი განყოფილება.

სხდომაზე საქ. პროფკავშირის მეშვეობით მოწვეული არიან აგრეთვე თბილისის ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენელნი.

სახკომსაბჭოს და ეკონსაბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი**.

ამიერ-კავკასიის ნავთი, ქვანახშირი და ნავთსადგურები

(საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილება)

მოსკოვი, 16 ნოემბერი. საკავშირო სახკომსაბჭომ დაავალა საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს — მიიღოს ზომები ამიერ - კავკასიაში ფართო გეოლოგიური კვლევა - ძიებისათვის, უმთავრესად იმ მიზნით, რომ აღმოჩენილ და შესწავლილ იქნას ნავთისა და ქვა-ნახშირის ახალი საბადოები. ს. ს. უ. საბჭოს დაევალა აგრეთვე — საგრძნობლად გაადიდოს ის თანხები, რომლებიც ამ მიზნისათვის გათვალისწინებულია ხუთწლიან გეგმაში.

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა გზათა სახალხო კომისარიატსაც, მიიღოს ზომები იმისათვის, რომ ბათომის და ფოთის ნავთსადგურები გადაკეთდენ ნავთისა და შავი ქვის გადიდებული ექსპორტის შესაფერისად. (ადს)

საკავშირო ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმი

მოსკოვი, 16 ნოემბერი. ამხ. ჩუცკაევის თავმჯდომარეობით გაიხსნა საკავშირო ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმი. ამხ. ვაინშტეინმა გააკეთა მოხსენება 1927-28 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ, აგრეთვე 1928-29 წლის ბიუჯეტის შესრულების წინასწარი ცნობების შესახებ. ამხ. ვაინშტეინმა აღნიშნა, რომ 1927-28 წლის ბიუჯეტის შესრულების ზოგადი შედეგები დამაკმაყოფილებელია. მივიღეთ 7 პროცენტით მეტი შემოსავალი, ვიდრე ვგულისხმობდით; შემოსავალმა 205 მილიონი მანეთით გადააჭარბა გასავალს. მაგრამ თუ საკავშირო ბიუჯეტი ასე წარმატებით შესრულდა, სამაგიეროდ მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებმა, გათვალისწინებული 6 მილიონი მანეთის ზედმეტის ნაცვლად, მოგვცეს 12 მილიონი მანეთი დეფიციტი. 1928-29 წლის ბიუჯეტიც შესრულებულ იქნა ისე, რომ შემოსავალმა გადააჭარბა გასავალს (დაახლოებით 5,6 მილიონი მანეთით). უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა გეგმიანობა, მაგრამ ბიუჯეტის შესრულებაში მაინც ჰქონდა ადგილი დეფექტებს. 1927-28 წლის ბიუჯეტის შეუსრულებლობამ მთელი მილიარდით ანუ 17,5 პროცენტით გადააჭარბა საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრებს. ფინსახკომის მიერ წარდგენილი ბიუჯეტის პროექტი 8,4 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა, ხოლო ცაკის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი—7,5 პროცენტის გადაჭარბებით. 1927-28 წლის, აგრეთვე 1928-29 წლის ბრუტო ბიუჯეტის სახალხო შემოსავლიდან გამორიცხულ იქნა 26,7 პროცენტი. ყოველივე, რასაც ჩვენ არასაგადასახადო შემოსავლიდან და სესხებიდან ვღებულობთ, უშუალოდ ხმარდება სახალხო მეურნეობას. ამავე მიზანს ხმარდება საგადასახადო შემოსავლის ერთი ნაწილი. 1924-25 წელს სახალხო მეურნეობისთვის ფინანსების მიწოდებას მოხმარდა საგადასახადო სახსართა მხოლოდ 8 პროცენტი, 1925-26 წელს—14 პროცენტი, 1926-27 წელს—20 პროცენტი, 1927-28 წელს—23,7 პროცენტი, ხოლო 1928-29 წელს—38,7 პროცენტი, დაახლოებით ასეთივე ციფრია გათვალისწინებული 1929-30 წლისთვისაც. ამრიგად, მთელი არასაგადასახადო შემოსავალი, აგრეთვე საგადასახადო შემოსავლის ერთ მესამედზე მეტი ხმარდება სახალხო მეურნეობას. საგადასახადო შემოსავლის დანარჩენი ორი მესამედი ხმარდება სოციალურ-კულტურულ საჭიროებას, თავდაცვას და სხვა. გასაზოგადოებრივებული სექტორის მეშვეობით მუშებისა და მოსამსახურეებისაგან 1926-27 წელს მიღებულ იქნა ყველა საგადასახადო შემოსავლის 74 პროცენტი, შემდგომ წლებში ეს ციფრი 78 პროცენტამდე ავიდა, ხოლო 1929-30 წელს იგი 84 პროცენტს მიაღწევს. რაც შეეხება საგასახადო შემოსავალს, მისი 99 პროცენტი შემოდის გასაზოგადოებული სექტორიდან. ეს უკანასკნელი ნაწილი ჩვენს ბიუჯეტში იმდენათ იზრდება, რომ საკმაოდ სწრაფად იშლება საზღვარი არა საგადასახადო და საგადასახადო შემოსავლის შორის.

ამხ. ვაინშტეინმა აღნიშნა, რომ მოკავშირე რესპუბლიკებმა დაარღვიეს ბიუჯეტით გათვალისწინებული ციფრები და შემდეგ გადავიდა ბიუჯეტის საკონტროლო ნაწილზე. ტრანსპორტის დარგში 1927-28 წლის ხარჯთ-აღრიცხვა წესიერად შესრულდა, მაგრამ, მიუხედავად იმ წარმატებისა, რომელიც მიღწეულ იქნა სატრანსპორტო მეურნეობაში, ეს წარმატება მაინც არ შეეფერება იმ თანხებს, რომლებიც მოხმარდა ტრანსპორტის რაციონალიზაციისა და გაუმჯობესების საქმეს. საირიგაციო მშენებლობაში გვაქვს საგრძნობი გაუმჯობესება, მაგრამ მეურნეობის ამ დარგშიაც ჯერ კიდევ დიდია ზედნადები ხარჯები, სოციალურ-კულტურულ საჭიროებაზე გაწეული ხარჯი წლიდან წლობით იზრდება ყველა რესპუბლიკებში, სამი წლის განმავლობაში მთელ საბჭოთა კავშირში ეს ხარჯი სულზე საშუალოდ გაიზარდა 80 პროცენტით,

შემდეგ გამოვიდა ამხ. ვეტოშკინი. იმ დადგენილების პროექტში, რომელიც საკავშირო სახკომსაბჭომ ბიუჯეტის შესრულების შესახებ მიიღო, ამხ. ვეტოშკინმა შეიტანა შესწორებანი ცალკე მუხლების შესავსებად. კამათის დროს შეეხნენ ისეთ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ცალკე რესპუბლიკების ბიუჯეტს გარეშე ხარჯებთან. რესპუბლიკების წარმომადგენელნი ამტკიცებდნენ, რომ შეუძლებელია ამ ხარჯების დაფარვა ბიუჯეტით.

საბჭოთა კავშირის ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმმა ეს სადაო საკითხები განსახილველად სათანადო კომისიებს გადასცა. არსებითად საბიუჯეტო კომისიამ დაამტკიცა სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტი 1927-29 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. (ადს).

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი

მოსკოვი, 16 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. ბრიუხანოვმა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის რეალიზაციის შესახებ საუბრის დროს აღნიშნა სესხის საქმის წარმატებით მსვლელობა და ის, რომ სესხის დამატებითი თანხა, დაფარული უნდა იქნას უმთავრესად გლეხობისა და იმ მუშა-მოსამსახურეთა ხარჯზე, რომელთაც ჯერ არ შეუძენიათ სესხის ობლიგაციები. დარჩენილი ორი კვირის განმავლობაში სოფლად მუშაობას დამკვრელი კამპანიის ხასიათი უნდა მიეცეს, რისთვისაც საჭიროა სოფლის მთელი საზოგადოებრიობის მობილიზაცია. (ადს).

კოლმეურნეობები ა.-კავკასიაში

მოსკოვი, 16 ნოემბერი. კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს გამგეობამ მოისმინა მოხსენება ამიერ - კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის კოლმეურნეობათა გამოკვლევის შესახებ.

როგორც გამოკვლევით დადასტურდა, კოლმეურნეობები ამიერ - კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში სტიქიურად არსდებოდნენ. კოლმეურნეობათა სისტემას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ კოლმეურნეობათა რესპუბლიკური ცენტრები და ამასთან მეტად ცუდადაც ხელმძღვანელობდნენ. კოლმეურნეობები იშვიათად ღებულობდნენ სადირექტივო მითითებებს; ცოცხალ ხელმძღვანელობას მათ არავინ არ უწევდა. მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები შეუდგნენ კოლმეურნეობათა საოლქო კავშირების მოწყობას. შემოდგომის თესვის კამპანიას ამიერ - კავკასიის კოლმეურნეობანი მოუმზადებელნი შეხვდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ამაში მთავარი ბრალი საკრედიტო და მიმწოდებელ ორგანიზაციებს მიუძღვის. მაგრამ თვით კოლმეურნეობებიც ბევრ რამეში არიან დამნაშავენი. კოლმეურნეობათა მთავარი უბედურება კადრების ნაკლებობაა. დიდ კოლმეურნეობებსაც კი ხშირად აგრონომი არა ჰყავთ. კოლმეურნეობათა ცენტრებს ამ უკანასკნელ დრომდე არ აღუძრავთ კადრების მომზადების საკითხი, ადგილობრივი უმაღლესი სასწავლებლები არ ამზადებენ სოფლის მეურნეობისათვის საჭირო სპეციალისტებს. კოლმეურნეობათა სისტემას ამიერ - კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში ფართო საზოგადოებრივი ყურადღება უნდა მიექცეს. ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა. კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს გამგეობამ აღიარა, რომ ხელმძღვანელობის უქონლობამ შესაძლებელია დამღუპველი გავლენა იქონიოს კოლმეურნეობათა მშენებლობის შემდგომ განვითარებაზე ამიერ - კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში. გადასწყდა — სასწრაფოდ შეივსოს ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ცენტრალური აპარატი ხუთი, კაცით და ამიერ - კავკასიის რესპუბლიკებში გაიგზავნოს პასუხისმგებელ მუშაკთა კომისია, რომელიც უნდა გაეცნოს ამიერ - კავკასიის კოლმეურნეობათა სისტემას და გაუწიოს მას პრაქტიკული დახმარება. (ადს).

ახალგაზ. კომინტერნის 10 წ. თავისათვის

ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის მოწოდება

მოსკოვი, 16 ნოემბერი. ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომმა „ა.კ.ი.-ს ათის წლის თავის გამო მთელი მსოფლიოს მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას მიმართა მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია:

„ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალი მთელი თავისი მუშაობის დროს ყოველთვის კომინტერნის ერთგული თანაშემწე იყო. „ა.კ.ი." იბრძოდა და კვლავ იბრძოლებს ყველა ოპორტუნისტული, წვრილბურჟუაზიული ელემენტებისა და მათი წარმომადგენლების გავლენის წინააღმდეგ კომუნისტურ მოძრაობაში.

ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირებმა დიდი ისტორიული როლი ითამაშეს კომპარტიის შექმნის საქმეში ჩინეთსა, იტალიასა, შვეციასა, ნორვეგიასა, ჩეხო-სლოვაკიასა და ესპანეთში. ჩვენს კავშირებს უდიდესი დამსახურება მიუძღვის რენეგატებთან და ოპორტუნისტებთან ბრძოლაში, აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის ტროცკისტებთან და მის წარმომადგენლებთან ბრძოლაში.

„ახალგაზრდა მუშებო, ჯარისკაცებო, მეზღვაურებო, ახალგაზრდა გლეხებო და კოლონიების მონებო, -ნათქვამია მოწოდებაში, —თქვენი ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირები რევოლუციონური მოძრაობის დროს უფრო ძლიერი უნდა იყოს, ვიდრე სხვა რომელსამე დროს. გააძლიერეთ ახ. კომუნისტური ინტერნაციონალის კადრები, გამოდით ქუჩებში, გამართეთ დემონსტრაციები, მოახდინეთ გამოსვლები, რათა ახ. კომუნისტური ინტერნაციონალის ათი წლის თავი გადაიქცეს რევოლუციის მსოფლიო ახალგაზრდათა არმიის აღლუმად". (ადს).

ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლებს

ახლოვდება ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალის არსებობის ათი წლის თავი, რომლის ზეიმი მსოფლიო პროლეტარულ ახალგაზრდობას უხდება კლასთა ბრძოლის გამწვავების და პარტიის რიგებში—სოციალისტური მშენებლობის სიძნელეებთან დაკავშირებით მემარჯვენე-ოპორტუნისტულ გადახრების არსებობის პერიოდში; მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, რომელსაც ჰქმნის რევოლიუციონურ მოძრაობისათვის ბურჟუაზია თავის განუყრელ დამქაშ სოციალისტების დახმარებით, საერთაშორისო პროლეტარული ახალგაზრდობა უფრო მჭიდროდ იკრიბება კომუნისტურ ინტერნაციონალის ხელმძღვანელობის ქვეშ ახალი გადამწყვეტი ბრძოლებისათვის.

ახალგაზრდა კომუნისტური ინტერნაციონალის ათი წლის თავი უნდა ჩატარდეს შემდეგი ლოზუნგების ქვეშ:

ა) იმპერიალისტური ომების საშიშროების წინააღმდეგ მშრომელთა ფართო მასების ყურადღების მობილიზაცია.

ბ) მემარჯვენე ოპორტუნისტულ გადახრების წინააღმდეგ კომუნისტურ ინტერნაციონალის ყველა სექციებში—ნამდვილ ლენინურ ბოლშევიკურ პოლიტიკის სასარგებლოდ გაძლიერებულ ბრძოლის წარმოება.

გ) კომკავშირის ორგანიზაციაში და საერთოდ ფართო მასებში ინტერნაციონალურ აღზრდის გაძლიერების და საერთაშორისო პროლეტარიატის ურთიერთ სოლიდარობის გაძლიერება-გაღრმავება.

დ) სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეში განსაკუთრებული მონაწილეობის მიღებით სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის განხორციელების უზრუნველყოფა.

ე) საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობის და კერძოთ ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალის ისტორიის პოპულარიზაცია-შესწავლის უზრუნველყოფა.

განათლების სახალხო კომისარიატის მიერ ახალგაზრდათა საერთაშორისო მე-15 დღისათვის გადმოგზავნილ დირექტივების დამატებით ყველა ტიპის სკოლებმა უნდა მიიღონ განსაკუთრებული მონაწილეობა ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალის არსებობის 10 წლის თავის რაც შეიძლება საზეიმოთ ჩატარების საქმეში ა. ლ. კ. კ. ადგილობრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირის დამყარების საშუალებით და კერძოდ სკოლებმა უნდა ჩაატარონ შემდეგი მუშაობა:

1. მიიღონ მონაწილეობა და ხელი შეუწყონ კომკავშირის მიერ როგორც სოფლად, ისე ქალაქად მოწვეულ უპარტიო მუშა-გლეხ ახალგაზრდობის კონფერენციების ჩატარებაში, რომლის დღის წესრიგში წამოყენებულ იქნება ერთ-ერთი ქვემოთ-მოყვანილი საკითხთაგანი:

1. ხუთწლიანი გეგმა და სოციალისტურ აღმშენებლობის ამოცანები.
2. ომის საშიშროება და მშრომელ ახალგაზრდობის ამოცანები.
3. ახალგაზრდა კომუნისტურ ინტერნაციონალის მუშაობა და ამოცანები.

2. სკოლებში მოწყობილ უნდა იქნეს ინტერნაციონ. საღამოები სათანადოთ შერჩეულ პროგრამებით (რევოლიუციონური პიესები, მოხსენებები ახ. რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიის გაშუქებით და სხვა).

აღნიშნული საღამოები აგრეთვე გამოყენებულ უნდა იქნეს სკოლებსა და წარმოების უჯრედების შორის სხვადასხვა სკოლების ურთი-ერთ შორის კავშირის დამყარებისა და სოც. შეჯიბრებაში გამოწვევისათვის.

3. იქ, სადაც მოწყობილ იქნება სამხედრო ნაწილებთან და „ავიაქიმთან" ერთად სამხედრო ლაშქრობა, სკოლებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა უფროსი ჯგუფების რაც შეიძლება მეტი რაოდენობით მოწაფეთა ჩაბმით ამ ლაშქრობაში.

4. აღნიშნულ დღისათვის გამოშვებულ კედლის გაზეთებში გაშუქებულ უნდა იქნეს ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები და საერთოდ სკოლის მიღწევები და ნაკლი თანამედროვე საჭირბოროტო საკითხების გადაჭრის საქმეში ახ. კომ. ინტერნაციონალის 10 წლის თავთან დაკავშირებით.

5. ყოველივე ზემოთ აღნიშნული და ახ. საერთაშორისო მე-15 დღისათვის გადმოგზავნილ დირექტივაში აღნიშნული პრაქტიკულ ღონისძიებათა გატარება უნდა მოხდეს ადგილობრივ კომკავშირის უჯრედთან ერთად.

განათ. სახ. კომისარიატი.

პარტიული მშენებლობა

ორ ფრონტზე ბრძოლით ლენინის პარტია დასძლევს სოციალისტური მშენებლობის სიძნელეებს

ლენინი ორ ფრონტზე ბრძოლის შესახებ

ჩვენს პარტიაში დღეს ორი სახის პოლიტიკური გადახრა არსებობს, რომელთა წინააღმდეგ ის შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებს. ამ გადახრების წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ თითქოს პარტია ლენინიზმის პრინციპებს არღვევდეს, როდესაც ის ორივე ფრონტზე ბრძოლის პოლიტიკას ანხორციელებს. ამასთან დაკავშირებით მემარჯვენეები ცდილობენ ისე მოგვაჩვენონ საქმე, რომ თითქოს მხოლოდ „მემარცხენე" გადახრა, პარტიის შიგნით „მემარცხენე" მერყეობის სახით (შაცკინი, სტენი, კოსტროვი და სხ.), პარტიის გარედ კი ტროცკიზმი, წარმოადგენს ერთად - ერთ საშიშროებას, და არა მათთან ერთად თვით მემარჯვენე ოპორტუნისტული გადახრაც და მასთან შემთანხმებლობა. თავის მხრივ კი „მემარცხენე" ელემენტები ირწმუნებიან, რომ ერთად - ერთ საშიშროებას მემარჯვენე გადახრა შეიცავს და მეორე ფრონტი არ არსებობს სინამდვილეში. უკეთ თუ ვიტყვით, როგორც მემარჯვენე გადახრის წარმომადგენლები და იდეოლოგები, ისე „მემარცხენე" ელემენტებიც უარყოფენ ორ ფრონტზე ბრძოლის პოლიტიკას და ამტკიცებენ, რომ თითქოს პარტიის ორ ფრონტზე ბრძოლის პოლიტიკას არაფერი საერთო არ ქონდეს ლენინიზმთან.

ლენინის შეხედულების გაცნობა აღნიშნულ საკითხზე, ჩვენი პარტიის და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ზოგიერთ მნიშვნელოვან მომენტის აღნიშვნასთან დაკავშირებით, დაგვანახებს, რომ ყველა, ვინც უარყოფს ერთსა და იმავე დროს ორ ფრონტზე ბრძოლის აუცილებლობას, ფაქტიურად თვით სცდილდება ლენინიზმს და ბრმად ვარდება ტროცკიზმის ჭაობში. ვინც ცოტად თუ ბევრად იცნობს ჩვენი პარტიის ისტორიას და ლენინის ბრძოლას გადახრების წინააღმდეგ, მას ეცოდინება, რომ დიდი ხნიდან ადრე, ჭიდრე მას იტყოდნენ მემარჯვენე გადახრის წარმომადგენლები და „მემარცხენე" ელემენტები, ტროცკიმ სთქვა თავისი სიტყვა ორ ფრონტზე ბრძოლის დაუშვებლობის შესახებ. პირველობა ორ ფრონტზე ბრძოლის უარყოფის საქმეში უსათუოდ ტროცკის ეკუთვნის, რასაც ჩვენი პარტიის წარსული მოწმობს.

ორ ფრონტზე ბრძოლის საკითხში, ისე როგორც სხვა მრავალში, ტროცკი ებრძოდა ლენინს, რის შესახებ შეგვიძლია მოვიყვანოთ თვით ლენინის განცხადება, საიდანაც დავინახავთ ერთი მხრივ იმათ შეხედულების სრულ უსაფუძვლობას, ვისაც ორ ფრონტზე ბრძოლის პოლიტიკა არა ბოლშევიკურ ხაზად მიაჩნია, ხოლო, მეორე მხრივ კი იმას, თუ როგორ იცავს ასეთი ხალხი, ვითომ ლენინიზმის პრინციპების დაცვის დროშის ქვეშ, ტროცკის თვალსაზრისს და მის გატარებას ცდილობს.

საკითხი ორ ფრონტზე ბრძოლის აუცილებლობის შესახებ გარკვევით დასვა ლენინმა ჯერ კიდევ რ. ს. დ. რ. პ. ცკას 1910 წლის იანვრის პლენუმზე. აქ ის წააწყდა ტროცკის აშკარა წინააღმდეგობას ამ საკითხში. ამ პლენუმის მუშაობისადმი. მიძღვნილ წერილში „**Заметки публициста**" („პუბლიცისტის შენიშვნები") ჩვენ ვნახულობთ განსაკუთრებულ მუხლს — „**Борьба на два фронта и преодоление уклонов**" („ორ ფრონტზე ბრძოლა და გადახრათა დაძლევა"), სადაც ლენინი მისთვის ჩვეული სიმარტივით და სიმკაცრით იცავს ორ ფრონტზე ბრძოლის აუცილებლობის იდეას მას შემდეგაც კი, რაც ის უკუგდებული იქნა ტროცკის წინადადებით მენშევიკების მიერ თვით ამ პლენუმზე. აღნიშნულ წერილში ლენინი პლენუმზე მიღებულ რეზოლიუციის შესახებ წერდა: „ამ რეზოლიუციის პროექტი შეტანილი იყო ცკაში ჩემს მიერ და ნაჩვენები მუხლი შეცვლილ იქნა კომისიის მუშაობის შემდეგ თვით პლენუმის მიერ; შეცვლილ იქნა ტროცკის წინადადებით, რომლის წინააღმდეგ მე უშედეგოთ ვიბრძოლე. აღნიშნულ მუხლში მე მქონდა სიტყვები, რომლებიც, თუ არა პირდაპირ, აღნიშნავდნენ „ორ ფრონტზე ბრძოლას", ყოველ შემთხვევაში, ამ აზრის გამომხატველი იყვნენ. სიტყვები „დაძლევა გაფართოების და გაღრმავების გზით" ჩასმულ იქნა ტროცკის მიერ... არაფერს არ გამოუწვევია პლენუმზე ისეთი მკაცრი, ზოგჯერ კომიკური აღშფოთება, როგორც აზრს ორ ფრონტზე ბრძოლის შესახებ. მხოლოდ ერთ გახსენებასაც კი ამის შესახებ გამოყავდა მოთმინებიდან „ვპერიოდელები" და მენშევიკებიც, რადგან ბოლშევიკებმა გაატარეს თვით სინამდვილეში, 1908 წლის აგვისტოდან 1910 წ. იანვრამდის, ორ ფრონტზე ბრძოლა, ე. ი. ბრძოლა ლიკვიდატორებთან და ოტზოვისტებთან. სასაცილო იყო მათი ეს აღშფოთება, რადგან ბოლშევიკებზე გაჯავრებულნი ისინი ამტკიცებდნენ მხოლოდ თავიანთ დანაშაულობას, რომ მათ ეხება (**задевает**) ლიკვიდატორების და ოტზოვისტების ყოველგვარი გაკიცხვა" (ლენინი ტ. 11, ნაწ. 2, გვ. 55).

როგორც ვხედავთ, ორ ფრონტზე ბრძოლას ლენინი სთვლიდა უმთავრეს პირობად პარტიაში გადახრების დაძლევისათვის, რაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა შეცვლილი ყოფილიყო ისეთი მუშაობით, რომელსაც ტროცკი გამოხატავდა სიტყვებში: „დაძლევა გაფართოების და გაღრმავების გზით". თუ „დაძლევას გაფართოების და გაღრმავების გზით" წინ არ წაუძღვებოდა ორ ფრონტზე ბრძოლის პოლიტიკა, იმ შემთხვევაში, როგორც შენიშნავს ლენინი, მას შეეძლო გამხდარიყო მხოლოდ ლიკვიდატორობის და ოტზოვიზმის პარტიაში „გაფართოების და გაღრმავების" საქმედ. აქეთკენ შეეძლო მაშინ წაეყვანა პარტია ტროცკის ტრაფარეტულ განცხადებებს, რომ მას არ დაპირდაპირებოდა ლენინის მხრივ ორ ფრონტზე ბრძოლის პოლიტიკა. შესაფერ მსგავსებას ტროცკის იმ დროინდელ პოზიციასა და დღევანდელ მემარჯვენე ოპორტუნისტებს შორის უსათუოდ ვნახულობთ. იმ დროს ტროცკი, გამოდიოდა რა შემთანხმებელის როლში, ცდილობდა დაერწმუნებია ყველა, რომ თითქოს გადახრები, ლიკვიდატორობა, ოტზოვიზმის და სხ. სახით, არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა და საჭირო არ იყო მათ მიმართ ბრძოლის გამოცხადება, რამდენადაც მათი დაძლევა, მისი აზრით, შეთანხმების საშუალებით შეიძლება მომხდარიყო მუშაობის „გაფართოების და გაღრმავების გზით". შეადარეთ ამას ის, რასაც ამბობდა, მაგ., გასულ წელს ამხ. უგლანოვი და მათ შორის ნათესაური კავშირი აღნიშნულ საკითხში თვალწინ გადაგეშლება. უგლანოვი ცდილობდა, რათა პარტიის პოლიტიკა, გადახრების გამომჟღავნებისა და მათთან ბრძოლისაკენ მიმართული, შეცვლილი ყოფილიყო ვიწრო პრაქტიციზმით. ასეთ ცდას ის გამოხატავდა მოსკოვის კომიტეტის გასული წლის სექტემბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში, სადაც იძლეოდა დარიგებას იმის შესახებ, რომ დღეს ჩვენი პარტიის პოლიტიკის ქვაკუთხედს უნდა წარმოადგენდეს პრაქტიკული მუშაობა, „ფულის თვლა" (უგლანოვის ფიგურალური გამოთქმა) და არა მაღალი პოლიტიკა, რომელშიაც ის გულისხმობდა პარტიის ბრძოლას გადახრების წინააღმდეგ. უგლანოვები მოსტყუვდნენ. მათ ვერ შესძლეს გზა გაებრუნდათ ჩვენი პარტიისათვის, რომელიც ერთგული დარჩა ლენინიზმის პრინციპების და პარტიის ორ ფრონტზე ბრძოლის ტრადიციების.

⁂

ორ ფრონტზე ბრძოლის მოწინააღმდეგენი, მემარჯვენე გადახრის იდეოლოგები და „მემარცხენე" ელემენტები, ივიწყებენ, რომ ჩვენი პარტიის ისტორია ორ ფრონტზე ბრძოლის ისტორიაა, რომ ის წარმოიშვა და გაიზარდა, როგორც ამბობს ლენინი., ორ ფრონტზე ბრძოლაში: ერთი მხრივ — რეფორმიზმის, მენშევიზმის და, მეორე მხრივ კი, „მემარცხენე" გადახრის, წვრილ ბურჟუაზიულ რევოლიუციონერობის და ანარქიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში; თავის შესანიშნავ ნაწარმოებში „მემარცხენეობის საყმაწვილო სენი კომუნიზმში", რომელშიც მოცემულია ბოლშევიზმის ტაქტიკის და სტრატეგიის საფუძვლები, ლენინი საკითხზე, იმის შესახებ, თუ რომელ მტრებთან ბრძოლაში მუშათა მოძრაობის შიგნით ბოლშევიზმი გაიზარდა, მოღონიერდა და გამოიბრძმედა",—სწერდა, რომ პირველ ყოვლისა და უმთავრესად ოპორტუნისტებთან ბრძოლაში,რომელიც 1914 წ. საბოლოოდ გადაიქცა სოციალ-შოვინიზმად, საბოლოოდ გადავიდა ბურჟუაზიის მხარეზე პროლეტარიატის წინააღმდეგ. ეს იყო, ბუნებრივად, უმთავრესი მტერი ბოლშევიზმისა მუშათა მოძრაობის შიგნით. ეს მტერი რჩება დღესაც უმთავრესად საერთაშორისო მასშტაბით. ამ მტერს ბოლშევიზმი აპყრობდა და აპყრობს უმთავრესად ყურადღებას. ბოლშევიზმის მოღვაწეობის ეს მხარე ახლა უკვე საერთოდ ცნობილია... სხვა უნდა ვსთქვათ ბოლშევიზმის მეორე მტერზე მუშათა მოძრაობის შიგნით. საზღვარგარეთ ჯერ კიდევ არ იციან საკმაოდ, რომ ბოლშევიზმი გაიზარდა, ჩამოყალიბდა და გამოიბრძმედა მრავალწლიან ბრძოლაში წვრილ - ბურჟუაზიულ რევოლიუციონერობასთან, რომელიც წააგავს ანარქიზმს, ანდა რაღაცას მისგან სესხულობს". (ლენინი ტ. 17, 124).

ლენინს, როგორც მარქსისტს, კარგად ესმოდა, რომ ვიდრე არსებობს კაპიტალიზმი, როგორც მას ვხვდებით სინამდვილეში, ვიდრე მსხვილ კაპიტალისტური წარმოების გვერდით არსებობს საქონლის წვრილი მარტივი მეურნეობა, მუდამ იარსებებს მუშათა მოძრაობაში აღნიშნული ორი უმთავრესი სახის გადახრა, რადგან საქონლის წვრილი მარტივი მეურნეობის არსებობით მათ ურჩებათ მასაზრდოებელი სოციალურ - ეკონომიური ბაზა. ლენინი იმავე ნაწარმოებში ხაზგასმით აღნიშნავს ამ გარემოებას, ე. ი. იმას, რომ ეს სოციალ - ეკონომიური ბაზა უმზადებს ნიადაგს როგორც მემარჯვენე გადახრას, რეფორმიზმს, ისე „მემარცხენე" წვრილ - ბურჟუაზიულ რევოლიუციონერობას. ბევრისათვის გაუგებარი რჩება, თუ როგორ ხდება, რომ ორ სხვადასხვა სახის გადახრას პროლეტარულ მოძრაობიდან ახასიათებს ერთი და იგივე სოციალური ბაზა. გაუგებრობას და გაკვირვებას ადგილი აღარ დაურჩება იმ შემთხვევაში, თუ გავიხსენებთ, რომ ამ სოციალურ ბაზიდან წარმოშობილი წვრილ - ბურჟუაზიული ელემენტები ერთი და იგივე არ არიან თავისი არსებობის პერსპექტივებით. ერთია წვრილ - ბურჟუაზიული ფენა, რომელმაც დაკარგა, ან რომელიც კარგავს თავის ეკონომიურ „დამოუკიდებლობას", და სულ სხვაა ის წვრილი ბურჟუაზია, რომელმაც „ფეხების წელებზე დადგმით" შესძლო იმდენათ მოღონიერებულიყო ეკონომიურათ, რომ მას მსხვილი ბურჟუაზიის ბანაკში გადასვლის პერსპექტივა თვალწინ გადეშალა, როგორც შესაძლებელი რეალური საქმე. ამ უკანასკნელი ტიპის წვრილ - ბურჟუაზიული ფენა წარმოადგენს ყველა სახის მემარჯვენე ოპორტუნიზმის დასაყრდენ სოციალურ ბაზას. ასეთ წვრილ - ბურჟუაზიული ფენა, რომლითაც გარემოცულია მუშათა კლასი, ახდენს მაზე შესაფერ გავლენას და ბადებს მასში რეფორმისტულ სულისკვეთებას, რომელიც შესაფერ პოლიტიკურ მიმართულებების სახით გვევლინება; ვიდრე არსებობს ასეთი წვრილ - ბურჟუაზიული ფენა, მუდამ იარსებებს ბურჟუაზიული - რეფორმისტული გავლენის საფრთხე მუშათა მოძრაობაზე. ის შეუძლებელია მოცილებული იქნეს მსხვილი ბურჟუაზიის ექსპროპრიაციითაც კი, რადგან მისი კვლავ აღორძინება შესაძლებელი იქნება, თუ საქონლის წვრილი მარტივი მეურნეობა ხელუხლებელი რჩება. ლენინი თავის წერილში „მარქსიზმი და რეფორმიზმი" აღნიშნავდა, რომ „კაპიტალიზმი წარმოიშვა და მუდმივად ჩნდება წვრილ წარმოებიდან"-ო. რა კი ეს ასეა, უნდა ვიფიქროთ, რომ მემარჯვენე ოპორტუნისტულ გადახრის საფრთხე ძალაში რჩება პროლეტარიატის დიქტატურის პირობებშიაც, ვიდრე მ დიქტატურას ძირიან - ფესვიანად არ მოუსპია კაპიტალიზმი, ე. ი. არ გარდაუქმნია წვრილი წარმოება. ამის დამადასტურებელია, მემარჯვენე გადახრის არსებობა დღეს ჩვენს პარტიაში.

წვრილი ბურჟუაზიის ის ფენა, რომელიც შესდგება ეკონომიურად გაკოტრებულ ელემენტებისაგან, რომლებსაც ლენინი უწოდებდა „კაპიტალიზმის საშინელებისაგან „გაცოფებულ" წვრილ - ბურჟუას", წარმოადგენს ყოველგვარი სახის „მემარცხენე" - რევოლიუციონერობის დასაყრდენ ძალას. თუ ვიტყვით ლენინის სიტყვებით: „ამ სოციალურ-ეკონომიურ ბაზაზე აღმოცენებულ გადახრას თან სდევს": არა სიმტკიცე ასეთი რევოლიუციონერობის, მისი უნაყოფობა, თვისება სასწრაფოდ ჩავარდეს დამორჩილებაში, აპატიაში, ფანტაზიაში, „ცოფიან" გატაცებაში ამა თუ იმ ბურჟუაზიულ მოდური „მიმართულებით.—ყოველივე ეს საერთოდ ცნობილია". (ტ. 17, 125). ლენინის მიერ აქ მოცემულია „მემარცხენე" გადახრის კლასიკური დახასიათება, რომელსაც თავისი მერყეობის და არა სიმტკიცის ზეგავლენით შეუძლია ერთი უკიდურესობიდან მეორეში მოექცეს. ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ „მემარცხენე" გადახრა შეუძლია მიგვიყვანოს სინამდვილეში არსებითად იმავე დასკვნამდე და შედეგებამდე, რაც მემარჯვენე ოპორტუნისტულ გადახრას ახასიათებს. ამით აიხსნება ისიც, რომ ნამდვილი პროლეტარული მიმართულების გამომხატველ მუშათა მოძრაობაში, ბოლშევიზმი, იბრძოდა და დღესაც იბრძვის არა მხოლოდ მემარჯვენე გადახრის, არამედ (მემარცხენე"-ს წინააღმდეგაც.

⁂

მემარცხენეობის წინააღმდეგ ბრძოლის ორ უმთავრეს შემთხვევაზე მიგვითითებს ლენინი, როგორც იმის საუკეთესო მაგალითზე, თუ რამდენათ ჩვენი პარტია, მემარჯვენე გადახრის ბრძოლასთან ერთად, არ ივიწყებდა საშიშროებასაც ამ მხარიდან და მით მტკიცედ ატარებდა ორ ფრონტზე ბრძოლის პოლიტიკას. პირველს ის აკუთვნებს ბრძოლას ოტზოვისტების წინააღმდეგ, მეორეს კი „მემარცხენე" კომუნისტების ფრაქციას, არსებულს 1918 წელში ნ. ბუხარინის მეთაურობით. ორივე შემთხვევაში მოცემული გვაქვს ორ ფრონტზე ბრძოლის ნათელი სურათი, რადგან როგორც „ოტზოვისტების", ისე „მემარცხენე" კომუნისტების ბრძოლის დროს პარტიას ხელი არ აუღია მარჯვენა ფრონტზე ბრძოლიდან. ეს ბრძოლა ტარდებოდა, მაგ., ოტზოვისტების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესთან ერთად ლიკვიდატორების წინააღმდეგ. ამ უკანასკნელის დაძლევა შეუძლებელი იყო იმის გარეშე, თუ დაძლეული არ იქნებოდა „მემარცხენე" გადახრა, „ოტზოვისტების" სახით, რომელთა არსებობას შეეძლო გაეძლიერებია ლიკვიდატორები, რამდენადაც ის ხელს უშლიდა პარტიას „გაერთმავებია მუშაობა" ბრძოლის არალეგალურ საშუალებებთან ერთად ლეგალური პირობების გამოყენებითაც. კარგად ცნობილია ის ფაქტი, თუ როგორი გაშმაგებით ებრძოდა „ლიკვიდატორებთან" ბრძოლის მომენტში ლენინი „მემარცხენეებს"; თავისი ფრაქციის შიგნიდან. ამ შემთხვევაში ის სწორედ გამოდიოდა ამ მოსაზრებიდან, რომ ოტზოვისტების, როგორც მემარცხენეების დაძლევა, ლიკვიდატორების, მემარჯვენეების დამარცხების ერთ - ერთ უმთავრეს პირობას შეიცავდა. პარტიული ცხოვრების შემდგომმა განვითარებამ ლენინის პროგნოზი სრულებით გაამართლა, როგორც ოტზოვისტების სოციალურ - პოლიტიკურ ხასიათის შეფასებაში, ისე მათ წინააღმდეგ ბრძოლის წარმოების აუცილებლობაში, მემარჯვენეების წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებასთან ერთად.

იგივე ითქმის 1918 წელში ბუხარინის მეთაურობით მომქმედ „მემარცხენე" კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებაც, რომელსაც წინ უძღოდა პარტიის შეუპოვარი ბრძოლა მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ. ოქტომბრის რევოლიუციის ხსნა შეუძლებელი იქნებოდა „მემარცხენე" გადახრის დაძლევის გარეშე. ამიტომ ლენინმა, მას გამოუცხადა უსასტიკესი ბრძოლა მიუხედავად იმისა, რომ მის სათავეში იდგნენ ისეთი გამოჩენილი პირები, როგორიც იყვნენ იმ დროს კ. რადეკი, ტროცკი, ბუხარინი და მრავალი სხვა., „მემარცხენე" კომუნისტები იმ დროს რევოლიუციისათვის საზიანო საქმეს აკეთებდნენ, მას ხვევდენ რევოლიუციონურ სამოსელში, არაფრის მდირებელ და ცალიერ რევოლიუციონურ ფრაზებში, როგორიც იყო, მაგ., მათი მოთხოვნა უარყოფილი ყოფილიყო ბრესტის ხელშეკრულება და მისი ადგილი რევოლიუციონურ ომს დაეჭირა კაპიტალისტურ ევროპის წინააღმდეგ. იდეა ჩინებული, სიტყვები მომხიბლავი, მაგრამ იმდენად დაშორებული სინამდვილისაგან, რომ, როგორც შემდეგ თვითონ ბუხარინმა განაცხადა, იმ დროს პარტია მას რომ გაყოლოდა, და არა ლენინს, რევოლიუცია შეიძლებოდა დამარცხებულიყო. აქედან ადვილი გასაგებია, თუ რა ღირებულებისაა „მემარცხენე" გადახრა საერთოდ. განა შეუძლია ვინმეს ოქვას, რომ მემარჯვენე გადახრას იმაზე უარესი რამის მოტანა შეეძლო რევოლიუციისა- [illegible], ვიდრე მას ამ შემთხვევაში უჭადიდნენ „მემარცხენეები", რომ ამ უკანასკნელებისათავის პარტიას ბრძოლა არ გამოეცხადებია და არ დაეძლია მათი გავლენა? რასაკვირველია, არა. ამიტომ ვამბობთ ჩვენ, რომ „მემარცხენე" გადახრა არსებითად არაფრით არ განირჩევა მემარჯვენისაგან, რომ მას შეუძლია მიგვიყვანოს სინამდვილეში იმავე შედეგებამდე, რაც დამახასიათებელია მემარჯვენე ოპორტუნიზმისათვის. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ლენინი ყოველთვის თვლიდა აუცილებლად ბრძოლას როგორც მემარჯვენეების, ისე „მემარცხენეების" წინააღმდეგ.

⁂

სხვა საკითხია, თუ ამ ბრძოლის დროს რომელ გადახრას, რომელ ფრონტს მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს, რომელ ფრონტზე უნდა იქნეს გადატანილი ბრძოლის სიმძიმის ცენტრი, რაც ტაქტიკის და სტრატეგიის საკითხია. ამ საკითხის უყურადღებოდ დატოვებას ან მის არასწორად გადაჭრას შეუძლია დაამახინჯოს ორ ფრონტზე ბრძოლის პოლიტიკა. რა კი ორივე სახის გადახრას ადგილი აქვს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ერთ და იმავე დროს, რაც გამოწვეულია იმით, რომ მათ ერთი საერთო სოციალური ბაზა აქვთ, ცხადია, წინასწარ იმის გამოკვლევა თუ რომელი მათგანი მეტ საშიშროებას წარმოადგენს, აუცილებელი პირობაა მათი დაძლევისათვის. ასე სვამდა საკითხს ლენინი. ის არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ორივე გადახრა, როგორც მემარჯვენე, ისე „მემარცხენე", მიუღებელია პროლეტარული პარტიისათვის და ეს უკანასკნელი მას უნდა ებრძოლეს. ამასთან ერთად ის ანგარიშს უწევდა იმას, თუ რომელი გადახრა განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში მეტ საშიშროებას წარმოადგენდა. მაშასადამე, ამის გაგებისათვის საჭიროა, რათა ორ ფრონტზე ბრძოლის პოლიტიკას წინ უძღოდეს იმ პირობების სრული ანალიზი, რომლებშიაც იმყოფებიან გადახრები. მხოლოდ ასეთი ანალიზის შედეგი იქნება არსებულ განსაზღვრულ პოლიტიკური ვითარების სწორი გაგება, რაც თავის მხრივ მოგვცემს პასუხს საკითხზე, თუ რომელი გადახრა უფრო მეტ საშიშროებას წარმოადგენს და რომელ მათგანზე უნდა იქნას გადატანილი ბრძოლის სიმძიმის ცენტრი

აღნიშნულ საკითხს ლენინი უკავშირებდა იმ ერთგვარ კანონზომიერებას, რომელსაც ადგილი ქონდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს კანონზომიერება ლენინის შეფასებით მდგომარეობდა იმაში, რომ გადახრები მუშათა მოძრაობაში, მის რევოლიუციონურ ხელმძღვანელ პარტიაში, თავს იჩენენ ყოველთვის საზოგადოებრივ ცხოვრების ამა თუ იმ ისტორიულ გარდატეხის მომენტში, როდესაც მუშათა მოძრაობას მისი გავლენით უხდება აწარმოოს ან შეტევითი ან დახევითი ბრძოლა. ლენინი ამჩნევდა, რომ ყოველთვის ასეთ ისტორიულ მომენტში ესა თუ ის გადახრა და მერყეობა შესაფერისად იცვლიდა ფერს, ის ან უფრო მეტად მავნე ან უფრო ნაკლებ საშიშროებად ხდებოდა მუშათა მოძრაობისათვის. ერთ-ერთ თავის შესანიშნავ წერილში: „**Новые времена, старые ошибки в новом виде**" („ახალი დრო, ძველი შეცდომები ახალი სახით"),—ლენინი ამ საკითხზე შემდეგს სწერდა: „თვითეული თავისებური ისტორიული გარდატეხა იწვევს ზოგიერთ ცვლილებას წვრილ - ბურჟუაზიულ მერყეობის ფორმებში, რომლებსაც მუდამ აქვთ ადგილი პროლეტარიატის გვერდით, რომლებიც მუდამ ავრცელებენ თავიანთ გავლენას პროლეტარიატზე". ამ საზომით თუ მივუდგებით გადახრების შეფასებას, ამ შემთხვევაში ადვილი გასაგები იქნება, თუ რომელი მათგანი უფრო მეტ საშიშროებას წარმოადგენს.

როგორც ვთქვით, თვითეული ისტორიული მომენტი მუშათა მოძრაობაში ხასიათდება ისეთი სოციალურ - პოლიტიკური პირობების შექმნით, რომლებიც მას აძლევენ ან შეტევის ან უკან დახევის ხასიათს. მუშათა მოძრაობის ორივე სახის მდგომარეობა იწვევს მისთვის მთელ რიგ სიძნელეს, რომელთა გადალახვა წარმოადგენს აუცილებელ პირობას იმისათვის, რომ მუშათა მოძრაობამ შესძლოს თავისი კლასიური მოწინააღმდეგის დამარცხება, თუ ის შეტევითი ბრძოლას აწარმოებს ამ უკანასკნელის წინააღმდეგ; შეინარჩუნოს რაც შეიძლება მეტი პოზიციები, რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლი გაწიოს, თუ მას უხდება უკან დახევითი ბრძოლა. ასეთ მომენტებში სიძნელეთა ზეგავლენით გადახრები პროლეტარულ - კლასიურ ხაზიდან უფრო მეტად ძლიერდებიან და მეტ საშიშროებას წარმოადგენენ. ლენინი იმ აზრის იყო, რომ თუ მუშათა მოძრაობა იმყოფება კლასიურ მტერზე შეტევითი ბრძოლის წინაშე, ან თვით ასეთი ბრძოლის პროცესში,— მემარჯვენე გადახრა მაშინ უფრო მეტ საშიშროებას წარმოადგენს, ვიდრე „მემარცხენე"; და ორ ფრონტზე ბრძოლის პოლიტიკის ქვა - კუთხედს ასეთ შემთხვევაში უნდა შეიცავდეს ბრძოლის სიმძიმის გადატანა მემარჯვენე გადახრაზე. ხოლო თუ მუშათა მოძრაობას უხდება უკან დახევითი ბრძოლა აწარმოოს, მაშინ, მეტ საშიშროებას წარმოადგენს „მემარცხენე" გადახრა, რომელიც ანგარიშს არ უწევს არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას, რომელსაც არ ესმის უკან დახევის ისტორიული აუცილებლობა და, გატაცებულს რევოლიუციონური ფრაზებით, შეუძლია მუშათა მოძრაობა გადაისროლოს ავანტიურიზმის უფსკრულში, ნაცვლად იმისა, რომ უხელმძღვანელოს მუშათა კლასის უკანდახევითი ბრძოლას და რაც შეიძლება მეტი ძალების შენარჩუნებით გამოიყვანოს ის შექმნილ არახელსაყრელ ობიექტიურ პირობებიდან, ახალ ბრძოლების დაწყების მიზნით. ლენინის ტაქტიკა გადახრების მიმართ ბრძოლაში გასაგები იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მოსაზრებით ვიხელმძღვანელებთ, რომელიც მისთვის წარმოადგენდა გამოსავალ წერტილს იმის შეფასებისათვის, თუ როდის და სად რომელი გადახრა უფრო მეტ საშიშროებას შეიცავდა.

როგორც საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, ისე კომინტერნის სხვა დანარჩენ სექციების ისტორია, სავსეა მაგალითებით, როდესაც ლენინი ამა თუ იმ გადახრას, ან მემარჯვენეს ან და „მემარცხენეს", აღიარებდა უმთავრეს საშიშროებად და მოითხოვდა მის წინააღმდეგ ბრძოლის სიმძიმის გადატანას, რაც მისთვის ორ ფრონტზე ბრძოლის სისწორით წარმოების ერთ - ერთ უმთავრეს პირობას წარმოადგენდა. გავიხსენოთ, მაგ., ის, თუ ლენინი რატომ სთვლიდა უმთავრეს საშიშროებად ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის მომენტში „მუშათა ოპოზიციას", ან „მემარცხენე" კომუნისტებს 1918 წელში ბრესტის საზავო ხელშეკრულების დროს. ეს იმიტომ, რომ როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ჩვენ გვიხდებოდა უკან დახევა, ძალების ხელახალი მოკრებისა და შეტევის განახლების მიზნით. იმ დროს კი „მემარცხენე" კომუნისტები, რომლებსაც არ ესმოდათ უკან დახევის ობიექტიური, ისტორიული აუცილებლობა, მოუწოდებდნენ მუშათა მოძრაობას შეტევისაკენ, რასაც შეეძლო სამსახური გაეწია მხოლოდ ჩვენი კლასიური მტრებისათვის. **რევოლიუციონური ავანტიურიზმი მდგომარეობს სწორეთ იმაში, რომ მუშათა მოძრაობა შესაფერ დროის და ადგილის, შესაფერ მომზადების, არსებითად კლასიურ ძალთა განწყობილების შეფასების გარეშე გამოყავთ აშკარა ბრძოლის სარბიელზე, რასაც არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია არ დამთავრდეს ბურჟუაზიის სასარგებლოდ.** ეს უკანასკნელი თვით ცდილობს ასეთ შემთხვევაში მუშათა კლასის კლასიურ ბრძოლის ღია ფორმებში გამოწვევას. ამიტომ ლენინი ასეთ შემთხვევაში „მემარცხენე" გადახრას აღიარებდა უმთავრეს საშიშროებად და მის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლას მოითხოვდა. ავიღოთ კიდევ მაგალითისათვის იტალიის მუშათა მოძრაობის გამოცდილება. საქმე ეხება რევოლიუციონურ მოძრაობას იტალიაში 1920 წ. მოძრაობის წინ ლენინი მოუწოდებდა იტალიელ კომუნისტებს, რათა მათ სასტიკი ბრძოლა გამოეცხადებიათ პირველ ყოვლისა რეფორმისტებისათვის, მემარჯვენე ოპორტუნისტებისათვის მუშათა მოძრაობაში და პარტიის შიგნით, რადგან თუ მათი გავლენა დარჩებოდა ძველებურად, ეს უსათუოდ გამოიწვევდა რევოლიუციონური მოძრაობის დამარცხებას, რადგან შეტევითი ხასიათის ბრძოლის დროს, როგორც ვსთქვით, მეტ საშიშროებას წარმოადგენენ მემარჯვენები, რამდენადაც ისინი მუშათა კლასს კლასიურ მტერზე შეტევის მომენტში წინ ეღობებიან. მაგრამ მას შემდეგ, რაც იტალიის 1920 წლის რევოლიუციონური მოძრაობა დამარცხდა და დღის წესრიგში დაისვა საკითხი ძალების შენარჩუნებისა მათი ხელახალი მომზადებისათვის ახალ რევოლიუციონურ ბრძოლებისათვის, — ლენინი იტალიის კომუნისტურ პარტიას ურჩევს ბრძოლა გამოეცხადებინათ ახლა უფრო მეტი სიმკაცრით „მემარცხენე" ელემენტებისათვის, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც მემარჯვენე და ცენტრისტული ელემენტები ალაგმული იქნენ. „ჩვენ არა მხოლოდ გავკიცხეთ ცენტრისტები — ამბობდა ლენინი — არამედ გავაძევეთ ისინი პარტიიდან. ახლა ჩვენ უნდა შევბრუნდეთ მეორე მხარისაკენ, რომელსაც ვთვლით საშიშროებად"; (ლენინი. ტ. 18, ნაწ. 1. გვ. 810). ეს იტალიის მუშათა მოძრაობის გამოცდილებიდან. ეხლა გავიხსენოთ აგრეთვე ისიც, თუ რატომ ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვების უმთავრეს პირობად ლენინი სთვლიდა პირველ ყოვლისა ზინოვიევის და კამენევის ჯგუფის წინააღმდეგ ბრძოლას, მის გაკიცხვას და უკუგდებას პარტიის მხრივ. ეს იმიტომ, რომ ზინოვიევის და კამენევის იმ დროინდელი პოზიცია მემარჯვენე ოპორტუნიზმის პოზიციას წარმოადგენდა, რომელიც წინ ეღობებოდა მუშათა კლასს და მის ხელმძღვანელ პარტიას კლასიურ მტერზე შეტევითი ბრძოლის მომენტში. აქედან ის დასკვნა უნდა იქნას გამოყვანილი, რომ **ლენინისათვის საკითხი იმის შესახებ — თუ რომელი გადახრა უფრო მეტ საშიშროებას შეიცავს და ამასთან დაკავშირებით ორ ფრონტზე ბრძოლის დროს რომელ მათგანზე უნდა იქნას გადატანილი სიმძიმის ცენტრი — წყდებოდა იმის მიხედვით, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფება თვით მუშათა მოძრაობა.**

ასეთია გადახრების წინააღმდეგ ბრძოლის დიალექტიკა, რაც ბევრს არ ესმოდა და დღესაც არ ესმის, რის გამო მზად არიან პარტიის ორ ფრონტზე ბრძოლის პოლიტიკა ლენინიზმის პრინციპების უარყოფად გამოაცხადონ. ასე იქცევა ყოველთვის ამა თუ იმ გადახრის წარმომადგენელი. ჩვენი პარტიის მე-14 ყრილობის დროს ზინოვიევი და კამენევი ფიქრობდენ, რომ ამხ. ი. სტალინი ცდებოდა და არა ლენინურ ხაზს ადგა, რამდენადაც ის მაშინ მოითხოვდა ბრძოლის ცენტრის მიმართვას არა მარჯვნივ, არამედ მარცხნივ. მაგრამ მოვლენათა შემდეგმა მსვლელობამ დაგვანახვა, რომ იმ დროს სწორად მოქმედებდა პარტია, როდესაც ბრძოლის სიმძიმის ცენტრი მან გადაქონდა მემარცხენეების წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ როგორც პარტიამ, ისე მისმა გამოჩენილმა ხელმძღვანელმაც, ამხ. ი. სტალინმა, კარგად იცოდენ, რომ პარტიაში „მემარცხენე" გადახრის გვერდით მემარჯვენე გადახრაც არსებობდა. ამას ნათლად აღნიშნავდა თავის სიტყვაში ამხ. სტალინი მე-14 ყრილობაზე, სახელდობრ გლეხობის საკითხში, ამასვე აღნიშნავს მე-14 ყრილობის რეზოლიუცია, სადაც ხაზგასმით არის ნათქვამი ორი სახის გადახრის არსებობის შესახებ. „ყრილობა გადაჭრით კიცხავს გადახრას, — ნათქვამია რეზოლიუციაში, რომელიც მდგომარეობს სოფლის დიფერენციაციის დაუფასებლობაში, რომელიც ვერ ხედავს საშიშროებას, გამოწვეულს კულაკობის და კაპიტალისტურ ექსპლოატაციის სხვადასხვა ფორმის ზრდით, რომელსაც არ სურს გაიგოს მთელი აუცილებლობა კულაკობისადმი წინააღმდეგობის გაწევის და მის ექსპლოატატორულ მისწრაფებათა შეკვეცა... მაგრამ ამავე დროს ყრილობა ასეთივე გადაჭრით კიცხავს სოფლად პარტიის პოლიტიკის ძირითად საკითხის, —საშუალო გლეხობისათვის, როგორც მიწათმოქმედების ცენტრალურ ფიგურისათვის, ბრძოლის საკითხის მიჩქმალვის ცდას, და კოოპერაციისათვის როგორც სოციალიზმისაკენ მოძრაობის ძირითად ორგანიზაციულ ფორმის, მიფუჩეჩების ცდას". როგორც ვხედავთ, აქ გარკვევითაა ნათქვამი პარტიაში ერთ და იმავე დროს ორი სახის გადახრის არსებობის და პარტიისათვის მათი მიუღებლობის შესახებ, რისთვისაც ყრილობა ორივეს კიცხავს და ბრძოლას უცხადებს, „მემარცხენეების" წინააღმდეგ ბრძოლის სიმძიმის გადატანით და მით ერთგულად ანხორციელებს ლენინიზმის პრინციპებს ორ ფრონტზე ბრძოლის საკითხში.

იგივე შეგვიძლია ვსთქვათ პარტიის დღევანდელ ორ ფრონტზე ბრძოლის პოლიტიკის შესახებ. მისი აუცილებლობა [illegible] ბევრს არ უნდა გაიგოს. **დღესაც ბევრს არ ესმის, თუ რატომ ამჟამად მემარჯვენე გადახრა მეტ საშიშროებას შეიცავს, ვიდრე „მემარცხენე", და რატომ ამ უკანასკნელთან ბრძოლასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მემარჯვენეებს ექცევა.** განსაკუთრებით არ უნდათ ამის აუცილებლობა შეითვისონ მემარჯვენე გადახრასთან შემთანხმებლებმა, რომლებიც არაჩვეულებრივი გულმოდგინებით კიცხავენ პარტიის ორ ფრონტზე ბრძოლის პოლიტიკას. მათ ჩვენ შეგვიძლია უთხრათ მხოლოდ ის, რომ დღესაც, ისე როგორც ყოველთვის, აღნიშნულ საკითხში პარტია სწორად მოქმედებს, იმის სრული შეგნებით, რომ დღეს მუშათა მოძრაობის ინტერესები როგორც საბჭოთა კავშირში, ისე კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც მოითხოვენ პირველ ყოვლისა მემარჯვენე გადახრის დაძლევას კომინტერნში. ამ პირობის შეუსრულებლობის გარეშე შეუძლებელი შეიქნებოდა იმ მდგომარეობის მუშათა მოძრაობის ინტერესებისათვის გამოყენება, რომლისაკენაც დღეს [illegible]რი ნაბიჯით მივყავართ თანამედროვე კაპიტალიზმის შედარებითი სტაბილიზაციის საფუძველზე აღმოცენებულ წინააღმდეგობებს. პარტიამ ორ ფრონტზე ბრძოლის მომენტში, ლენინის მოძღვრების მიხედვით, აღნიშნულ საკითხში ბრძოლის სიმძიმე გადაიტანა მემარჯვენეების და მათთან შემთანხმებლების წინააღმდეგ იმიტომ, რომ ევროპის დღევანდელი მუშათა მოძრაობა იმყოფება კაპიტალიზმზე შეტევითი და გადამწყვეტ ბრძოლების დასაწყისის წინაშე. ასეთ მომენტში მემარჯვენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაზე ხელის აღება იქნებოდა ღალატი მუშათა მოძრაობისა და ლენინიზმისადმი. ამიტომ პარტია სწორად მოქმედობს, როდესაც ის „მემარცხენე" ხასიათის მერყეობის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად, უმთავრესი ყურადღებით ეპყრობა საკითხს მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის შესახებ. ორ ფრონტზე ბრძოლის სხვანაირად გაგება ლენინის შეხედულებების სრულ უარყოფას ნიშნავს.

კ. გორდელაძე

კლასობრივი ხაზის დამახინჯების

აღმაშფოთებელი ფაქტები

კომუნისტების შეზრდა კულაკებთან კოლექტივის წინააღმდეგ

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ტემპის ზრდასთან ერთად, ძლიერდება კულაკების შემოტევა და ბრძოლა ღარიბ გლეხების წინააღმდეგ.

ზოგიერთ შემთხვევებში კულაკები ახერხებენ თავიანთ გავლენის ქვეშ მოაქციონ ადგილობრივი პასუხისმგებელი პარტიული მუშაკებიც კი. ზოგიერთ შეუგნებელ კომუნისტის დახმარებით კულაკები, ხელს უშლიან ახალი კოლექტივების დაარსებას და იბრძვიან უკვე არსებულ კოლექტივთა წინააღმდეგ.

ზოგ კულაკებს აშკარათ მფარველობენ პარტიის ულირსი წევრები და კულაკებთან ერთად ებრძვიან კოლექტივებს, არ შედიან კოლექტივში ან კოლექტივში ეწერებიან ანგარების მიზნით. ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ რამდენიმე ფაქტს.

გამფლანგველი თავმჯდომარე

აწყურის (ახალქალაქის მაზრა) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის თავმჯდომარე—პარტიის წევრი ჭელიძე, სისტემატიურად ამახინჯებდა კლასიურ ხაზს, ხელს უშლიდა კონტრაქტაციას, პურის დამზადების კამპანიას, მჭიდრო კავშირი ჰქონდა კულაკებთან და ავიწროებდა ღარიბ გლეხებს. მასვე გაფლანგული აღმოაჩნდა რამდენიმე ათასი მანეთი.

კოოპერაცია—კულაკების სამსახურში

კაკაბეთის (კახეთის ოლქი) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარე—პარტიის კანდიდატი—სვიმონიშვილი ღარიბ გლეხთა კოოპერატიულად შეკავშირების ფონდს იყენებდა თავის პირად და კულაკების საჭიროებისათვის; ღარიბული გლეხები კი ვერ სარგებლობდნენ კოოპერაციით, სამაგიეროთ კოოპერაცია დიდ სამსახურს უწევდა კულაკებს და საარჩევნო ხმაწართმეულებს. მარტო სვიმონიშვილმა ღარიბულ გლეხთა ფონდიდან მიითვისა 9.000 მანეთი.

კოლექტივი დაშალეს

სოფ. ქვემო-ხოდაშენის (კახ. ოლქი) უჯრედის მდივანმა მიქელაშვილმა, უჯრედის წევრებმა ბატიაშვილმა და დუთისაშვილმა მიწათმოწყობის ჩატარების დროს არა თუ გაამაგრეს არსებული კოლექტივი, არამედ თვით კოლექტივს ჩამოართვეს მიწები და დასამუშავებლად გადასცეს კულაკებს.

ისინი ვერ ურიგდებოდენ კოლექტივის არსებობას და მანამ არ მოისვენეს, ვიდრე სრულებით არ დაშალეს ის.

აღმასკომის თავმჯდომარე კოლექტივის წინააღმდეგ

წინანდალის (კახ. ოლქი) აღმასკომის თავმჯდომარეთ პარტიის წევრი იოსებ მსუქნიაშვილი დიდის აღფრთოვანებით აირჩიეს ღარიბმა გლეხებმა, მაგრამ მან ვერ გაამართლა იმედები. თავმჯდომარეთ არჩევის დღიდან მსუქნიაშვილმა, იმის მაგიერ, რომ დახმარებოდა ღარიბებს, შევიწროება დაუწყო მათ, ხოლო როცა კოლექტივი დაარსდა, მაშინ ღარიბებს ნამდვილი „ომი" გამოუცხადა.

მსუქნიაშვილს ჰქონდა ორი დესეტინა ვენახი, რის გამო ის არ შევიდა კოლექტივში და ყოველ საშუალებას მიმართავდა კოლექტივის წინააღმდეგ. მისი ენერგიული „მუშაობით" კოლექტივი მალე დაიშალა.

დედამ „დაუშალა" კოლექტივის წევრობა

სანამ მსუქნიაშვილი დაშლიდა წინანდალის კოლექტივს, კოლექტივიდან გავიდა პარტიის წევრი სოსია გემაზაშვილი. შეკითხვაზე, თუ რატომ გადის კოლექტივიდან—გემაზაშვილმა განაცხადა, რომ „კოლექტივის წევრობას დედა მიშლის და მის წინააღმდეგ ვერ წავალო". ნამდვილად კი მას არ უნდოდა ვენახი გადაეცა კოლექტივისათვის.

კოლექტივის ულირსი წევრები

შაშიანის (კახ. ოლქი) უჯრედის მდივანმა არჩილ მღებრიშვილმა და აღმასკომის თავმჯდომარემ—ნარეკლიშვილმა თავიანთი ქონება მამებს და ძმებს გადასცეს და ხელცარიელი შევიდნენ კოლექტივში, როდესაც კოლექტივის წევრებმა მათ მოთხოვეს თავიანთი ქონებაც გადაერიცხათ კოლექტივის ფონდში, მღებრიშვილმა და ნარეკლიშვილმა კოლექტივის წევრები გამოაცხადეს კონტრრევოლიუციონერებათ და კოლექტივიდან გამორიცხეს ისინი. ამრიგად დაიშალა შაშიანის კოლექტივი.

ამავე სოფლის კოლექტივში წევრად იყო პარტიის წევრი ბისკინაშვილი, რომელიც მთელ დღე მხართეძოზე იწვა და არაფერს აკეთებდა, უსაქმოდ დახეტიალობდა სოფლებში. საღამოს, როდესაც კოლექტივის წევრები დაღლილი ბრუნდებოდნენ ყანებიდან, ის მინდორში იჯდა და სიმღერით ირთობდა თავს. კოლექტივის უპარტიო წევრებმა ზარმაცი ბისკინაშვილი გარიცხეს კოლექტივიდან. როდესაც მღებრიშვილმა და ნარეკლიშვილმა კოლექტივი დაშალეს, ბისკინაშვილმა დაიწყო კოლექტივის წევრების დევნა და ეუბნებოდა მათ: „**ჩემი კოლექტივიდან გამორიცხვა რომ არ შეგრჩებოდათ, თავიდანვე უნდა გცოდნოდათო**".

ბანდიტები კოლექტივში

სიმონ კუპრაშვილს და რამაზ გორიტაშვილს **სოფ. ნუკრიანში** (კახ. ოლქი) იცნობდნენ როგორც ბანდიტებს. ამ პირებმა მოახერხეს პარტიაში შეძრომა და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე წამოსკუპება. პირველი ითვლებოდა ნუკრიანის უჯრედის მდივნათ და მეორე საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარეთ.

დაარსდა თუ არა კოლექტივი ნუკრიანში, ისინი მაშინვე ჩაეწერნენ მასში; არა იმისათვის, რომ ემუშავათ და გაეძლიერებიათ კოლექტივი, არამედ თავიანთი პირად სარგებლობისათვის გამოეყენებიათ ის. მართლაც კუპრაშვილმა და გორიტაშვილმა კოლექტივი გადაიქციეს სასპეკულაციო ორგანიზაციად და უკონტროლოდ ფლანგავდნენ კოლექტივის ქონებას.

გლეხების სამართლიანი მოთხოვნილებით კუპრაშვილი და გორიტაშვილი გამორიცხეს როგორც კოლექტივიდან, ისე პარტიიდან.

სათანადო ორგანიზაციების მიერ მიღებულია ზომები დამნაშავეთა დასასჯელად და კოლექტივების შემადგენლობის გასაჯანსაღებლად.

[illegible]

მემარჯვენეთა ანტიპარტიულ მუშაობას ბოლო უნდა მოეღოს

მოსკოვი, 16 ნოემბერი. მოსკოვში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში პარტიული კრებების მიერ მიღებული რეზოლიუციები გადაჭრით მოითხოვენ გაკოტრებულ მემარჯვენე უკლონისტებისაგან ანტიპარტიული მუშაობის შეწყვეტას, კატეგორიულად მოითხოვენ ც. კ-ის მომავალ პლენუმისაგან ორგანიზაციული ზომების მიღებას იმ ფრაქციონერების წინააღმდეგ, რომელნიც სცდილობენ პარტიის ლენინური რკინის დისციპლინის შერყევას. საწარმოო უჯრედები ბუხარინისა და მისი ჯგუფისაგან მოითხოვენ—უარჰყონ თავიანთი ანტილენინური შეხედულებები, წინააღმდეგ შემთხვევაში, წინადადებას აძლევენ ც. კ-ს, გამოიყვანოს ბუხარინი პოლიტბიუროს შემადგენლობიდან. (ადს).

შავი ზღვის ფლოტის კომკავშირელები ორ ფრონტზე ბრძოლის შესახებ

შავი ზღვის ფლოტის კომკავშირისა და სევასტოპოლის სამოქალაქო ორგანიზაციის აქტივის თათბირმა, მემარჯვენეების წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღებასთან ერთად, მოითხოვა, რომ **კოსტროვმა, ბობრიშევმა** და სხვა „მემარცხენე" ფრაზიორებმა აღიარონ თავიანთი შეცდომები.

მემარჯვენეთა დეზორგანიზატორული მუშაობის წინააღმდეგ სათანადო რეზოლიუციები მიიღეს აგრეთვე ლენინგრადისა და სხვა ქალაქების მსხვილი წარმოების და დაწესებულებების პარტორგანიზაციებმა.

უკრაინის პარტორგანიზაციები ორგანიზაციულ ზომებს მოითხოვენ მემარჯვენეთა წინააღმდეგ

ხარკოვი, 16 ნოემბერი. არტემის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის, ორთქლმავლების სამშენებლო ქარხნის უკრაინის ს.ს. რესპუბლიკის სახელმწიფო პოლიტსამმართველოს და სხვ.) პარტ-უჯრედები მოითხოვენ, რომ ბუხარინის მემარჯვენე ფრაქციონერების წინააღმდეგ მიღებულ იქნას ორგანიზაციული ზომები. ამავე დროს კრებებს საჭიროდ მიაჩნიათ შეუწყვეტელი ბრძოლის წარმოება ტროცკიზმის რეციდივებთან, „მემარცხენე" რყევასთან და გადახრების მიმართ შემრიგებელ დამოკიდებულებასთან.

ოქტომბრის რაიონის გაფართოებულ აგიტპროპთათბირს საჭიროდ მიაჩნია მოსთხოვოს მემარჯვენე ოპოზიციას, რომ მან დაუყოვნებლივ შესწყვიტოს ფრაქციული მუშაობა და უარჰყოს თავისი ოპორტუნისტული პლატფორმა. თათბირი საჭიროდ სთვლის მემარჯვენე ოპოზიციის მეთაურების გამოყვანას ხელმძღვანელი ორგანოებიდან; ამასთან ერთად პარტუჯრედები მოითხოვენ „პროფესორების" — **აიხენვალდის, სლეპკოვის, ზაიცევისა** და ბუხარინის სკოლის იმ წარმომადგენლების, სამუშაოდან მოხსნას, რომელნიც პარტიის საწინააღმდეგო შეხედულებათა პროპაგანდას ეწევიან.

ასეთივე რეზოლიუციები მიიღეს **პეტროვსკის** სახელობის ქარხნის სამქრო პარტუჯრედების კრებებმა, **ველოქარხნის** პარტკოლექტივებმა, **ჩუბარის** სახელობის ქარხნისა და **„წითელი ძაფი-ს** ფაბრიკის პარტკრებებმა და სხვ.

ბუხარინმა უნდა აღიაროს თავისი პოლიტიკური შეცდომები

ნიჟნი-ნოვგოროდი, 16 ნოემბერი. კანავინის რაიკომის და [illegible] საოლქო კომიტეტის პლენუმებმა და ნიჟნი-ნოვგოროდის უჯრედების მრავალმა კრებამ ც. კ-ს წინადადებით მიმართეს—მოსთხოვოს ბუხარინის ჯგუფს, რომ მაი დაუყოვნებლივ შესწყვიტოს ფრაქციული გამოსვლები, აღიაროს თავისი პოლიტიკური შეხედულებათა სრული შეცდომა და სავსებით დამორჩილდეს ბოლშევიკურ რკინისებურ დისციპლინას.

განათლების მუშაკები პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

15 ნოემბერს, რკინის გზის მე-8 შრომის სკოლაში შესდგა ლენინის რაიონის განათლების მუშაკთა კომუჯრედისა და კომკავშირის გაერთიანებული კრება. კრებამ მოისმინა ინფორმაცია მემარჯვენე კაპიტულიანტების ანტიკომუნისტურ მუშაობაზე.

განათლების მუშაკები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ახალი ადამიანის აღზრდას, ფიცს სდებენ, რომ ოდნავადაც არ შეანელებენ ბრძოლას მემარჯვენეობისა და მასთან შემრიგებლობის წინააღმდეგ.

მიუხედავად მთელი რიგი გაფრთხილებისა, მემარჯვენე ოპოზიციონერები ფარხმალს არ ყრიან, არ ემორჩილებიან მე-16 პარტ. კონფერენციის და აპრილის პლენუმის დადგენილებებს ფრაქციულ მუშაობის შეწყვეტის შესახებ. პირიქით, ისინი უსირცხვილოდ ესხმიან თავს ლენინის პარტიის ცეკას, დაჟინებით აგრძელებენ თავიანთ თეორიული შეცდომების დაცვას; მემარჯვენეები ხელს გვიშლიან ხუთწლიანი გეგმის განხორციელებაში, ხელს გვიშლიან ახალი კადრების აღზრდის საქმეში.

პარტია ვერ მოითმენს ფრაქციულ მუშაობის გაგრძელებას, პარტია არ დაუშვებს ხუთწლიანი გეგმის წინააღმდეგ გალაშქრებას, პარტია ნებას არავის მისცემს ათასგვარი ჭორები შეთხზას ცეკას სწორ ხელმძღვანელობის წინააღმდეგ.

ამიტომ კრება ერთსულოვნად მოითხოვს, რათა მემარჯვენეების წინააღმდეგ მიღებულ იქნეს სასტიკი ზომები.

— ჩვენ განათლების მუშაკები, ნათქვამია ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში,—რომლებიც საკმაოდ გარკვეული ვართ მარქსიზმსა და ლენინიზმში, ყოველ წუთს მზად ვიქნებით დავიცვათ პარტიის ლენინური მთლიანობა; დეზორგანიზატორ-ოპორტუნისტებს კი პარტიამ უნდა უთხრას: **ან პარტიაში ან პარტიის გარედ.** ის ვინც არ დაემორჩილება პარტიის ნებას, არ აღიარებს თავის შეცდომებს და კვლავ ჩაებმება ფრაქციულ მუშაობაში—პარტია უნდა დასტოვოს.

უჯრედი მოითხოვს მემარჯვენე იდეოლოგების წინააღმდეგ ორგანიზაციული ზომების მიღებას.

— ჩვენ გვინდა მუშაობა,—ჩვენ აქტიურად ვართ ჩაბმული სოციალისტურ მშენებლობაში. ჩვენი მიზანია ხუთწლიანი გეგმის ოთხ წლის განმავლობაში შესრულება, ამ დროს მემარჯვენეთა გამოსვლა ზურგიდან ლახვარის ჩაცემას უდრის. ხელისშემშლელნი დროზე უნდა მოვიცილოთ თავიდან, რათა ჩქარი ტემპით გავსწიოთ წინ სოციალიზმისაკენ.

ვგმობთ მემარჯვენეთა მუშაობას

საქონლის სადგურის კომუჯრედის კრებამ მოისმინა ამხ. კეკელიძის მოხსენება მემარჯვენე ოპოზიციის ფრაქციული მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა კრებას გააცნო მემარჯვენეების აშკარა ფრაქციული გამოსვლები ამ უკანასკნელ დროს. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსული ამხანაგები მოითხოვენ სასტიკი ზომების მიღებას ფრაქციონერების წინააღმდეგ. კამათის და სიტყვის შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, სადაც დაგმობილია მემარჯვენეთა ფრაქციული მუშაობა და ბუხარინის წინააღმდეგ ორგანიზაციული ზომების გამოყენება.

მოხსნილია თანამდებობიდან

პოკროვსკი, 15 ნოემბერი. საოლქო კომიტეტის ბიუროს და საოლქო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა—აშკარა მემარჯვენე ოპორტუნისტული გადახრისა და პარტიული ხაზის უქონლობისათვის **საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატის შემადგენლობიდან გამოყვანილ იქნას გერმანელთა რესპუბლიკის სახალხო კომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. სუპიესი,** რომელიც მოხსნილია თანამდებობიდან და აკრძალული აქვს საპასუხისმგებლო თანამდებობის დაკავება არა ნაკლებ სამი წლის განმავლობაში.

ორშაბათს, 18 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, ჩვენი რედაქციის ბინაზე
(კამოს ქ. № 68) შესდგება
გაზ. „კომუნისტი"-ს თბილისის მუშკორებისა
და ფაბრიკა-ქარხნებთან არსებულ კედლის გაზეთების
წარმომადგენელთა კრება.
დღის წესრიგში—„კომუნისტი-"ს რედაქციის მოხსენება. მუშკორებისა და კედლის გაზეთების წარმომადგენლების დასწრება აუცილებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა აპარატის შემოწმება და წმენდა

მასების ფართო მონაწილეობით გავაჯანსაღოთ საბჭოთა აპარატის მუშაობა

წმენდამ ა.-კ. ფინსახკომში გამოააშკარავა აპარატის თვალსაჩინო დეფექტები

მოსამზადებელი მუშაობა პროფკავშირებში ძალზე სუსტად მიმდინარეობს

აპარატის წმენდა გორის ოლქში იწყება 20 ნოემბერს

წმენდა ა.-კ. ფინსახკომში

ყოფ. „უწმინდესი" სინოდის განსაკუთრებული დავალებათა მოხელე და მენშევიკური მინისტრი ა.-კ. ფინსახკომის აპარატში. — დეფექტები საბიუჯეტო სამმართველოს მუშაობაში: სამმართველო აგვიანებს ბიუჯეტის შედგენას, სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევს ადგილებს, ბიუჯეტის შედგენის დროს მხედველობაში ვერ იღებს ადგილებიდან მიწოდებულ ცნობებს

ამიერ - კავკასიის ფინსახკომის აპარატის გამწმენდ კომისიის მესამე სხდომაზე, 15 ნოემბრის საღამოს, გამოძახებული იქნა საგადასახადო სამმართველოს უფროსი ინსპექტორი დროზდოვი.

მას მუშაობა დაუწყია საეკლესიო უწყებაში ყოფ. პეტერბურგში — სინოდის განსაკუთრებულ დავალებათა მოხელის თანამდებობაზე. შემდეგ გადასულა სამოქალაქო სამსახურში. კომისიას მის შესახებ აქვს ცნობა, რომ იგი გამოკვლევების დროს კმაყოფილდება მშრალი რეგისტრით და ადგილებზე არ ძლევს სათანადო ინსტრუქციებსა და რჩევა - დარიგებას. ამ ბრალდებას იგი უარყოფს. ამა თუ იმ ნაკლის აღმოჩენასთან უსათუოდ ხდება საუბარი მისი გამოსწორებისა და საქმის უკეთ დაყენების შესახებ, — აცხადებს იგი.

— ყოფილხართ თუ არა თქვენ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" წევრი, — ეკითხებიან მას.

— არ ვყოფილვარ. ისეთ რაიონებში ვმუშაობდი, სადაც რუსები ცოტა არიან (ზაქათალასა და სხვ.).

განყოფილების გამგის დახასიათებით იგი კარგი მუშაკია, მაგრამ კლასობრივი ხაზის გატარების დროს საჭიროებს ზედამხედველობას.

შემდეგ გამოძახებულ იქნა ბახტაძე. იგი [illegible] წლიდან არის გამოსული. მენშევიკური პარტიის ყოფილი აქტიური მუშაკია. მენშევიკების დროს ეჭირა მრავალი საპასუხისმგებლო თანამდებობა. იყო შრომის მინისტრის ამხანაგადაც. მისი განცხადებით, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ლოიალურად არის განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი და პირველ ხანებიდანვე იდგა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის თვალსაზრისზე. ბევრის რამეში არ ეთანხმება კომუნისტურ პარტიას, რის გამო, არ უცდია პარტიაში შესვლა. ირიცხებოდა „ახალგზელებთან".

სამმართველოს უფროსი მას ახასიათებს როგორც საშუალო ტექნიკურ მუშაკს. [illegible] მუშაობა არ შეუძლია.

გამოძახებული იქნა რამიშვილი (საგადასახადო განყოფილების ახალგაზრდა სტატისტიკოს - ეკონომისტი). სწავლობს უნივერსიტეტში. ყოფილი ახალგაზრდა მარქსისტია. მისი განცხადებით იგი თავს ვერ გრძნობს იმდენად მომზადებულად, რომ პარტიაში შევიდეს. აქტიურად მუშაობს საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

სამმართველოს უფროსის დახასიათებით იგი ნიჭიერი ახალგაზრდაა. ერთი - ორი წლის პრაქტიკის შემდეგ მისგან შეიძლება დარჩეს კარგი მუშაკი.

რამიშვილის დაკითხვის შემდეგ მოსმენილი იქნა საბიუჯეტო სამმართველოს უფროსის ამხ. ფუხიაას მოხსენება, სამმართველოს მუშაობის შესახებ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც პირველი სიტყვით გამოვიდა სომხეთის ფინანსთა სახ. კომისარიატის წარმომადგენელი.

როგორც მოხსენებიდან, აგრეთვე კამათიდან გამოირკვა, რომ ბიუჯეტის შედგენა საერთოდ მეტად იგვიანებს, რაც გამოწვეულია თვით ფინორგანოების მიზეზით.

სომხეთის ფინსახკომის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფინანსთა სახ. კომისარიატმა და კერძოდ საბიუჯეტო სამმართველომ არა საკმაო მონაწილეობა მიიღეს სახალ. მეურნეობის 5 წლიანი გეგმის შედგენაში. რესპუბლიკანური ფინანსთა სახალხო კომისარიატებისადმი ა.-კ. ფინსახკომის საბიუჯეტო სამმართველო ხშირად იჩენს არა საჭირო და ზედმეტ მეურვეობას. სხვადასხვა დავალებათა შესასრულებლად, ნიშნავს ისეთ ვადებს, რომლების განმავლობაში ტექნიკურად შეუძლებელია დავალების შესრულება. ამასთანავე ამ დავალებათათვის საჭირო საკონტროლო ციფრებს საბიუჯეტო სამმართველო ადგილებს უგზავნის დავალების შესრულების ვადის მიწურულში. ბიუჯეტის შედგენის დროს საბიუჯეტო სამმართველო არავითარ ანგარიშს არ უწევს ადგილების მიერ მოწოდებულ ცნობებს და ბიუჯეტს ხშირად შემცდარი ციფრებით ადგენს.

დასარიგებელ ხელფასის ასიგნობას საბიუჯეტო სამმართველო იძლევა მხოლოდ 14 ან 15 რიცხვში და თვის უკანასკნელ დღეს და არავითარ ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ ხელფასი გასაცემია არა მარტო ქალაქებში, არამედ მივარდნილ კუთხეებშიაც, სადაც ფულის ,ან ასიგნობის მიტანას სჭირდება ორი - სამი დღე. ასევე ჭიანურდება მრავალი სხვა საკითხი.

საბიუჯეტო სამმართველოს მუშაობის ერთ-ერთი ნაკლია აგრეთვე ის, რომ სამმართველოს უფროსი თვითონ სწყვეტს ზოგიერთ ისეთ საკითხებს, რომლებიც თამამად შეიძლება ჩაბარდეს აპარატის რომელიმე სხვა პასუხისმგებელ მუშაკს. ამით ჯერ ამ საკითხების მოგვარება დაჩქარდებოდა და შემდეგ სამმართველოს უფროსს მეტი დრო ექნებოდა უკეთ გაერჩია უფრო რთული და მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ამჟამად მას ვერ აქვს სათანადოდ დამუშავებული.

კამათი გადაიდო შემდეგ სხდომისთვის, რომელიც შესდგება დღეს საღამოს 6 საათზე.

მონადირეები ტყავტრესტიდან

ტყავტრესტის ქარხანა № 1-ის საშეფო კომისიამ გადასწყვიტა საშეფო სოფ. დურნუკში ოქტ. რევოლ. 12 წლის თავის აღსანიშნავი საღამოს მოწყობა. ამ საქმის მოსაგვარებლად საჭირო შეიქნა ავტომანქანა, რისთვისაც საშეფო კომისიამ თხოვნით მიმართა ამავე ქარხნის დირექტორის გარდავას, მაგრამ უკანასკნელმა უარი განუცხადა იმ მიზეზით, რომ მანქანა საჭირო იყო სოღანლუღიდან სამოქალაქო ქვაბის გადმოსაზიდად.

ამის შემდეგ საშეფო ორგანიზაცია იძულებული შეიქნა მიემართა პირველ ლეგიონისათვის, რათა უკანასკნელს ეთხოვებინა ფურგონი სოფელში წასასვლელად. და მართლაც საქმე ასე მოეწყო. შეფი ფურგონით წავიდა სოფ. დურნუკში, რამაც საღამოს ჩატარებას საგრძნობლად შეუშალა ხელი.

ამავე დროს კი ტრესტის დირექტორი მორჩილაძე და მისი მოადგილე ბაბაიანი აგროვებენ მუშებს სანადიროთ წასასვლელად; 7 ნოემბერს, მორჩილაძე, ბაბაიანი და კიდევ ხუთი მუშა, ავტო - მანქანით გაემგზავრნენ სანადიროთ, სადაც ოთხი დღე დაჰყვეს.

ყოველივე ეს მხედველობიდან არ გამოეპარა მსუბუქ კავალერიას, რომელმაც სათანადოთ გამოიკვლია ეს საქმე და აღმოჩნდა შემდეგი:

დირექტორი მორჩილაძე და მისი კომპანია სანადიროთ გაემგზავრენ ქარხნის ავტო-მანქანით 7 ნოემბერს, და სამუშაოზე არ დაბრუნებულან 12 ნოემბრამდე. გზაში მანქანა დამტვრეულა და მის შეკეთებას დასჭირვებია 2 დღე, ხოლო ამავე დროს ავტო მანქანა ქარხნისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. მანქანის უქონლობის გამო საკმაო რაოდენობა ტყავისა გადაუზიდავი დარჩა.

სიტყვა ეკუთვნის მუშგლეხინს და საბჭოთა აპარატის გამწმენდ კომისიას.

კავალერისტი.

აპარატის წმენდა პროფკავშირებში

მოსამზადებელი მუშაობა ძალზე სუსტად მიმდინარეობს

აპარატის წმენდა საქართველოს პროფორგანიზაციებში უნდა დაწყებულიყო 15 ნოემბრიდან, მაგრამ მოსამზადებელი მუშაობის სუსტად მიმდინარეობის გამო წმენდა გადაიდო.

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმთან გამოყოფილია წმენდის ჩამტარებელი ცენტრალური კომისია, რომელსაც ევალება როგორც საკავშირთაშორისო, ისე ცალკე კავშირების ორგანიზაციების პირადი შემადგენლობის გადასინჯვა. წმენდაში გატარებული იქნებიან ყველა თანამშრომლები, გარდა არჩეული მუშაკებისა.

ცენტრალურმა კომისიამ შეადგინა ს. პ. კ. ს. თანამშრომელთა სიები, რომლებიც გადაუგზავნა საკავშირო ორგანიზაციებს; ეს უკანასკნელები უნდა გასცნობოდნენ ამ სიებს და თუ აქვთ რაიმე მამხილებელი მასალები გადმოეგზავნათ ცენტრალურ კომისიაში. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი ორგანიზაციისაგან არის მიღებული პასუხი, ისიც იტყობინება, რომ არავითარი მამხილებელი მასალები არ გვაქვსო.

მთელი მოსამზადებელი მუშაობა გამოიხატა იმაში, რომ კავშირების ცენტრალურ გამგეობებმა შეადგინეს თავიანთ თანამშრომლების სიები და გადაუგზავნეს ცენტრალურ კომისიას; კავშირებს ჯერაც არ შეუდგენიათ თანამშრომლების მუშაობის დახასიათება, არც რაიმე ახსნა - განმარტებითი მუშაობა უწარმოებიათ მათში.

ცენტრალურმა კომისიამ მუშათა სასახლეში გამოკიდა ყუთები, რომლებშიაც უნდა ჩაეშვათ მამხილებელი მასალები ამა თუ იმ თანამშრომლის შესახებ, მაგრამ ყუთები თითქმის ცარიელია, რადგან ფართო მასა გაცნობილი არ არის წმენდის დანიშნულებას და გულგრილად ეპყრობა მას.

აღსანიშნავია, რომ ცენტრალურ კომისიას ჯერ არც ერთი მოხსენება არ გაუკეთებია თანამშრომელთა კრებაზე (პირველი კრება უნდა შემდგარიყო გუშინ); არავითარი ახსნა-განმარტებითი მუშაობა არ არის ჩატარებული აგრეთვე წარმოება - დაწესებულებებში.

გამწმენდელთა ადგილები შევსებული უნდა იქნეს დაწინაურებული მუშებით. ამ მიზნით, კავშირებს წინადადება მიეცათ გამოჰყონ მუშათა ბრიგადები ხუთ - ხუთი კაცის შემადგენლობით და მიიღონ ზომები მათ მოსამზადებლად. ბრიგადები გამოყოფილი უნდა ყოფილიყო აგრეთვე მაზრებშიაც. აღნიშნული სამუშაო ჯერ კიდევ არ არის ყველგან დამთავრებული, მიუხედავათ იმისა, რომ ამ დღეებში წმენდა უნდა დაიწყოს.

პირველ რიგში წმენდა ჩატარებული იქნება ა. კ. პროფსაბჭოში. მარტო თბილისში წმენდაში გატარებული იქნება 500-დე კაცი.

აპარატის წმენდა საქართველოს პროფესიონალურ კავშირებში დამთავრებული უნდა იქნეს 1 იანვრისათვის.

გამოწვევას ვღებულობთ

(თბილისის დეპო)

თანახმად ქარხანა „თემქა"-ს გამოწვევისა, რომ შეფობის ქვეშ აყვანილი იქნეს რომელიმე დაწესებულება საბჭოთა აპარატის გასაწმენდად, ჩვენ დეპო და სავაგონო პარკი ვიღებთ შეფობას „ზაკტპო"-ს სამმართველოსა და მის წერტილებზე—ფარდულებზე თბილისის ფარდულებში. გამოყოფილია კომისია 17 კაცისაგან დეპოს კოლექტივის მდივნის ამხ. ბაგრატ ბაზუციძის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალა სათანადო მუშაობის ჩატარება.

კოლხიდელი.

მოსამზადებელი მუშაობა სახელგამში

სახელგამში აპარატის წმენდისათვის მოსამზადებელი მუშაობა დაიწყო სექტემბრის პირველ რიცხვებიდან. მოსამზადებელ მუშაობის ჩამტარებელ კომისიაში შედიან ადგილობრივ კომუჯრედის და ადგილკომის წარმომადგენლები.

მოსამსახურეთა გაერთიანებულ კრებებზე ტარდებოდა მოხსენებები და საუბრები აპარატის ნაკლისა და მისი გაჯანსაღების საჭიროების შესახებ.

დამხმარე კომისიის უშუალო ხელმძღვანელობით გამოშვებულ იქნა კედლის გაზეთის სპეციალური ნომრები და სათანადო პლაკატები.

მოსამზადებელ მუშაობის უარყოფით მხარედ ჩაითვლება ის, რომ „მსუბუქი კავალერიის" რაზმს და მუშათა დამკვრელ ბრიგადებს არ მოუხდენიათ სახელგამის აპარატის საქმიანობის გამოკვლევა, რის გამო წმენდისათვის კანდიდატები სათანადოთ ვერ არის შერჩეული.

წმენდის დაწყება სახელგამში განზრახულია ახლო ხანში.

შალი.

თვითკრიტიკის საღამო

(ქ. გორი)

საბჭოთა აპარატის წმენდის წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა გორის ოლქში დამთავრდა. დაიწყო მუშაობა აპარატის შესწავლისა და თანამშრომელთა წმენდისათვის. 14 ნოემბერს გორის მუშათა კლუბში საბჭოთა-სავაჭრო მუშაკების კავშირის საქალაქო კრებამ მოისმინა საანგარიშო მოხსენება ოლქფინგანის მუშაობის შესახებ.

მომხსენებელს მისცეს აუარებელი შეკითხვები, რომელზედაც ვერ იქნა გაცემული დამაკმაყოფილებელი პასუხი. მაგ. შეკითხვაზე: „ქონდა თუ არა ადგილი თქვენთან ბიუროკრატიზმის და საქმის გაჭიანურების შემთხვევებს", მომხსენებელმა ასეთი პასუხი მისცა: „ჩვენს დაწესებულებაში ბიუროკრატები არ არიან და არც რაიმე ვოლოკიტას ჰქონია ადგილი"-ო. რაციონალიზაციის საკითხებზე და მუშათა ახალი კადრის დაწინაურებაზე მომხსენებელმა განაცხადა: „ვფიქრობ ერთი წელიწადია და ვერაფერი ვერ მოვიფიქრებია ამ რაციონალიზაციაზე და დაწინაურებაზეო".

კრებაზე გამოვიდენ ამხანაგები, რომელთაც აღნიშნეს ოლქფინგანის ბნელი და ნათელი მხარეები, ასე მაგ. არის შემთხვევები სასტიკი ბიუროკრატიზმისა. ქარელიდან სასამართლოს დარაჯს მთელი თვეობით ატარებენ იმის გამო, რომ მას ერგება სპეც. ტანისამოსის ფული. ხშირია ბიუჯეტის დარღვევის, თანხების უკანონოთ გაცემის, გაცემულ ავანსების გაუმართლებლობის, ფინკონტროლის მიერ შედგენილი აქტის გაუნაღდებლობის და სხვა შემთხვევები.

აღსანიშნავია, რომ მოკამათენი მეტ წილად პიროვნებებზე ლაპარაკობდნენ და აპარატის სუსტ მუშაობის მიზეზებს ვერ ასახელებდნენ.

კამათში გამოსულმა მუშკორი კ. მგელაძემ აღნიშნა ხელმძღვანელ ორგანიზაციათა დაუშვებელი მოქმედება, როდესაც განყოფილებას ძალით აიძულებენ გასცე ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ხარჯები. მგელაძემ მოიყვანა მაგალითი, როდესაც ხელმძღვანელი პასუხისმგებელი ამხანაგები, ყოველგვარ კანონების გარეშე, ღებულობდნენ ასობით და ათასობით, რაც გაფლანგვათ უნდა ჩაითვალოს. საფინანსო განყოფილების 23 თანამშრომლიდან არც ერთი თანამშრომელი არ გამოსულა კამათში.

საფინ. განყ. წმენდა დაიწყება 20 ნოემბერს.

ძველი მუშკორი.

ფართო გზა გამომგონებლობას

მუშათა არც ერთი მნიშვნელოვანი წინადადება უყურადღებოდ [illegible]

ამხ. შავგულიძის გამოგონება

(მატარებლის ახალი მუხრუჭი)

კარგი და უნაკლო ავტომატიური მუხრუჭი მთელ მსოფლიოში — დღემდე არ მოიპოვება. ამავე დროს რკინის გზების განვითარებაში პირდაპირ მოქმედ ავტომატიურ მუხრუჭს პირველი ადგილი უჭირავს.

წარმოუდგენელია თანამედროვე, ას ვაგონიანი შემადგენლობის მატარებელი, რომელიც ერთ კილომეტრ მანძილზეა გაჭიმული, ავტომატიური მუხრუჭის გარეშე, რაიმე შემთხვევის დროს, მემანქანემ თავის ნებაზე გააჩეროს. ხელის მუხრუჭებით დამუხრუჭება კი თანაბრად შეუძლებელია. მაშასადამე, გრძელ და დიდი წონის მატარებლების ხელით დამუხრუჭების დროს — ყოველთვის შესაძლებელია მატარებლის გაწყვეტა, და დაჯახება.

ამიტომ მთელმა რიგმა გამომგონებლებმა გამოიყენეს დაწნეხული ჰაერი, რომლის შემწეობითაც სხვა და სხვა ხელსაწყოების საშუალებით ამუხრუჭებენ მატარებლის შემადგენლობას. ვაგონების ბორბლებზე, კალაპოტების მიწოლა, სათანადო ხახუნი იწვევს — მსვლელობის საწინააღმდეგო ძალას.

ამჟამად არსებული ავტომუხრუჭები: ბოზიჩის, დროლსჰამერის, კუნცე - კნორის და ვესტინგაუზის — ვერც ერთი ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებებს, რომლებსაც მათ უყენებს თანამედროვე ტექნიკა და რომლებიც მიიღო საერთაშორისო საკონგრესო ყრილობამ ბერნში.

მთავარი პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე ავტომუხრუჭები არის შემდეგი:

1. მუხრუჭი უნდა იყოს ავტომატიური (გაწყვეტის დროს თვით უნდა დამუხრუჭდეს) და მისი მართვა შეიძლებოდეს ერთი ადგილიდან; 2. უნდა შეიძლებოდეს დასამუხრუჭებელი ძალის, როგორც მომატება ისე დაკლება; 3. სამუხრუჭო ენერგია უნდა იყოს დაუშრეტელი, 4. მუხრუჭი უნდა მოქმედობდეს დაუყოვნებლივ ერთდროულად მთელი მატარებლის სიგრძეზე (მოქმედების დრო უნდა იქნეს რაც შეიძლება მოკლე); 5. უნდა იყოს მარტივი ისე, რომ ყველას ადვილად შეეძლოს მისი შეთვისება და არ იწვევდეს მისი ექსპლოატაცია - შეკეთება დიდ ხარჯებს, 6. მუხრუჭს უნდა შეეძლოს სხვადასხვა სისტ. მუხრუჭებთან მუშაობა, გარდამავალ ხანაში — სანამდის ყველგან ერთი სისტემის მუხრუჭები მოეწყობოდეს და, 7. მუხრუჭები უნდა იყოს ერთ ჰაერსადენიანი.

ამ მხრივ სრულიად ახალ ორიგინალურ გამოგონებას წარმოადგენს ამხ. ევგ. შავგულიძის ავტომატიური მუხრუჭი. ამხ. შავგულიძე — თვითონ მემანქანეა და თავის საქმის კარგი მცოდნე. მას კარგათ აქვს შესწავლილი ის მოთხოვნილებები, რომლებსაც თანამედროვე ტექნიკა უყენებს ავტო - მუხრუჭებს. მისი ახალი მუხრუჭები (მესამე ვარიანტი, რომლის ნახაზებიც გადაგზავნილია მოსკოვში გზ. კომისარიატის გამომგონებელ ბიუროში, აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნილებებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე ავტომუხრუჭი. (ყოველ შემთხვევაში — თეორეტიულათ, ვინაიდან ჯერ პრაქტიკული სტაციონალური გამოცდა არ მოუხდენიათ, რადგან უკანასკნელი — მესამე ვარიანტის ნახაზებია შედგენილი მხოლოდ). ამხ. შავგულიძის მუხრუჭს სხვა უპირატესობაც აქვს— არ შეიძლება, რომ მოხდეს თვით დამუხრუჭება და თუ ვინიცობაა, რომელიმე სამუხრუჭო ერთეული გაფუჭდა — თვით გამოერთვის და სხვა დანარჩენ მუხრუჭებზე არავითარ გავლენას არ მოახდენს. გარდა ამისა ამხ. შავგულიძის მუხრუჭი ზედმიწევნით უბრალო და მარტივია, აგებულია სრულიად ახალ პრინციპზე და მიღწეულია ჰაერის მინიმალური დახარჯვა - დამუხრუჭების დროს; სრული დასამუხრუჭებლათ საკმაოა, მთავარ ჰაერსადენ მილიდან გამოუშვათ დაწნეხული ჰაერის მხოლოდ ერთი მეოთხედი; ამრიგათ დაწნეხული ჰაერის მარაგი მუდამ აქვს და შეუძლია საჭიროების მიხედვით მოუკლოს სამუხრუჭო ძალას და მოუმატოს თავისივე ძალაზე უბრალო და ორიგინალურ მექანიკ. ორგანოს საშუალებით.

ამხ. შავგულიძის მიღწევები ამ დარგში უნდა ჩაითვალოს ღირსშესანიშნავათ. დოცენტი ეგორჩენკო, რომელიც მთელ საბჭ. კავშირში ითვლება საუკეთესო სამუხრუჭო საქმის მცოდნეთ, ამხ. შავგულიძის მუხრუჭს ახასიათებს, როგორც ღირსშესანიშნავ გამოგონებას; აძლევს უპირატესობას კაზანცევის მუხრუჭზე და გამოსთქვამს აზრს, რომ, თუ შეუწყობენ ხელს, შეუძლია გამოვიდეს პირველობისათვის ბრძოლაში მსოფლიო მასშტაბით.

ამჟამად შავგულიძის მთელი ნახაზები გადაგზავნილია მოსკოვში, „გამომგონებელთა ბიუროში". საჭიროა, რომ ამხ. შავგულიძე თვითონ გაიგზავნოს თავის პროექტის ასახსნელად და დასაცავად. სათანადო ორგანოებმა უნდა დაეხმარონ ამხ. შავგულიძეს, მით უმეტეს, რომ მას აქვს რამდენიმე სხვა მნიშვნელოვანი გამოგონებაც.

ვ. გოგიშვილი.



ამხ. შავგულიძე თავისი გამოგონებით

გაუმჯობესებული საჩარხავი მანქანა

ამხ. კოტლამაზაშვილი

კალინინის სახელობის სამექანიკო ქარხნის ახალგაზრდა მუშამ, ვანო კოტლამაზაშვილმა გამოიგონა სახარატო ჩარხის მოსაწყობი საჩარხავი მანქანა, რომლის საშუალებითაც იჩარხება ლითონის ირიბი ნაწილები ყოველ ზომის რადიუსის. ელექტრო მატორებს აქვთ კოლექტორები, რომლებიც შესდგება სპილენძის მრავალი ფირფიტებისაგან. ეს ფირფიტები არის ირიბული და რადიუსში ისინი ყველა ერთმანეთს უნდა უდგებოდეს და თანაბარიც იყოს.

დღემდე ეს ფირფიტები ირანდებოდა სახარატო მანქანებზე. დრო დიდი მიდიოდა მათ გარანდვაზე და ვერც თანასწორი გამოდიოდა. ამის გამო მათი გათანასწორება უხდებოდა ზეინკალს.

კოტლამაზაშვილის გამოგონებამ ეს საქმე გაამარტივა და საშუალება მისცა მუშას რა ზომის ფირფიტაც უნდა ისეთი გამოსჭრას. გამოგონებამ თავისი ნაყოფი უკვე გამოიღო და ელექტრო-მოტორების თვითღირებულებაც საგრძნობლად შეამცირა. ამხ. ვ. კოტლამაზაშვილმა გამოგონებაში მიიღო 270 მანეთი ჯილდო.

შაქრო ნავთლუღელი.

მექანიკური დაზგა

(საბჭ. მეურნ. ტრესტის ღვინის სარდაფში)

საბჭოთა მეურნეობის ტრესტის ცენტრალურ ღვინის სარდაფში შესდგა ადგილობრივ საექსპერტო კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა ამხ. პოპუას მიერ გამოგონილი ბორბლებით მოძრავი 4 ც. სამუშაო დაზგა—მაგიდა. ეს გამოგონება ამ წარმოებაში, სადაც ღვინოების და სხვადასხვა სასმელების ჩამოსხმა და გადატან - გადმოტანა სწარმოებს. აშკარა რევოლუციას ახდენს. რაც მთავარია ეს დაზგა საგრძნობლად უმსუბუქებს მუშებს შრომის პირობებს და ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

ტრესტის ცენტრალური სარდაფის ყველა სამუშაოები ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით არის მოწყობილი; მაგრამ ღვინით სავსე და ცარიელი ბოთლების სარდაფის განყოფილებებში მიტან - მოტანისათვის დღემდე ყურადღება არავის მიუქცევია და ის ისევ პრიმიტიულ მდგომარეობაში იყო. ჩამოისხმებოდა თუ არა ღვინო, ჩააწყობდნენ ყუთში და ოთხ ფუთიანი სიმძიმე ორი მუშას მიჰქონდა მანქანასთან. ამ ყუთში კი ეტეოდა მხოლოდ სამი ვედრო.

სარდაფი ყოველდღიურად ასხამს 500—600 ვედრა ღვინოს. გამოდის, რომ 200 ყუთი ოთხ - ოთხი ფუთით სამ ადგილას უნდა მიეტანათ მუშებს, ამოეწყოთ, და ისევ უკან უნდა ჩაეწყოთ, რასაც სჭირდებოდა დიდი დრო და დიდი ხარჯი.

ამხ. პოპუას სისტემის დაზგა - მაგიდა კი ყველა ამას თითონ ასრულებს. ჩამოისხმება, თუ არა ღვინო, იქვე ეწყობა დაზგაზე. ერთი მუშის ხელის წაზიდებით, 12 ვედრო ზედ დაწყობილი, ის თვითონ მიგორდება საკაპსულო, საეტიკეტო განყოფილებაში და როგორც კი გაუკეთდება ეტიკეტები, ისევ დატვირთულს, სრულიად ენერგიის დაუხარჯავად, ერთი მუშა წაიღებს იმ მიმართულებით, საითაც ამას საჭიროება მოითხოვს.

ამას გარდა უნდა აღინიშნოს, რომ ამ დაზგა - მაგიდაზე ბოთლების მტვრევას და ღვინის დაღვრას სრულებით არა აქვს ადგილი, ყუთებში კი ყოველდღიურად აუარებელი ბოთლები იმსხვრეოდა.

აღნიშნული დაზგა მომჭირნეობას მისცემს წარმოებას 12—15 ათას მანეთამდე წლიწადში.

ამხანაგ პოპუამ ასეთი დაზგა პირველად შემოიღო „საქართველოს ღვინო"-ს არაყის კონიაკის ქარხანაში. დღეს პოპუა მუშაობს საბჭოთა მეურნეობის ტრესტში და მის მიერ აქ გამართული დაზგა - მაგიდა უფრო გაუმჯობესებულია ყოველმხრივ.

საექსპერტო კომისიამ დაზგა - მაგიდები სხვა წარმოებისათვის უაღრესად მნიშვნელოვან მიღწევათ და საჭიროთ ჩასთვალა მისი დამზადება 30—40 ცალამდე.

ნ. ჯალაღანია.

ელექტრო-სინათლის თვითჩამქრობელი მანქანა

ქალ. 1-ლი საავადმყოფოს სამანქანო განყოფილების თანამშრომელმა ამხ. ჭელიძემ, თავისი მუყაითობით და ენერგიული შრომით დიდი სარგებლობა მოუტანა საავადმყოფოს. ამხ. ჭელიძის უნარიანობა იმაში გამოიხატება, რომ მან გამოიგონა ელექტრო დენის მომჭირნეობით დამხარჯავი ავტომატიური აპარატი, რომელიც დაწესებულებას აძლევს 200 მანეთამდე მომჭირნეობას თვეში. ზაფხულის პერიოდში, ხოლო ზამთარში 100 მანეთამდე. ამ ავტომატის მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ ავტომატი დანიშნულ საათზე თითონ აძლევს სინათლეს და თითონვე აქრობს მას, ასე, რომ არ ხდება ენერგიის ზედმეტი დახარჯვა და არ არის საჭირო სპეციალურად დანიშნული კაცი, როგორიც ეს იყო წინათ. ავტომატი დაამზადა თვით ჭელიძემ და საავადმყოფოში მიღებულიცაა ხმარებაში.

საჭიროა გამოგონება გულდასმით იქნეს შესწავლილი.

მეგობარი.

ამხ. ს.ჭელიძე

სკოლის ასაკამდე აღზრდის სამდღიური

ლაშქრობა დაიწყო

თბილისში სკოლის ასაკამდე აღზრდის საქმის გასაფართოებლად და ამ ასაკის ბავშვებისთვის სამოსწავლო ქსელის ისე მოსაგვარებლათ, რომ მის გარეშე არ დარჩეს არც ერთი ბავშვი,—ეწყობა ხანგრძლივი კულტურული ლაშქრობა. ლაშქრობის ხელმძღვანელი მთავარი შტაბი შედის თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილებასთან. ქალაქი დანაწილებულია რაიონებად; თითოეულ რაიონში ეწყობა ლაშქრობის ხელმძღვანელი ორგანიზაციების ქსელი, ამ ქსელის მოვალეობას შეადგენს სკოლის ასაკამდე ბავშვების აღრიცხვაზე აყვანა და ამ ბავშვების სამოსწავლო ბინებისა და სახსრების გამონახვა. სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებები უმთავრესად მოეწყობა საბინაო ამხანაგობებთან.

ლაშქრობა დაიწყო გუშინ. ლაშქრობის აღსანიშნავად მოეწყო სკოლის ასაკამდე ბავშვების დემონსტრაცია.

პროფკავშირების მონაწილეობა ლაშქრობაში

კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მეტად დიდი ამოცანები მშრომელთა შორის კულტგანმანათლებელ მუშაობის გაშლა - გაღრმავების დარგში, რაც მჭიდროთ დაკავშირებულია მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებასთან და დიადი სააღმშენებლო სამუშაოების პროგრამასთან (ბავშვების საყოველთაო სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლება, წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია მოზარდ მოსახლეობის შორის, სპეციალისტების მომზადება და სხვ.).

მიუხედავად უდიდესი მიღწევებისა, ამ დარგში, არ შეიძლება არ აღინიშნოს მაინც მთელი რიგი ნაკლოვანებანი, რომლებიც მოითხოვენ საზოგადოებრივი აზრის დარაზმვას და პროფორგანიზაციების აქტიურ მონაწილეობას მათი აღმოფხვრის საქმეში. დღევანდელი დღის ერთ - ერთ მტკივნეულ საკითხად მიჩნეული უნდა იქნეს სკოლის ჰასაკამდე ბავშთა აღზრდის საქმის სუსტად დაყენება. ასე, მაგალითად, მარტო თბილისში საბავშვო ბაღების გარეშე დარჩა 12.000 ბავშვი, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში კომუნისტური გავლენის და კომუნისტური აღზრდის გარეშე იქნებიან დატოვებული.

ვინაიდან ამ საკითხს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, საქ. პროფსაბჭომ წინადადება მისცა ყველა პროფორგანიზაციებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლის ჰასაკამდე ბავშთა აღზრდას.

სკოლის ჰასაკამდე ლაშქრობა, რომელიც 15 ნოემბერს დაიწყო, მიზნად ისახავს საზოგადოებრივი აზრის დარაზმვის საშუალებით გააფართოვოს სკოლის ჰასაკამდე აღზრდის ქსელი და პირველ რიგში ჩააბას მათში მუშების ბავშვები, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების წევრთა ბავშვები; ამ ლაშქრობას უნდა გამოეხმაურონ პროფკავშირების წევრებიც, რომლებიც აქტიურად უნდა ჩაებან მასში.

საქ. პროფსაბჭოს აზრით, პროფკავშირების მონაწილეობა ლაშქრობაში უნდა გამოიხატოს შემდეგში:

პროფკავშირებმა ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინონ განათლების კომისარიატის ორგანოებს, რომ სკოლის ჰასაკამდე ლაშქრობა წარმატებით იქნეს ჩატარებული; პროფკავშირებმა თავისი წარმომადგენლები უნდა გამოჰყონ ლაშქრობის ხელმძღვანელ შტაბებში.

კლუბებთან მოწყობილ უნდა იქნეს ბავშთა ოთახები და საბავშო მოედნები; სისტემატიური ახსნა - განმარტებითი კამპანია უნდა სწარმოებდეს ბავშვის დასჯის და მშობლების ლოთობის წინააღმდეგ. ამას გარდა კლუბებში უნდა მოეწყოს სპეციალური საღამოები, რომლებზედაც გაშუქებული უნდა იქნეს სკოლის ჰასაკამდე აღზრდის საკითხები.

ჩვენი გამოწვევა

სასკოლო ასაკამდე აღზრდის ლაშქრობის ფონდის გასაძლიერებლად მე-22 საბ. საბავშო ბაღის ბავშთა მშობლებს შემოგვაქვს 50 მან. და ვიწვევთ თბილისის ყველა საბავშვო ბაღების ბავშვთა მშობლებს.

ქიმიური ტრესტის მოწყობა

საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოში ქიმიური მრეწველობის ტრესტის მოწყობის შესახებ. ტრესტში შევა ს. მ. უ. საბჭოსთან არსებული ლაბორატორიული საცდელ-დამამზადებელი წარმოებები, რომლებიც წინეთ ეკუთვნოდა სამეცნიერო-ტექნიკურ ლაბორატორიას. ახალტრესტს სახელად ეწოდა „ქიმკომბინატი", მისი წესდებაც უკვე დაამტკიცა ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა და საქ. უმაღლ. ეკონომიურმა საბჭომ.

ახალი ტრესტი გააერთიანებს ყველა იმ ქიმიურ ნივთიერებათა დამამზადებელ წარმოებებსაც, რომლებიც დღემდე ს. მ. უ. ს. ექვემდებარებოდნენ, მაგრამ არ შედიოდნენ ლაბორმმართველობის სისტემაში. კერძოთ, ტრესტი შეუდგება სამკურნალო თაბაშირის (გიპსი), ალებასტრის, სადურგლო წებოს, თამბაქოს ესტრაქტების და სხვა ფართო მოხმარების ქიმიური პროდუქტების დამზადებას. სადურგლო წებო დამზადებული იქნება, როგორც საბჭოთა კავშირის ბაზრისათვის, ისე უცხოეთში გასატანად.

ახლო ხანში ტრესტმა უნდა დაიწყოს აგრეთვე ე. წ. ფოსფატების დამზადებაც. ფოსფატებზე დიდი მოთხოვნილებაა, როგორც მედიცინაში, ისე სოფლის მეურნეობაში. ფოსფატებიდან ამზადებენ სხვადასხვა სამკურნალო პრეპარატებს. შემდეგში ტრესტი მოაწყობს სკიპიდარის და კანიფოლის წარმოებებსაც.

ახალი ტრესტის მმართველად ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა დანიშნა ამხ. გ. ანდღულაძე.

სამშაბათს, 19 ნოემბერს, საღ. 6 საათზე თბილისის მუშათა უნივერსიტეტის კლუბში (კამოს ქ. № 52) შესდგება

თბილისის მუშათა ანტირელიგიური უნივერსიტეტის

მსმენელთა საორგანიზაციო კრება

დასწრება ყველა იმათი, ვინც განცხადება შემოიტანა, სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

საერთაშორისო მიმოხილვა

პროპაგანდისა და ურთიერთ ჩაურევლობის საკითხი. — იმპერიალისტების პრეტენზიები და ჩვენი კონტრპრეტენზიები.—როგორ ესმის მაკდონალდს ინდოეთის განთავისუფლება. — საფრანგეთის ფაშიზაცია. — პოლონეთი ახალი გადატრიალების მოლოდინში. — ჩინელ მილიტარისტების ხროვის დაშლა

თემთა პალატაში, ინგლის - საბჭოთა ურთიერთობის აღდგენასთან დაკავშირებით, გამართა შეკითხვები, იმ პოლიტიკის შესახებ, რომელსაც „მუშათა" მთავრობა საბჭოთა რესპუბლიკის მიმართ დაადგება. შუბლმაგრების მთავარი „ბრალდება" საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ყოველთვის იყო ის, რომ თითქო ჩვენ „დამანგრეველ მუშაობას" ვეწევით ინგლისსა და მის სამფლობელოებში, და ახლაც ისინი პირველ რიგში აყენებენ „საბჭოთა პროპაგანდის" საკითხს.

პროპაგანდისა და ურთიერთი ჩაურევლობის საკითხი, სხვებთან ერთად, შეადგენს მხარეთა მომავალი მოლაპარაკების საგანს. საბჭოთა მთავრობა იმ თავიდანვე იცავს სხვა ქვეყნების (მათ შორის ინგლისის) შინაურ საქმეებში სრული ჩაურევლობის პრინციპს. მაგრამ ჩაურევლობის ცნება კონსერვატორებს „თავისებურად" ესმით. ისინი მოითხოვენ, რათა საბჭოთა მოღვაწეებმა, კიდევ მეტი ჩვენმა პარტიულ მუშაკებმა და პრესამაც კი საერთოდ პირში წყალი დაიგუბონ და ხელი აიღონ ინგლისის წყობილების და კერძოდ მისი იმპერიალისტური პოლიტიკის კრიტიკისაგან. აშკარებული პრეტენზიაა, მეტი რომ არ ვსთქვათ. განა მტკიცება უნდა, რომ დიპლომატიური დამოკიდებულების დამყარება ინგლისს და საბჭოთა კავშირს შორის სრულებით არ ნიშნავს, ვითომ ჩვენ სოლიდარობას უცხადებდეთ ინგლისის ბურჟუაზიის პოლიტიკას, ანუ პირიქით, ვითომ ინგლისის ბურჟუაზია თითქო საბჭოთა კავშირის პოლიტიკას იწონებდეს. ასეთ ურთიერთ ვალდებულებას ერთმანეთშორის არ კისრულობენ კაპიტალისტური ქვეყნებიც კი, რომ არ ვილაპარაკოთ საბჭოთა რესპუბლიკაზე, რომელიც მთელი თავის ბუნებით და მიზნებით მათგან ძირ-ფესვიანად განირჩევა. მიუხედავად ამისა, ასეთია შუბლმაგართა პრეტენზიები: ჩვენი „დამანგრეველ" მუშაობის დასამტკიცებლად მათ ხომ ხშირად მოყავდათ ჩვენი პარტიულ ლიდერების ცალკე გამოსვლები და საბჭოთა გაზეთებიდან ამოჭრილი ციტატები. აქ აღსანიშნავი ისიცაა, რომ შუბლმაგრები ცდილობდნენ ამ დარგში ჩვენზე ცალმხრივ ვალდებულების თავზე მოხვევას: თვითონ ისინი არ ერიდებიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არავითარ პროვოკაციულ გამოლაშქრებას, მაშინ როცა ჩვენს სავსებით მართებულ კრიტიკას თვალთმაქცურად ინგლისის შინაურ საქმეებში ჩასარევად აცხადებენ.

უფრო საყურადღებოა შემდეგი გარემოება: ინგლისის კაპიტალის შეტევა მუშათა კლასზე, ცხადია, უკანასკნელის წინააღმდეგობას და ბრძოლას იწვევს; ინგლისის იმპერიალიზმის მტაცებლური პოლიტიკა კოლონიებს და ნახევრად კოლონიებში აძლიერებს განმანთავისუფლებელ მოძრაობას. და, აი, შუბლმაგრები, ინგლისის ბურჟუაზიის წინააღმდეგ მასების ამ ამხედრების ნამდვილ მიზეზის მისაჩქმალავად, ყველგან „მოსკოვის ხელს" ხედავენ: მოსკოვის აგენტები მუშაობენ ბრიტანეთის იმპერიის დასამხობად და ისინი ქმნიან მღელვარებასო; თუ ხსენებული მოთხოვნა მოისპობა, შუბლმაგართა აზრით, სწორედ ეს იქნება ინგლისის შინაურ საქმეებში ჩვენი ჩაურევლობის დამადასტურებელი საბუთი.

არ ღირს იმაზე შეჩერება, რომ საბჭოთა მთავრობა თითქო დამანგრეველ მუშაობას ეწეოდეს ინგლისში, ამ მხრივ თვით შუბლმაგრებმა ვერც ერთი დამაჯერებელი ფაქტის მოყვანა ვერ შესძლეს, გარდა აშკარა სიცრუისა და ყალბი დოკუმენტების შეთითხნისა.

ისიც, რა თქმა უნდა, არ საჭიროებს განმარტებას, რომ სასაცილოა საბჭოთა მთავრობას მოსთხოვო ზრუნვა ინგლისის კაპიტალიზმის კეთილდღეობაზე და მის დაცვაზე მუშათა კლასისა და დამონებულ ერებისაგან.

ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ ინგლისის იმპერიალიზმს თავის „უფლებად" მიაჩნია უხეში ჩარევა საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში — მისი დანგრევის მიზნით. კონსერვატორულ ხელისუფლების მიერ გამოგზავნილ ჯაშუშების ტერორისტული მუშაობა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მისი ცდები ანტი - საბჭოთა ბლოკის ორგანიზაციის ჩვენს ქვეყანაზე შეიარაღებული თავდასხმისათვის და სხ. ხომ უდავო ფაქტებია.

და აი, მომავალი მოლაპარაკების დროს მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს ე. წ. პროპაგანდისა და ურთიერთი ჩაურევლობის საკითხი; საბჭოთა მუშაობა, როგორც აღვნიშნეთ, თავიდანვე მტკიცედ ატარებს ინგლისის შინაურ საქმეებში ჩაურევლობის ხაზს, მაგრამ სულ წინააღმდეგ მოქმედობს ინგლისის მუშაობა, რომელმაც უნდა იკისროს გარკვეული გარანტიები ასეთი მოქმედების შეწყვეტის შესახებ. ცნობილია, რომ „პროპაგანდის" საკითხში მაკდონალდი არსებითად შუბლმაგართა გზით მიდის: „ზინოვიევის წერილი"-ს ისტორიაში მისი როლი სავსებით გამორკვეულია. მაგრამ კონსერვატორების ანტისაბჭოთა პოლიტიკა მთლიანად გაკოტრდა, და ამას მოჰყვა შედეგად ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის განახლება. ამ გაკვეთილის გაუთვალისწინებლობა პირველ ყოვლისა ზიანს მოუტანს ინგლისს, რომელიც ბაზრებისა და ნედლეულის მწვავე კრიზისს განიცდის და ამიტომ უაღრესად დაინტერესებულია ჩვენთან ურთიერთობის განვითარებით.

⁂

მეორე საკითხი, რომელიც განსაკუთრებით იპყრობს ინგლისის ბურჟუაზიის ყურადღებას, ესაა საბჭოთა კავშირის მიმართ ინგლისის კაპიტალის მატერიალური პრეტენზიების დაკმაყოფილების საკითხი. საერთოდ იმპერიალისტებს სჩვევიათ ჩვენთვის ცალმხრივი მოთხოვნების წამოყენება, თუმცა ასეთმა პოლიტიკამ მათ არავითარი დადებითი შედეგი არ მოუტანა. კაპიტალისტურ სახელმწიფოთაგან ბევრი იძულებული იყო ჩვენთან დაედო ხელშეკრულებანი ურთიერთ უფლებების და ინტერესების თანახმად ცნობის საფუძველზე. მაგრამ რეციდივები ამ მხრივ მაინც მეორდება. მაგალითად, შუბლმაგარნი დღესაც ლაპარაკობენ მეფის დროინდელ ვალების და ინგლისელ კაპიტალისტების იმ ქონების ანაზღაურებაზე, რომელსაც რევოლუციამ კონფისკაცია უყო, ხოლო „ივიწყებენ" ჩვენს კონტრპრეტენზიებს. ამავე დროს კი ინგლისის იმპერიალიზმმა თავისი ინტერვენციით ჩვენს მუშურ-გლეხურ ქვეყანას მიაყენა აურიცხველი ზარალი, რომელიც აღნუსხულია. თუ იმპერიალისტებმა წინედ, მიუხედავად ყოველგვარი ცდისა, ვერ მოეხერხეს გვერდის ახვევა. ჩვენი კანონიერი პრეტენზიებისათვის, მით უმეტეს შეუძლებელია ეს დღეს, როცა საბჭოთა კავშირის ეკონომიურად და პოლიტიკურად ასე მძლავრია, და თუ ჩვენს ინგლისელ კონტრაგენტს მაინც და მაინც სურს პრეტენზიების საკითხის დაყენება, ამით საეჭვოა მან რაიმე მოიგოს: იმდენად დიდია ინგლისის ინტერვენციით გამოწვეული ზარალის ანგარიში.

ამასთან, თავის თავად, იგულისხმება, რომ საბჭოთა მთავრობა როგორც წინად, ისე ახლაც მტკიცედ იცავს ოქტომბრის რევოლუციის დეკრეტს მეფისა და დროებითი მთავრობის ვალების გაუქმების შესახებ, აგრეთვე გადაჭრით უარყოფს რევოლუციონურ გზით უცხო მოქალაქეთაგან ჩამორთმეულ ქონების ანაზღაურებას. ესაა რევოლუციის უფლება, გარდა იმისა, რომ ხსენებული ქონება მის ყოფილ მეპატრონეთ თავისი წინანდელი დიდი მოგებებით უკვე განაღდებული აქვს.

საერთოდ, ინგლისისათვის (ისე, როგორც დანარჩენ კაპიტალისტურ ქვეყნებისათვის) გაცილებით უმჯობესია თავი დაანებოს ძველ „თამასუქების" გამოქექვას, ვინაიდან აქედან არაფერი გამოვა, ხოლო საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის განვითარება კი საგრძნობ სარგებლობას მისცემს მას. ამავე დროს ინგლისის მთავრობას შეუძლია ამ გზით დააკმაყოფილოს მეფის ფასიან ქაღალდების **წვრილი** მესაკუთრენი, თუ ეს მართლა სურს.

საფიქრებელია, რომ „მუშათა" მთავრობა იძულებული გახდება ამ მოლაპარაკების დროს ცალმხრივ და გადაჭარბებულ პრეტენზიებზე ხელი აიღოს. ამას უკარნახებენ მას როგორც მრეწველობის ინტერესები, ისე მისი შიში მუშათა კლასის წინაშე, რომელიც მოითხოვს ჩვენთან ნორმალურ დამოკიდებულების დამყარებას.

⁂

ინგლისის შინაური მდგომარეობა ისეთია, რომ მაკდონალდი იძულებულია რაიმე ცვლილებას მიაღწიოს საგარეო პოლიტიკის დარგში. მან სრულებით ვერ გაართვა თავი უმუშევრობას, რომელიც ინგლისისათვის ყველაზე მტკივნეული ადგილია; უმუშევრობა ახალი მთავრობის არსებობის მოკლე ხნის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა, მან ვერ შესძლო ვერც ერთი თავის საარჩევნო დაპირების გატარება მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამიტომაა, რომ მას ყურადღება უმთავრესად საგარეო საკითხებზე გადააქვს. ამის გამოხატულებაა მოლაპარაკება ჰუვერთან, ჩვენთან ურთიერთობის განახლება, ეგვიპტის ბურჟუაზიასთან შეთანხმება და სხვ.

„მუშათა" მთავრობის ცრუპაციფისტური ჟესტების გამო მეორე ინტერნაციონალმა თავისი დაცემულ პრესტიჟის აღსადგენად ერთი ხმაური ასტეხა. მაგრამ სინამდვილეში აშკარაა, რომ მაკდონალდები მხოლოდ თავის „მშობლიური" იმპერიალიზმის საქმეს აკეთებენ. ამ მხრივ, სხვათა შორის, მეტად დამახასიათებელია მათი პოლიტიკა ინდოეთის მიმართ. ამას წინედ მეფის მოადგილემ ინდოეთში საზეიმოდ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომ „ინდოეთში საკონსტიტუციო პროცესის ბუნებრივ დამთავრებას წარმოადგენს ინდოეთისათვის თვითმართველ დომინის უფლებების მინიჭება"-ო. ეს დეკლარაცია თავის თავად რაიმე ღირებულებას სრულებით არ შეიცავს. ჯერ ერთი, ინდოეთის მასები იბრძვიან სრული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, და არა თვითმართველ ერთეულის შეკვეცილ უფლებებისათვის. შემდეგ: არ არის განსაზღვრული, თუ როდის უნდა გახდეს ეს ქვეყანა დომინიონად; მოლაპარაკება ამ საკითხის გარშემო დიდი ხანია წარმოებს და ის დაუსრულებლივ შეიძლება გაჭიანურდეს. ყოველ შემთხვევაში, ამას შეეცდებიან ინგლისის იმპერიალიზმის აგენტები „სოციალისტური" ბანაკიდან, რომელიც დღეს ინგლისს სათავეში უდგანან.

და რომ მაკდონალდები ინგლისის იმპერიალიზმის ყურმოჭრილი აგენტებს წარმოადგენენ, ამის დამტკიცება თუ კიდევაა საჭირო, ხსენებულ დეკლარაციის გარშემო გამართული კამათი ამ მხრივ საუკეთესო საბუთს იძლევა. ბალდუინმა ბრალი დასდო „მუშათა" მთავრობას, რომ აღნიშნულ დეკლარაციით ის ძირს უთხრის ინგლისის იმპერიის მთლიანობას და სიძლიერესო. და მაკდონალდმა არ დააყოვნა ამის საპასუხოდ შემდეგი განცხადებია: „მეფის მოადგილის დეკლარაცია ინგლისის წინანდელი პოლიტიკის არავითარ ცვლილებას არ ითვალისწინებს ინდოეთის მიმართ არც ამჟამად, არც მომავალში, როცა ინდოეთს შეიძლება მიენიჭოს დომინიონის უფლებები"-ო. გარკვევითაა ნათქვამი: ინდოეთი ძველებურად კვლავ ინგლისის უღლის ქვეშ უნდა დარჩეს, მისი გამოცხადება დომინიონად, თუ ეს შესაძლებელი გახდება (ესეც საკითხადაა გადაქცეული), ასეთ მდგომარეობას ოდნავადაც ვერ შესცვლის. ასეთ პირობებში რა აზრი აქვს ლაპარაკს ინდოეთისათვის დომინიონის უფლებების მინიჭებაზე. ესაა მხოლოდ ცდა საქმის გაჭიანურებისა და ინდოეთის ნაციონალისტებთან შინაური შეთანხმებისა მშრომელთა ხარჯზე, რომელთა ნებისყოფის გასატეხად ინგლისის იმპერიალისტები ითანამშრომლებენ ადგილობრივ ბურჟუაზიასთან, სამაგიეროდ უკანასკნელს მცირე ნაწილს გადაუგდებენ, ისე კი, რომ ინგლისი კვლავ გაბატონებულად დარჩეს ინდოეთზე. ასე ესმით „სოციალისტებს" დაჩაგრულ ხალხთა „განთავისუფლება". მაგრამ თვით ინდოეთის (და სხვა დაჩაგრულ ქვეყნების) მუშები და გლეხები სხვანაირად აზროვნებენ: ისინი სულ უფრო იგებენ, რომ მაკდონალდები ისეთივე მტრებია მშრომელ მასებისა, როგორც ჩემბერლენები, და რომ თავისუფლებას ისინი მოიპოვებენ მხოლოდ რევოლუციონური ბრძოლის გზით.

⁂

ტარდიეს მთავრობის შედგენა ჩვენს პრესაში უკვე შეფასებულ იქნა როგორც საფრანგეთში რეაქციის შემდგომი შეტევის მაჩვენებელი, ერთი მხრით, ხოლო მეორეთი — როგორც საფრანგეთის იმპერიალისტების ექსპანსიის, კერძოდ ანტისაბჭოთა აქტივობის გამოხატულება. ახალი მთავრობის დეკლარაცია და მის გარშემო გამართული კამათი ამ მხრივ უფრო ნათელს ხდიან მდგომარეობას.

ბურჟუაზიამ ტარდიე თავის მხსნელად გამოაცხადა. უკანასკნელი კიდეც შეუდგა ამ „საპატიო მოვალეობის" ასრულებას. მან პირველ ყოვლისა აღნიშნა, რომ რკინის ხელით დაიცავს შინაურ „წესრიგს" და რომ ამ მიზნით იგი არავითარ რეპრესიის წინაშე არ შეჩერდება. ეს ნიშნავს ქვეყნის ფაშიზაციის პროცესის დაჩქარებას, ეს ნიშნავს „ჯვაროსნულ ლაშქრობის" გაძლიერებას კომპარტიისა და საერთოდ რევოლუციონური ორგანიზაციების წინააღმდეგ და მათი სრული განადგურების ცდას კაპიტალისტურ სახელმწიფოს მთელი იძულებითი აპარატის მაქსიმალური გამოყენებით.

საფრანგეთის მრეწველობა დაცემის გზით მიდის. ის სულდგმულობს დახმარებით მთავრობის მხრით, საგადასახადო შეღავათებით, მშრომელთა ზედმეტი დაბეგვრით, მუშათა უსაზღვრო ექსპლოატაციით. მრეწველობა ბაზრების მწვავე ნაკლებობას განიცდის. საფრანგეთს უკვე ეხლა უხდება თვითღირებულების კვალობაზე და უფრო დაბალ ფასებში გაიტანოს თავის მრეწველობის პროდუქცია გარეშე ბაზრებზე. ძლიერდება მუშათა კლასის ბრძოლა თავის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, რაც გამოხატულებას ჰპოულობს მასიურ გაფიცვებში. ეს ბრძოლა ამავე დროს აშკარა პოლიტიკური ხასიათისაა. პროლეტარიატი სულ უფრო ირაზმება კომპარტიის გარშემო და რევოლუციონურ პროფკავშირებში და ემზადება ფართე შეტევის დასაწყებად. ტარდიე მოწოდებულია უხეში ძალით აღკვეთოს ეს პროცესი და მუშებს დაუკარგოს ბრძოლის უნარი.

მისი ასეთი კურსი მჭიდროთ დაკავშირებულია საფრანგეთის იმპერიალიზმის ანტისაბჭოთა აგრესიასთან. ტარდიე კომპარტიის მისამართით აცხადებს, რომ ის „მოსკოვის სტიპენდიანტების" ნებას არ მისცემს ქუჩა დაიპყრან. ეს თავხედური გამოსვლაა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ამავე დროს უტიფარი ცილისწამება საფრანგეთის კომუნისტებზე საფრანგეთის კაპიტალს „მოსკოვის სტიპენდიანტების", ანუ მუშათა კლასის საქმისათვის ჭეშმარიტ მებრძოლების ალაგმვა ესაჭიროება არა მარტო კაპიტალიზმის განსამტკიცებლად საფრანგეთში, არამედ აგრეთვე ზურგის გასამაგრებლადაც გამარჯვებულ პროლეტარიატის ქვეყანასთან შეიარაღებული ბრძოლისათვის. საფრანგეთის იმპერიალისტები ამ მიმართულებით ყოველ ღონეს ხმარობენ: აკავშირებენ თავის ვასალურ ქვეყნებს და აიარაღებენ მათ. ამის დამადასტურებელ მრავალ სხვა ფაქტებს დაემატა ამ დღეებში გამოქვეყნებული ცნობა საფრანგეთის მიერ დანიასთან საიდუმლო ხელშეკრულების დადების შესახებ, რომ უზრუნველჰყოს ამ ქვეყნის დახმარება ბალტიის ზღვაზე „რუსეთის ნაპირების ბლოკადისათვის". ანტისაბჭოთა პოლიტიკა, რომელსაც ბრიანი აშკარად აწარმოებდა, უფრო გაძლიერდა ტარდიეს მთავრობის დროს, რომელიც ამხ. კაშენის მიერ დეპუტატთა პალატაში წარმოთქმულ სიტყვით რომ ვსთქვათ, წარმოადგენს „პირდაპირ მუქარას საბჭოთა რესპუბლიკებისათვის". საბჭოთა კავშირის მთავრობა და მშრომელნი ამ საფრთხეს სათანადო ანგარიშს უწევენ. ამავე დროს განთავისუფლებული შრომის ქვეყნის სადარაჯოზე სდგას საფრანგეთის და მთელი საერთაშორისო პროლეტარიატი, რომელმაც თავის დემონსტრაციებით ოქტომბრის რევოლუციის 12 წლის თავზე ეს ერთხელ კიდევ ცხადჰყო.

⁂

ერთ-ერთი მთავარი სახელმწიფო, რომელიც საფრანგეთის ანტისაბჭოთა გეგმებს ატარებს და თვითონაც გაძლიერებით ემზადება ჩვენთან ომისათვის, არის პოლონეთი. მისი მესვეურები ლამობენ საგარეო ავანტიურით გადასჭრან ის უაღრესი ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი, რომელსაც ეს ქვეყანა განიცდის.

ამ კრიზისმა გამოხატულება პოვა ამას წინად პილსუდსკის მიერ ხალხის „უმაღლესი წარმომადგენლობის"—სეიმის ერთხელ კიდევ საჯაროთ გამასხარავებაში. ახლა კი მზადდება სამხედრო გადატრიალება პარლამენტარიზმის ოფიციალურადაც მოსპობისა და პოლონეთის ასევე ოფიციალურად ფაშისტური დიქტატურის ქვეყნად გამოცხადებისათვის.

ვამბობთ—ოფიციალურად, რადგან სინამდვილეში ხომ სეიმი დიდი ხანია არარაობას წარმოადგენს და პილსუდკი თავისი სამხედრო კასტით ერთად ერთი ბატონ-პატრონია პოლონეთში. ის მათრახითა და ხიშტით ახშობს მუშათა მასებს, ეროვნულ უმცირესობებს და გულმოდგინეთ იცავს მსხვილი მემამულეების და კაპიტალისტების ინტერესებს.

მაგრამ პილსუდსკიმ ვერ შესძლო ამ გზით გაბატონებულ კლასების მდგომარეობის განმტკიცება. საფეიქრო მრეწველობა (ლოძი) სულ უფრო ეცემა. იხურება ახალ-ახალი ფაბრიკები. თანდათან კლებულობს ნახშირის, რკინის და ფოლადის წარმოება. უმუშევართა რიცხვი ორას ათას კაცამდე აღწევს, რაც პოლონეთისათვის უდიდეს ციფრს წარმოადგენს. საგარეო ვაჭრობის ბალანსის პასივობა მატულობს: 1927 წ. ვაჭრობის პასივი შეადგენდა—377,3 მილიონ ზლოტის, ხოლო 1928 წ.—854,2 მილ. ზლოტის. ყოველივე ეს გამოწვეულია სამხედრო ხარჯების არაჩვეულებრივი ზრდით, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის მოუგვარებლობით, რაც პოლონეთს გამსაღებელ ბაზარს უკარგავს, სახალხო ქონების მასიური მფლანგველობით მოხელეთა მიერ და სხვ.

პილსუდსკი აქედან „გამოსავალს" ისევ ძველ საშუალებაში ხედავს: ფაშისტური დიქტატურის უფრო გაძლიერებასა და ანტისაბჭოთა ავანტიურისათვის მზადებაში. მაგრამ ასეთმა პოლიტიკამ უკვე გამოაშკარავა თავისი სახე და, ცხადია, მას [illegible] ასეთი ბედი ეწევა. მოსალოდნელია აგრეთვე ე. წ. ოპოზიციონური პარტიების, მათ შორის „სოციალისტების" სრული კაპიტულიაცია პილსუდკის წინაშე თავის „ტყავის" შესანარჩუნებლად და „მოჩვენებითი" პარლამენტარიზმის არსებობის გასახანგრძლივებლად. სოციალ-გამყიდველები ყოველთვის მზად არიან ხავსებით წამოიჩოქონ პილსუდსკის წინაშე, ოღონდ მისი ნდობა დაიმსახურონ. მაგრამ ესეც ხომ მრავალჯერ გამოცდილი გზაა, რომელსაც არაფერი ნაყოფი არ გამოუღია. პოლონეთის ბურჟუაზიული სახელმწიფოებრიობის განსამტკიცებლად.

ყოველივე აქედან მუშათა კლასი თავის დასკვნას გამოიყვანს. სეიმისა და მთავრობის ბრძოლას ერთმანეთთან ის გამოიყენებს თავის პოზიციების გასამაგრებლად.

⁂

ის ამბები, რომლებიც ხდება ჩინეთში, მოწმობს იქ მომქმედ ჯგუფებში სრული არევდარევის გამეფებას. ჩან-კაი-შის იმით მოჰქონდა თავი, რომ ჩინეთის გაერთიანებას მიაღწია. ნამდვილად კი ეს გაერთიანება ყოველთვის მოჩვენებითი იყო და ფაქტიურად ჩან-კაი-შის ჯგუფის ძალა-უფლება მხოლოდ შანხაისა, ნანკინისა და ოკეანესთან ახლო მდებარე რამდენიმე პროვინციაზე ვრცელდება. ამან მკაფიოდ იჩინა თავი, როცა ნანკინმა საბჭოთა კავშირის მიმართ ავანტიურისტული ნაბიჯი გადადგა. თუ ამ ავაზაკური გამოსვლით ნანკინი მიზნად ისახავდა და თავის გარშემო ქვეყნის შინაურ ძალების თავმოყრას, ამაში სასტიკად შესცდა. გამოვიდა პირიქით, ჩვენ აქ მხედველობაში არა გვაქვს მშრომელ მასების უკმაყოფილების ზრდა, რაც ფართო ხასიათს ღებულობს. ვლაპარაკობთ სხვადასხვა გენერლების გალაშქრებაზე ნანკინის წინააღმდეგ. ფინ-იუ-სიანის და ჩან-ფან-გუის ჯარები სხვადასხვა მხარიდან (ხენანი, გუანსი) მკაცრ შეტევას აწარმოებენ ჩან-კაი-შის წინააღმდეგ. ამავე დროს მანჯურიის დიქტატორთა ნანკინის ჯგუფის დაუძინებელი მტერია.

აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც: ნანკინის მემორანდუმზე ჩინეთში ექსტერიტორიალობის გაუქმების შესახებ იმპერიალისტურმა ქვეყნებმა თავიანთ პასუხით ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს, რომ ქვემძრომლობით მათ წინაშე ყველაზე ნაკლებ შეიძლება ქვეყნის განთავისუფლება. მაგ., ამერიკის მთავრობა აცხადებს, რომ ჩინეთში შექმნილი ახლანდელი პირობები ხელს არ უწყობენ ექსტერიტორიალობის გაუქმებას. ვაშინგტონის ნოტა დასძენს: „უკანასკნელ თვეების ზოგიერთ ამბებს შეუძლიათ მხოლოდ იმ აზრის განმტკიცება, რომ პირადი და ქონებრივი უშიშროების იურიდიული და ფიზიკური უშიშროება ჩინეთში ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი". ამ „უკანასკნელ ამბებში, რა თქმა უნდა, იგიულისხმება თავდასხმა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე და საბჭოთა მოქალაქეების დევნა. ამგვარად, როგორც მოსალოდნელი იყო, იმპერიალისტებმა ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტი თავის სასარგებლოდ გამოიყენეს და ამნაირად ნანკინელ ავანტიურისტებს ჩაეფუშათ იმედი, რომ ჩვენთან დამოკიდებულების გართულებით ისინი შესძლებდნენ მათგან სამაგიეროს სახით რაიმე დათმობის მიღებას.

ყოველივე ეს თითქო უნდა უკარნახებდეს ნანკინს გამოასწოროს თავისი დანაშაული. ამასთან იყო ცნობები, რომ მუკდენი დამოუკიდებლად აპირობს ჩვენთან მოლაპარაკების დაწყებას და ნანკინიც ამაზე თანხმდებაო. მიუხედავად ამისა კვლავ გრძელდება თავდასხმები ჩვენს ტერიტორიაზე. ესაა სრული აბნეულობის მაჩვენებელი. ჩინელი მილიტარისტები ხდებიან მსხვერპლი იმ ავანტიურისა, რომელიც თვითონ ჩაიდინეს.

ბ. ქ—ლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცე

მასების კონტროლის გზით

რაჭის ტყეების ექსპლოატაციას უკონტროლოდ აწარმოებენ ბნელი პირები და კომბინატორები.—საქ. შრომის კომისარიატის ზოგიერთი მუშაკები ხელს უშლიან ახალგაზრდა სპეციალისტების დაწინაურებას.—მეტი ყურადღება კოოპერატიული მუშაკების შერჩევას: სენაკის მაზრაში გახშირდა გაფლანგვები.

მავნებელთა ბუდე

(წერილი რაჭიდან)

დღიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა ხე-ტყის ექსპლოატაციას აწარმოებს სამაზრო აღმასკომი, რომელსაც აქვს ორი დიდი ხე-ტყის ქარხანა ქუთაისში და ნაქერალის აგარაკში ხარისთვალაზე. ხე-ტყის მომარაგება კი ხდება შემდეგ აგარაკებიდან: ნაქერალა - ნიკორწმინდის, სადმელის, აბარავის და გლოლის აგარაკებიდან.

ხე-ტყის ექსპლოატაციის ხელმძღვანელად აღმასკომს გამოყოფილი ჰყავს საბჭოთა ხელისუფლებისათვის უცხო ელემენტი ვინმე პეტრე ბაქრაძე. ამ უკანასკნელმა შეაგროვა მავნე ხალხი — კვიტაიშვილები, ერისთავები, ბაქრაძეები და სხვ., რომლებიც სჭამენ ხალხის ქონებას და კონტროლის გამწევი კი მათ არავინ ჰყავთ. რომ ეს ასეა ამას ამტკიცებს შემდეგი ფაქტები:

ბევრჯერ სცადეს ხარისთვალის და ქუთაისის ქარხნების ადგილკომებმა საწარმოო თათბირების მოწყობა, მაგრამ როდესაც მოსთხოვეს ადმინისტრაციას საანგარიშო მოხსენების გაკეთება ქარხნების მდგომარეობაზე, მათ უარყოფითი პასუხი მიიღეს ადმინისტრაციისაგან პეტრე ბაქრაძის და ათანასე ყრუაშვილის სახით. ბაქრაძემ დაცინვის კილოთი უთხრა მუშებს: ვინა ხართ თქვენ, ანგარიშებს რომ ითხოვთ, მე ანგარიშს ვაბარებ აღმასკომის თავმჯდომარესო. ჯერ კიდევ 1926—27 წლებში სამაზრო პარტკომმა დასვა საკითხი პეტრე ბაქრაძის მოხსნის შესახებ. მაგრამ მაზრაშივე მომუშავე „ბებიას“ წყალობით ბაქრაძე დღესაც მოუხსნელია სამსახურიდან.

როგორ ესმის პეტრე ბაქრაძეს ხე-ტყის სარგებლობა ანუ ტყის გაჩეხვა?

წასულ წელს ხე-ტყის მწარმოებელთა ყრილობაზე პეტრე ბაქრაძემ განაცხადა, რომ რაჭის მაზრაში რამდენიც არ უნდა მოჭრა ტყე, ის მაინც არ გამოილევაო. მიუხედავად იმისა, რომ ამხ. ფილიპე მახარაძემ ასეთ გამოსვლას უწოდა უგუნურობა, და ბაქრაძე ტყეების მტრად მონათლა პრესის საშუალებით, იგი მაინც არ იშლის თავისას. მან მიზნად დაისახა რაჭის აგარაკების მოსპობა. აუწერელია ის ზარალი, რასაც ბაქრაძე აყენებს რაჭის ტყეებს. არავითარი ტყის კანონი, არავითარი პასუხისმგებლობა მისთვის არ არსებობს. ყველა ის პირები, ვისაც აბარია ტყეების დაცვა და პატრონობა ბაქრაძემ თავის გავლენის ქვეშ მოიქცია. და სწებავს სახალხო ქონებას დაუზოგველად. გლეხებმა პეტრე ბაქრაძეს ტყის მატლი უწოდეს მეტ სახელად.

რა პირობებშია დღეს ხე-ტყის მომუშავე მუშები? 7—10 თვე მუშებს ჯამაგირი არ უღიათ. არავითარი კულტურული და აღმზრდელობითი მუშაობა მათში არ სწარმოებს.

ბაქრაძეს ჰყავს თავისი მარჯვენა ხელი სადმელში, სანდრო კერესელიძე, რომელიც თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულია და ტერორის ქვეშ აყენებს მუშებს. მიუხედავად იმისა, რომ კერესელიძე ბევრჯერ დახატეს გაზ. „ახალ სოფელში“ გლეხების შევიწროვებისათვის, ის მაინც განაგრძობს თარეშს.

კითხვა იმაზე: სად მიაქვს ბაქრაძეს შემოსავალი? მაზრის ბიუჯეტში არ შეაქვს, მუშებს არ ძლევს ხელფასს. რაჭის გლეხობას დღესაც ვერ გაუგია ხე-ტყის წარმოება კერძო პირს ეკუთვნის, თუ მთავრობას. საქმე იმაშია, რომ ბაქრაძე თავის ამქრებით მუდამ მივლინებაშია და საგზაო ხარჯები სამჯერ აღემატება მის ჯამაგირს. თბილისში გუზოვის ქუჩაზე ბაქრაძეს თავისი სახლები აქვს და უმეტესად თბილისში ზის. მივლინების ხარჯები კი თავზე აწევება ქარხანას. თბილისში, სეირნობას არ დასჯერდა ბაქრაძე და მოსკოვშიაც გასეირნა. არც ერთი შაურის საქმე აქ პეტრეს არ გაუკეთებია, ან კი რა იყო გასაკეთებელი? მაგრამ, ვიმეორებ, ბაქრაძეს გასეირნება უნდოდა და მაზრის აღმასკომს კი წარმოუდგინა 2.000 მან. მივლინების ხარჯები, რომელიც გაუნაღდეს.

ბაქრაძე მარტო ხე-ტყის შემოსავლით არ კმაყოფილდება. მას აქვს შემოსავლის სხვა წყაროები. რაჭა, როგორც ღარიბი რაიონი ცენტრიდან ღებულობს დოტაციებს. აგრეთვე კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები თბილისიდან ღებულობენ თანხებს. ბაქრაძე'ს თავის „ბებიას“ წყალობით აქვს მაზრის რწმუნებულის მანდატი. ყოველგვარ თანხებს ცენტრიდან ის ღებულობს და აჩერებს მათ ჯიბეში. თავს იმით იმართლებს, რომ ქარხნისათვის მჭირდაო. რამოდენიმე წელია, რაც მითვისებული აქვს ზოგიერთ ორგანიზაციების თანხები და მიუხედავად იმისა, რომ ეხვეწებიან, ემუდარებიან, გლეხებში საყვედურები გაისმის, ბაქრაძე ყურსაც არ იბერტყავს. ამჟამად ბაქრაძეზე ირიცხება ონის საკრედიტო ამხანაგობის 2.000 მანეთი. შამშოვის — 15.000 მანეთი, ონის აბანოს და ჯეჯიაის ელსადგურის ასაგები თანხები 35.000 მანეთი. აგრეთვე აქვს გაზმარებული მაზრის სხვადასხვა სააღმშენებლო სამუშაოების კუთვნილი თანხები. ეს თანხები „აბაროტში“ ირიცხება.

რაჭის მოსახლეობა, როგორც საზოგადოთ დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეები, დაიმშა. გლეხებისათვის ცენტრმა შეიძინა ჩრდილოეთ კავკასიაში ოცი ვაგონი სიმინდი, რომელიც უნდა გაუნაწილდეს გლეხობას ონის რაიონის კოოპერატივის საშუალებით. ეს გარემოება არ გამოპარვია ბაქრაძეს, რომელიც თავის ამქრებით და ძველი მანდატით გაეშურა ნალჩიკში (ჩრდ. - კავკ.), რომ მიიღოს ხსენებული სიმინდი არა დამშეულ გლეხებისათვის, არამედ თავის მუშებისათვის; რათა ცოტა ხანს გაჩუმოს ისინი დამშეულ გლეხების ხარჯზე... ამ კომბინაციებში პეტრე ბაქრაძეს ხელს უწყობს და გვერდს უმშვენებს თბილისში პეტრე ლობჟანიძე, რომელიც თავისი კომბინატორობით ცნობილია რაჭის გლეხობაში, ის ვილაც „ბებიას“ წყალობით მაზრის რწმუნებულად ითვლება ცენტრში. ღებულობს ჯამაგირს 250 მანეთს და არც არაფერს აკეთებს მაზრისათვის. ცენტრმა დიდი ხანია უარყო და გააუქმა მაზრის წარმომადგენლების სისტემა, ლობჟანიძე კი თავის ადგილას დარჩა.

პირველ ოქტომბრიდან რაჭა - ლეჩხუმის მაზრა გაერთიანებულია ქუთაისის ოლქში. უნდა ვიფიქროთ, რომ სოლქო აღმასკომი მკაცრ კონტროლის და რევიზიის შემდეგ ჩაიბარებს ბაქრაძისაგან ხე-ტყის წარმოებას. პირველ რიგში კი, სანამ რევიზია მოხდებოდეს, საჭიროა გაუქმებულ იქნას ბაქრაძის და ლობჟანიძის რწმუნების მანდატი.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ქუთაისის ოლქის აღმასკომის სახით ეხლა მაინც გაუჩნდება პატრონი რაჭის ტყეებს.

ამბროლაურის შვილი.

ვინ უშლის ხელს ახალგაზრდა სპეციალისტების დაწინაურებას

ამ ორი თვის წინად თამბაქოს ტრესტში მივლინებულ იქნენ სტაჟიორებად ახლად კურსდამთავრებული ინჟენრები კორხმაზიანი და გაბრიელიანი. თამბაქოს ტრესტმა დაუნიშნა მათ თვიურად ხელფასი 65 მანეთის რაოდენობით. ახალგაზრდა სპეციალისტებმა ენერგიულად მოჰკიდეს ხელი დაკისრებულ სამუშაოს და სულ მალე დიდი უნარი გამოიჩინეს. განვლო ორმა თვემ და სტაჟიორებმა მოსთხოვეს ადმინისტრაციას ხელფასის მომატება მათი სამუშაოს მიხედვით. ადმინისტრაცია დაეთანხმა ჯამაგირის 100 მანეთამდე მომატებას. სტაჟიორები ამით არ დაკმაყოფილდნენ, ვინაიდან ისინი ასრულებდნენ სამუშაოს თითქმის სრულიად დამოუკიდებლად. სტაჟიორებს შეაქვთ განცხადება ტრესტის მუშათა საკონფლიქტო კომისიაში, რომელიც არჩევს საქმეს 7 სექტემბერს. მუშათა ნაწილმა მოსთხოვა ადმინისტრაციას სტაჟიორებისათვის ხელფასის მომატება 110 მანეთამდე. ადმინისტრაცია არ დაეთანხმა. საქმე გადაეცა შრომის სახკომისარიატთან არსებულ სამედიატორო სასამართლოს. სუპერ-არბიტრად ინიშნება შრომის კომისარიატის საკონფლიქტო ნაწილის გამგე—უთურგაური. ამ სხდომაზეც ადმინისტრაცია და კავშირის წარმომადგენელი ვერ შეთანხმდნენ. ინიშნება საექსპერტო კომისია, რომელსაც ევალება იმის გამორკვევა, ასრულებენ თუ არა სტაჟიორები სამუშაოს სრულიად დამოუკიდებლად.

6. ოქტომბერს საექსპერტო კომისიამ, რომელშიაც შევიდნენ ინჟენრები დუნიკოვი, ბურჯანაძე და ადმინისტრაციიდან ინჟ. დონდაროვი, განიხილა სტაჟიორების მიერ შესრულებული სამუშაო. კომისიამ სავსებით სამართლიანად სცნო სტაჟიორების მოთხოვნა.

11 ოქტომბერს კომისიის დასკვნა წარუდგინა ისევ სამედიატორო სასამართლოს. ამ სხდომაზე კავშირის წარმომადგენელი მოითხოვდა სტაჟიორებისათვის 110 მანეთის დანიშვნას. თამბაქოს ტრესტის ტარიფიკატორი—შევლიუგა, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენელი, უსირცხვილოდ აცხადებს სამედიატორო სასამართლოს წინაშე, რომ ადმინისტრაცია შესცდა, როდესაც სტაჟიორებს უნიშნავდა 100 მანეთს. დასკვნის თანახმად, აცხადებს შევლიუგა, სტაჟიორებს არაფერი არ უნდა მოემატოს. შევლიუგამ აშკარად დაამახინჯა საექსპერტო კომისიის დასკვნა. მაგრამ რას აკეთებს სუპერ-არბიტრი უთურგაური, ის, შეყვანილი შევლიუგას მიერ შეცდომაში, არ არკვევს საქმის ფაქტიურ მხარეს, მას გამოაქვს დადგენილება სტაჟიორებისათვის 90 მანეთის დაწესების შესახებ. უთურგაურის ასეთ დაუშვებელ საქციელზე გემოკვების მუშაკთა კავშირის შეაქვს საჩივარი შრომის კომისარიატის სატარიფო-საექ. განყოფ. გამგის მოადგილის—ამხ. ჯილაურის სახელზე.

გემო-კვების მუშაკთა კავშირის საჩივარმა უთურგაური ძალიან გააწრისხა. მაშ თუ ასეა, უცხადებს უთურგაური კავშირის წარმომადგენელს, სტაჟიორებს 65 მანეთზე მეტს აღარ დაუწესებთ. უთურგაურის „თავმოყვარეობა“ ილახება, მის მოქმედებაზე საჩივარი შეიტანეს, ის ახალგაზრდა მშენებლებს წინ-წაწევის საშუალებას უსპობს.

20 ოქტომბერს ამხ. ჯილაურის თავმჯდომარეობით ინიშნება სხდომა. რომელსაც მიუხედავად კავშირის თხოვნისა, საექსპერტო კომისიის წევრები არ დაესწრნენ. ამხ. ჯილაური გაეცნო საქმეს და უთურგაურის მიერ გამოტანილი დადგენილება 90 მანეთის დაწესების შესახებ გააუქმა და საქმე ხელახლა გასარჩევად გადასცა იმავე სამედიატორო სასამართლოს, მხოლოდ სხვა სუპერ-არბიტრის თავმჯდომარეობით.

3 ნოემბერს. შეუთხედ ინიშნება სამედიატორო სასამართლო, რომელსაც, თვით უთურგაურის არჩევით., თავმჯდომარეობს შრომის სახ. კომისარიატის საბინაო მშენებლობის კომიტეტის მდივანი—შენგელია. უთურგაურმა, ისარგებლა ამხ. ჯილაურის თბილისში არ ყოფნით და სტაჟიორების საქმე ისეთ პირს გადასცა, რომელსაც არავითარი კავშირი არ ქონდა საკონფლიქტო საქმესთან და არც არაფერი გაეგებოდა ამის. თქმა არ უნდა, უთურგაურმა [illegible] მოაჭახრაკა ეს საქმე. შენგელია სრულიად მოუმზადებელი შეხვდა ასეთ რთულ საქმეს. მან არ გამოარკვია საქმის ფაქტიური მხარე და უთურგაურის კარნახით გამოიტანა შემდეგი დადგენილება: კავშირის შუამდგომლობა სტაჟიორ კორხმაზიანის და გაბრიელიანის ხელფასის 65 მანეთიდან 110 მანეთამდე გადიდების შესახებ დარჩეს უშედეგოთ“. აი, სად იძია უთურგაურმა შური კავშირზე. მან თავისი მუქარა 65 მანეთის დაწესების შესახებ სისრულეში მოიყვანა. სტაჟიორებს იმედი დაეკარგათ. ერთი უკვე წავიდა თამბაქოს ტრესტიდან და მეორეც ალბად მას მიჰყვება. უთურგაური გამარჯვებას ზეიმობს.

საჭიროა ამ საქმეს ხელი მოჰკიდოს მუშგლეხინმა და პროკურატურამ.

ფ. მთვრალაშვილი.

წახალისებული გამფლანგველები

(სენაკის მაზრა)

სენაკის სამაზრო გლეხკომს ქალ. ახალსენაკში აქვს ორი სასადილო, რომლის გამგეთ იყო ლადო ბალათურია; ბალათურია მაზრას გლეხკომის ხელმძღვანელობას არ ცნობს.

სასადილოში თავიდანვე შემჩნეულ იქნა არანორმალური მდგომარეობა, მაგრამ მისი გამორკვევა მხოლოდ ეხლახან მოხდა. ამ გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ სასადილოს გამგე ბალათურიას გაუფლანგავს სამი ათასი მანეთი, რის შემდეგ, როგორც იქნა, გადაწყდა ბალათურიას სამუშაოდან მოხსნა და ის იყო, მან სასადილო გადააბარა სხვას, მაგრამ გადაბარებამდე, რაღაც ოცი თუ, ოცდახუთი დღის განმავლობაში მას კიდევ დააკლდა ათასხუთასი მანეთი. ამრიგად, ბალათურიამ გლეხკომს გაუფლანგა ოთხი ათას ხუთასი მანეთი.

ასეთი დამნაშავის პასუხისგებაში მიცემაზე არავინ ფიქრობს, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს გლეხებში. ალბად ვინმე მფარველობს მას.

ასეთი შემთხვევა აქ პირველი არ არის. მაგალითისათვის მოვიყვან რამოდენიმე ასეთ შემთხვევებს:

1928 წ. ლადი ადამია, რომელმაც სენაკის რაიონულ კოოპერატიულ მაღაზიის გამგედ ყოფნის დროს, ერთი თვის განმავლობაში გაფლანგა 400 მანეთი, გადაიყვანეს სხვაგან სამუშაოზე; ჯერ ხორშის თემკომის მდივნად და შემდეგ კი დაინიშნა სენაკის მრეწველობის ტრესტის საკირე ქარხნის გამგედ.

სამი წლის უკან, სასტუმრო ინტერნაციონალის გამგე ფილუ კოლუა, რომელიც სისტემატიურად იპარავდა სასტუმროს შემოსავალს და რომელმაც მიითვისა სენაკის მრეწველობის ტრესტის ათასი მანეთი, მხოლოდ მოხსნილ იქნა სამუშაოდან და დღემდე არ არის პასუხისგებაში მიცემული.

ნოქალაქევის კოოპერატივის გამგეობის თ—რე ათანასე ჯავახია, რომელმაც 1928 წ. კოოპერატივს 1.800 მან. გაფლანგა, სამსახურიდან იქნა მოხსნილი, და დღემდე თავისუფლად სეირნობს.

თამაკონის კოოპერატივის გამგეობის თავ-რე ლევან ჯავახიამ კოოპერატივს გაუფლანგა 2.500 მანეთი და ლიკვიდაციის კარამდე მიიყვანა კოოპერატივი.

ის მოიხსნა და სხვა სამუშაოზე იქნა გადაყვანილი.

სენაკის ქალ. აღმასკომის სასტუმრო ინტერნაციონალის გამგე ანდრო ბელავამ გაფლანგა 1.200 მან. ამისათვის ის სამსახურიდან იქნა მოხსნილი, პასუხისგებაში კი არ მიეციათ.

ბევრი ასეთი მაგალითების მოყვანა შეიძლება, მაგრამ ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა საჭიროა ასეთ არანორმალურ მდგომარეობას უმაღლესმა ორგანოებმა თავის დროზე მიაქციონ სათანადო ყურადღება და ბოლო მოუღონ გამფლანგველების თავისუფალ თარეშს და მათ მფარველებს.

ავგრიჭ.

თამაკონის თემსაბჭოს „საქმიანობა“

ჩვენ ვლაპარაკობთ სოფ. თამაკონის თემსაბჭოს „საქმიანობის“ შესახებ.

რამოდენიმე ხნის წინათ ამავე სოფლის კედლის გაზეთ „მშრომელთა ხმა“-ში მოთავსებული იყო წერილი კულაკ მალაქია ფარცვანიას შესახებ.

წერილი ამბობდა, რომ მალაქია სოფლის ღარიბებს გლეხებს მთელი დღის განმავლობაში ამუშავებდა ხუთ გირვანქა სიმინდის საფასურად, რომ ფარცვანია იჯარით იღებს სხვის მიწებს და მას დაქირავებული შრომით ამუშავებს და რომ იგი სოფელში ავრცელებდა ათასგვარ ჭორებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამოქმედდა კულაკი ფარცვანია. ის გამშაგებით დაეძებდა კორესპონდენციის ავტორს და სამაგიეროს გადახდით იმუქრებოდა. წერილმა აქტიური გამოხმაურება ჰპოვა გლეხობაში. პარტიის თემკომი თემბიუროს უგზავნის შემდეგი სახის მიმართვას:

„გიგზავნით ნარკვევს გაზეთ „მშრომელთა ხმაში“ მოთავსებულ კორესპონდენციის შესახებ. როგორც ირკვევა, მალაქია ფარცვანია არის კულაკი. ის ავრცელებს ჭორებს ხელისუფლებისა და პარტიის წევრების წინააღმდეგ. ყოველივე ზემოაღნიშნული გავალებთ, მიიღოთ მის წინააღმდეგ სათანადო ზომები“.

თემბიურო ცოტა შეყოყმანდა, მაგრამ ფაქტის წინაშე თვალის დახუჭვა არ შეიძლებოდა და დაადგინა:

„მალაქია ფარცვანია გადაირიცხოს მესამე კატეგორიაში და წაერთვას მას საარჩევნო ხმის უფლება“.

კარგია, რომ აღვირახსნილ კულაკის წინააღმდეგ მიიღეს ზომები, მაგრამ მალაქია ხომ მარტო არ არის? მას ხომ ორი შვილი „კომუნისტი“ ჰყავს, ნუ თუ მათ არ შესწევთ ძალა, რომ ასეთ „პატარა“ თემკომისა და თემბიუროს დადგენილებანი შესცვალონ?

მეორე დღესვე მალაქიამ აფრინა წერილი მოსკოვში თავის შვილ ალ. ფარცვანიასთან, რომელშიაც სთხოვდა დაუყოვნებლივ ჩამოსვლას. ერთ მშვენიერ დღეს ალექსანდრე ფარცვანიაც ეწვია სოფელს. ის ჩამოსვლისთანავე აცხადებს, რომ არავის აქვს კედლის გაზეთის საშუალებით ჩემი ავტორიტეტის დაცემის უფლებაო. კულაკის შვილმა კომუნისტმა ამ „უკანონო“ დადგენილების გასაუქმებლად თავისებური გეგმა გამოიმუშავა.

მან იწყო ქეიფი და დროს ტარება „სოფლის კომისრებთან“ და ხშირად კახური ღვინით შეზარხოშებულნი აყრუებდნენ სოფლის მოსახლეობას.

ალექსანდრემ თავის ხელით დასწერა განცხადება თემბიუროს სახელზე, რომ მამა მისი არის პატიოსანი მშრომელი, მის ირგვლივ შექმნილი გაუგებრობა გამოწვეულია კინკლაობის ნიადაგზე და საჭიროა მამაჩემის განთავისუფლება ხსენებულ ბრალდებისაგანო. თემბიუროს სხდომაზე, სადაც მხოლოდ ეს საკითხი ირჩეოდა, თვითონ დაესწრო და თემბიუროს მიერ ჩადენილი პირვანდელი „შეცდომა“ შემდეგნაირად შეაცვლევინა:

„თამაკონის თემბიურო ადგენს, რომ მალაქია ფარცვანია გადაირიცხოს მეორე კატეგორიაში და მას დაუბრუნდეს საარჩევნო ხმის უფლება“.

ასე მოაწყო საქმე მოსკოვიდან ჩამოსულმა „კომისარმა“ და დამშვიდებული გაუდგა გზას

კომკავშირის ორგანიზაცია ძლიერ აღელვა ამ გარემოებამ. ის ეძებდა საშუალებას „ძმაბიჭობით“ გაკეთებულ საქმის გამოსააშკარავებლად და როდესაც ადგილობრივ ორგანოებთან ვერაფერს გახდა, მოინდომა მაზრაში წასვლა, მაგრამ ამ დროს, თამაკონში ჩამოვიდა პარტიის რიგების გამწმენდი კომისია და კომკავშირის თემკომმაც ყოველგვარი მასალები მას გადასცა.

გამწმენდ კომისიამ გამოარკვია საქმის ნამდვილი ვითარება და თემბიუროს წინადადება მისცა კულაკი ფარცვანია კვლავ გადაერიცხა მესამე კატეგორიაში, ჩამოერთმია მისთვის საარჩევნო ხმის უფლება და საქმე საბოლოო განაჩენისათვის მარტვილის სასამართლოსათვის გადაეცა.

გამწმენდ კომისიამ თემბიუროს მთელი შემადგენლობა გამორიცხა პარტიის რიგებიდან, ხოლო მას გადაურჩა თემსაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე არ. ჯანაშია, რომელმაც შემდეგშიც შეჩერა კულაკ ფარცვანიას საქმე.

ეხლახან მოსკოვიდან ალექსანდრე ფარცვანიამ მამას წერილი გამოუგზავნა და ეკითხება, ხომ არ ჩამოურთმევიათ მისთვის მიწა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სენაკის მაზრაღმასკომი დაწვრილებით გამოარკვევს ყოველივეს და კულაკისა და მის დამცველ „კომუნისტ“ შვილის თარეშს ლაგამს ამოსდებს.

შალი.

ცენტრიდან მივლინებულთა უმსგავსოებანი

პურის დამზადების კამპანიას დღეს დიდი ყურადღება ექცევა.

თბილისიდან ამ კამპანიის ჩასატარებლათ საგარეჯოში (თბ. ოლქი) მომაგრებული იყო ამხ. ქორიძე.

დაიჭირდა გლეხს ქორიძე და მუქარით ეუბნებოდა: „შენ კულაკი ხარ, თუ პური არ ჩაგვაბარე შავ დღეს დაგაყენებო“.

ეს კიდევ არაფერი, ის „ბაზრული“ სიტყვებით „ამკობდა“ ხალხს.

მანავის საბჭოთა მამულში ქორიძე მაგრათ დათვრა. მასპინძელს პატივის ცემის მაგიერ ათასგვარი შეურაცხყოფა მიაყენა და ნაგანიც კი იშიშვლა მისი მისამართით. თემის მუშაკები ამ ამბავმა გაბოცა, და როდესაც სცადეს მისი დაწყნარება, ქორიძე ერთ-ერთ მათგანს რევოლვერით გამოეკიდა.

მოხდებოდა საზარელი შემთხვევა, რომ რაიკომის მდივანს მისთვის ვაზნები არ წაერთმია. ამრიგათ ცენტრის წარმომადგენელმა პურის დამზადების მაგიერ საგარეჯოში ღვინის „დამზადება“-ს მიჰყო ხელი.

ცეკავშირს საგარეჯოს კოოპერატივისათვის გადმოუგზავნია სიმინდი და დაუვალებია ფუთი სიმინდის 3 მანეთად გაყიდვა, ეს იმ დროს, როდესაც ჩვენ გაცხოველებით ვაწარმოებთ პურის დამზადებას, როდესაც ფუთ პურს კოოპერატივი 2 მანეთსა და 20 კაპიკში ღებულობს. განა დასაშვებია ეს? რას იტყვის გლეხი, როთესაც კოოპერატივი ფუთ სიმინდს სამ მანეთათ ჰყიდის და მისგან ფუთ პურს 2—20 კაპიკში თხოულობს? განა ეს ხელს არ შეუშლიდა პურის დამზადებას? ეს ასეც მოხდებოდა, რომ რაიონულ პარტიულ კომიტეტს არ მიეღო საჭირო ზომები.

კოლმეურნეობაზე რომ ხელმძღვანელობის გაძლიერებაა საჭირო, ეს ყველასათვის ნათელია.

საგარეჯოში უკვე მესამე წელია, რაც დაარსდა არტელი „წინსვლა“. ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების დახმარებით „წინსვლა“ გაჯანსაღდა და ამჟამად მას თვალსაჩინო ადგილი უკავია რაიონის კოლმეურნეობათა შორის. არტელს ჰქონდა და აქვს შეცდომები და ნაკლი. არტელის წევრებს ერთი წლის განმავლობაში ერთხელაც თვალით არ უნახავთ კოლმეურნეობის ცენტრის ინსტრუქტორი. მათ ზევრი გამოსარკვევი და სადაო საკითხები ჰქონდათ მოსაგვარებელი.

მხოლოდ ამ რამდენიმე ხნის წინ გაჩნდა ცენტრის წარმომადგენელი ლეშკაშელი, რომლის უტაქტო მოქმედებამ დაშლის გზაზე დააყენა არტელი „წინსვლა“. ლეშკაშელი არტელის წევრებს დაჭერითა და დახვრეტით ემუქრებოდა, ლანძღავდა და უყვიროდა.

რაში იყო საქმე? კოლექტივის ერთ წევრს გაეყიდნა პური და ანგარიშშიაც შეცდომები ჰქონდა არტელს. ეს იყო ყოველგვარი საბუთი იმ უდიდესი უბედურების, რაც ლეშკაშელმა მოახდინა საგარეჯოში.

შეიძლება არტელში ადგილი ჰქონდა შეცდომა-დანაშაულს, თუგინდ ბოროტმოქმედებასაც, მაგრამ აქ საჭირო იყო მხოლოთ დამნაშავე პირთა კანონიერად დასჯა. რა შუაში იყო მთელი კოლექტივი?

ლეშკაშელის თავხედური მოქმედების შემდეგ, არტელის წევრები თითქმის ერთსულოვნათ უარს აცხადებდნენ კოლექტივში დარჩენაზე.

ლეშკაშელმა ოლქის პროკურორის სახელზე დასწერა დეპეშა და აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. დურგლიშვილს შეტევით მიმართა მოეწერა ხელი. უკანასკნელმა უარი განუცხადა, რადგან საქმე საჭიროებდა გამორკვევას, ამის გამო ლეშკაშელმა მას მემარჯვენეობა დასწამა. შეფიქრიანდა თავმჯდომარე. სიტყვა მემარჯვენეობით ისარგებლა ლეშკაშელმა და ამგვარი ხრიკით ბოლოს ის დაითანხმა ხელმოწერაზე, მაგრამ გამოჩნდა მეორე „მემარჯვენე“ აგრ. შ. გულისაშვილი, რომელმაც კატეგორიული უარი სთქვა ხელმოწერაზე.

— რისთვის დაგვიჭერთ, როდესაც არავითარი ბოროტება არ ჩაგვიდენია, თუ ანგარიშში შეცდომები გვაქვს, ეს თქვენი ბრალია: რატომ არ ინებეთ ერთხელ მაინც ჩამობრძანება და რატომ საჭირო შემთხვევაში არ გვაძლევდით შესაფერ დარიგებებს“,—ეკითხებოდნენ არტელის წევრები ლეშკაშელს.

ვიმეორებთ, შესაძლებელია საჭირო იყო არტელის ზოგიერთ წევრების თუნდაც დაპატიმრება, მაგრამ რა შუაში იყო არტელის მთელი შემადგენლობა? ლეშკაშელის მოქმედებამ დიდი ლახვარი ჩასცა კოლმეურნეობებს და გაახარა მათი მტრები.

— „რისთვის შევიდეთ კოლექტივში, ჩვენც ასე გვიზამენ“-ო—აცხადებდნენ გლეხები.

— „აი თქვენი კოლექტივი, გიტირეს დედა და თუ არა, მაშ რა გეგონათ, თქვენ ააშენებდით ქვეყანას“!—ჩურჩულებდნენ აქა-იქ კოლექტივის მტრები.

ბოროტი „ენები“ კიდევ მეტს ამბობენ ლეშკაშელზე:

ის „კახურით“ არა ერთხელ შეხურებულა საგარეჯოში და სხვ. ამას ალბათ სათანადო ორგანოები გამოარკვევენ.

საშემოდგომო თესვა უკვე დაიწყო. „სოფლის კავშირს“, დაკვეთილი ტრიერები არა სრულად და ისიც დაგვიანებით გადუგზავნია საგარეჯოში. ასევე მოხდა თესლის შესაწამლ მასალაზედაც. ამის გამო დავალება თესლის მთელი ასი პროცენტით გაწმენდის და შეწამვლის შესახებ ვერ იქნება განხორციელებული. ცხადია, დაუდევრობა ამ საქმეში მიუძღვის ცენტრს.

უფრო მეტად აღმაშფოთებელია ერთი გარემოება: სართიჭალაში და საგარეჯოში ცენტრიდან მიიღეს ისეთი სათესლე ხორბალი, რომელიც საჭმელათაც კი გამოუსადეგარი იყო. ეს დასკვნა გამოიტანეს აგრონომებმა და ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა.

მიწა-ტყის კავშირის წარმომადგენელი კახიანი (თბილისიდან) ერთ დღეს ჩამოვიდა საგარეჯოში. იმავე დღეს „გამოიკვლია“ სასოფლო მეურნეობის და ტყის მუშათა და მოჯამაგირეთა შორის მუშაობა და იმავე ღამესვე დაბრუნდა თბილისს.

გააკეთა რამე თუ არა კახიანმა საგარეჯოში? სრულიად არაფერი, მით უმეტეს, რომ მუშკომის თავმჯდომარე სწორეთ იმ დროს მივლინებაში იყო წასული კაკაბეთში.

რა მოხდა შემდეგ? კახიანმა ყალბი ინფორმაცია „მიაწოდა“ ცენტრალურ გამგეობას,

ამის შემდეგ გაზეთში ვკითხულობთ ყოველგვარ სინამდვილეს მოკლებულ წერილს საგარეჯოს მუშკომზე.

დასასრულ რამდენიმე სიტყვა იმ აღმაშფოთებელი ფაქტების შესახებ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საგარეჯოში მივლინებულ აგიტ-კოლონის ზოგიერთ წევრების მხრივ.

კოლონის შემადგენლობა სათანადოთ ვერ იყო შერჩეული. კოლონის ზოგიერთ წევრის უტაქტო მოქმედებამ ადგილობრივ ორგანოებს შეუშალეს ხელი.

კოლონის წევრს გლეხებისათვის განუცხადებინა, რომ „სახელმწიფო დაზღვევა სავალდებულო არაა“. ამით ისარგებლეს კულაკებმა და იერიში მიიტანეს თემის მუშაკებზე.

სოფ. პატარძეულის სასოფლო საბჭოს თავჯდომარეზე (ქალია), რომელიც აქტიურად მუშაობს საბჭოში, კოლონის ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა—„თამაშკრეჭილს აბა რა უნდა ველაპარაკოთო“. კოლონის ერთი წევრთაგანი კი მოითხოვდა მის მოხსნას, რადგან „მას მარქსისტული დიალექტიკის (!) არაფერი გაეგებაო“.

კოლონის ზოგიერთი წევრი შევიდა გლეხების ვენახებში, რამაც ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა სოფლის მოსახლეობაზე. კოლონის ხელმძღვანელმა იობიძემ სამკითხველოში დიდი სკანდალი მოახდინა, იქ მყოფ ამხანაგებს მიაყენა შეურაცხყოფა და დაემუქრა პარტიიდან და სამსახურიდან გაძევებით.

ვფიქრობთ თბილისის საოლქო კომიტეტი საფუძვლიანად გამოარკვევს ამ საქმეს და დამნაშავეთ სასტიკ პასუხს აგებინებს.

გ. გარეჯელი.

პენსია ლოთ მემანქანეს

თბილისის დეპოში მსახურობდა მემანქანე ვასილ ტანასეიჩუკი. ცნობილი იყო, როგორც გაუსწორებელი ლოთი, მოქეიფე. ეს ყველამ იცოდა, მაგრამ ყველა სდუმდა. ერთ დღეს ტანასეიჩუკმა აქსტაფაში, ჩვეულებრივ დუქანში გაატარა დრო, იმის მაგიერ, რომ დაესვენებინა საღამოს წამოეყვანა მძიმე მატარებელი თბილისისაკენ.

ფოილოში მან შეუხვია ბუფეტისაკენ. თვითონ მიირთვა, დალია, მაგრამ „დაავიწყდა“ წყალის მომარაგება ორთქლმავლისათვის. ორთქლმავალმა ვეღარ იმუშავა უწყლოთ. ტანასეიჩუკმა დასტოვა შემადგენლობა სადგურ ძმობაში და ორთქლმავლით მიაშურა სადგურ ყარაიას. აქ გაავსო წყლით ორთქლმავლის ქვაბი და ტენდერი, მაგრამ არც თავისი სტომაქი დაივიწყა... შუა ღამეა, ტანასეიჩუკის ორთქლმავალი მიექანება სადგურ ძმობისაკენ.

მემანქანეს აქვს მიცემული გაფრთხილება, რომ ის იქნება მიღებული იმ ლიანდაგზე, საცა მან დასტოვა შემადგენლობა და ამიტომ ნელა უნდა შევიდეს სადგურში. ვილას ახსოვს ეს გაფრთხილება. მემანქანეს სძინავს: ის ვერ ამჩნევს ვეღარც სადგურის ნიშანსვეტს; ვერც ისრების ფარნებს. ორთქლმავალი დაეჯახა თავისავე შემადგენლობას. დაიმსხვრა ძვირფასი ორთქლმავალი. დაიმსხვრა ვაგონები. ტანასეიჩუკი უგრძნობლად ჩაიყვანეს რკ. გზ. საავადმყოფოში. ამ უბედურებამ რკ. გზ. მოუტანა დიდი ზარალი, ორ-სამ თვეში ტანასეიჩუკი გამოკეთდა. მორჩა: და ვაი საკვირველებავ. იმის მაგიერ, რომ ის დაესვათ დამნაშავის სკამზე, მისთვის დაუნიშნავთ პენსია — 154 მანეთი და 99 კაპიკი თვეში.

ამგვარი შემთხვევა პირველი როდია. თუ გადაავლებთ თვალს პენსიონერთა სიას, მრავალ ასეთ მაგალითს ნახავთ. იმავე პენსიონერთა სიაში ვნახავთ ძველ დამსახურებულ რკინისგზელთ, ძალიან მცირე პენსიით. თბილისის დეპოში არის რამდენიმე ათეული მოხუცი მემანქანე, რომლებიც ორმოც წელზე მეტია ერთგულად ემსახურებიან რკინის გზას. მათ არ მოსვლიათ არც ერთი მარცხი. ჩამოვთვალოთ რამდენიმე მათგანი: შურხულია ზაქარია 44 წელი რკინის გზაზე მუშაობს, რატია ესტატე 40 წელია მუშაობს; მურადოვი მიხეილ, კოშუტი, ვიტმანი, კანდელაკი ფარნაოზი, წერეთელი, ქორიძე, ალანია, დოლიძე და რამოდენიმე სხვა ამხანაგი, უკვე ღრმა მოხუცებულნი. კიდევ ორთქლმავალზე მუშაობენ. მუშაობენ ერთგულად, არ იშურებენ უკანასკნელ ძალ-ღონეს წარმოების ასაწევად.

ასეთ უსამართლობას ბოლო უნდა მოეღოს. პენსია უნდა დაენიშნოს დამსახურებულ მოხუც მუშაკებს და არა ლოთებს.

დუღაბი.

დანაშაულებრივი მოქმედება ვაშლის დამზადების საქმეში

(საქ. მუშგლეხინის მასალებიდან)

ვაშლის დამზადება გორის ოლქში საქ. ვაჭრობის კომისარიატის გეგმით განზრახული იყო 500.000 ფუთის რაოდენობით, ახალციხის მაზრაში კი დამზადებული უნდა ყოფილიყო 300.000 ფუთი. 1929 წლის 9 ივლისს, იმ კომისიის დასკვნის თანახმად, რომელმაც გამოიკვლია აღნიშნული რაიონები, ეს რაოდენობა გადიდებულ იქნა გორის ოლქისათვის 670.000 ფუთამდე. აქედან „სოფლის კავშირს“ უნდა დაემზადებია 370.000 ფუთი, ხოლო „ზაკგოსტორგს“ 300.000 ფუთი. დამამზადებლებმა გეგმა შეასრულეს ასი პროცენტით და მთელი რაოდენობა ჩააბარეს დამამზადებელ პუნქტებზე. გამოკვლევით გამოირკვა, რომ დამზადების გეგმა შედგენილი იყო 15—20 პროცენტით ნაკლები, ვინაიდან ჯერ კიდევ ბევრია ჩაუბარებელი ვაშლი. იმ მიზნით, რათა მთელი საქონელი გამოტანილ იქნას ბაზარზე, საჭიროა „სოფლის კავშირის“ მიერ აღებული ტემპი შენარჩუნებულ იქნას, ხოლო „ზაკგოსტორგმა“ გააცხოველოს მუშაობა, რამდენადაც მას მიერ ვაშლის ჩაბარება არ სწარმოებდა მთელი შესაძლებლობის ფარგლებში.

დამზადების კამპანიის დროს დაშვებულმა შეცდომებმა, გამოიწვიეს ყველა სასაწყობო შენობების, როგორც საკუთარის, ისე გლეხებისგან დაქირავებულის, მაქსიმალური დატვირთვა, რაც გავლენას ახდენს შენახვის და გადამუშავების სწორ ორგანიზაციაზე. ამან გამოიწვია, აგრეთვე, რამდენიმე ათეული ათასი ფუთი ვაშლის ღია ცის ქვეშ დატოვება, რაც, ამინდის შეცვლის პირობებში, დამამზადებლებს უქადის საგრძნობ მატერიალურ ზარალს.

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს დადგენილებით, მთავარ დამამზადებლად საქართველოში ითვლებოდა „სოფლის კავშირი“, ხოლო ვაშლის გადამუშავებას აწარმოებდნენ გორის ოლქში „სოფლის კავშირი“, ახალციხის მაზრაში კი —„ზაკგოსტორგი“. ექსპორტი დაეკისრათ „ზაკგოსტორგს“ და „ზაკსელსოიუზს“.

ვინაიდან „ზაკსელსოიუზმა“ უარი სთქვა უშუალო ექსპორტის უფლებაზე, მთელი ექსპორტი გადაეცა „ზაკგოსტორგს“,

ფინანსების მიწოდების საკითხში ადგილი ჰქონდა შეფერხებას. ამიერ-კავკასიის ვაჭრ. კომისარიატის დადგენილებით ვაშლის კონტრაქტაცია უნდა ჩატარებულიყო ივნისამდე. ამ ოპერაციებისათვის ფაქტიურად „ზაკგოსტორგს“ უნდა გაეღო 207.563 მ., „ზაკსელსოიუზს“—150.000 მან., სულ 357.563 მან. მაგრამ ხელშეკრულებათა დადების გაჭიანურების გამო 1 ივნისისათვის „სოფლის კავშირმა“ მიიღო „ზაკგოსტორგისაგან“ 50.000 მან. „ზაკსელსოიუზისაგან“—170000 მან. სულ 220.000 მან.

ხელშეკრულებით, „სოფლის კავშირის“ მომარაგება ყუთებით და სხვა ჩასაწყობი მასალებით უნდა ეწარმოებია „ზაკგოსტორგს“ და „ზაკსელსოიუზს“. მათ ხელშეკრულებები დასდეს სათანადო წარმოებებთან საჭირო მასალის ჩაბარებაზე, მაგრამ ხელშეკრულებები შესრულებულ იქნა დაგვიანებით და ისიც ნაწილობრივ.

ურთიერთ დამოკიდებულების საკითხი ამ ორ დამამზადებელ ორგანიზაციათა შორის, „ზაკგოსტორგსა“ და „სოფლის კავშირს“ შორის, მეტად მწვავე ხასიათისაა და დამზადების ნორმალური მსვლელობის შეფერხების ერთერთ მთავარ ფაქტორად გადაიქცა.

ამ ორ ორგანიზაციის ქიშპობამ ვაშლის დამზადების და გადამუშავების საქმეში შედეგად გამოიღო საუწყებო დამოკიდებულებათა გამწვავება და მათი ოპერატიული მუშაობის შეუთანხმებლობა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ გამწვავებას ხელს უწყობდა კერძო ხასიათის მომენტებიც. ყოველივე ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა იმაში, რომ დეფექტები, რომლებიც უეჭველად იქნებოდა ასეთ რთულ მუშაობაში და რომელთა გამოსწორება არც თუ ისე ძნელი იყო ურთიერთ დახმარებით, უფრო გაღრმავდა და გართულდა, შეიქნა ფორმალური მიმოწერა, რომელმაც საქმე არამც თუ გამოასწორა, არამედ უფრო გაართულა.

მეორე მხრივ „ზაკგოსტორგის“ აპარატის მოქმედებაშიაც ადგილი ჰქონდა ისეთ ფაქტებს, რომლებიც ლაპარაკობენ არა მარტო მიმდინარე ოპერატიული საკითხების ბიუროკრატიულ გადაჭრაზე, არამედ წარმოადგენენ მოქმედებას, რომელიც უახლოვდება „სოფლის კავშირის“ მუშაობის ჩაშლის ცდას.

განიხილა რა ყოველივე ზემოაღნიშნული საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ, გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

აღინიშნოს, რომ ვაშლის დამზადებისა და გადამუშავების კამპანიის ორგანიზაციის საკითხში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ მნიშვნელოვან დეფექტებს და შეცდომებს, რაც ჩაშლის საფრთხის ქვეშ აყენებს საექსპორტო გეგმის შესრულებას და დამამზადებელი მუშაობის წარმატებით დასრულებას.

დამზადების და გადამუშავების ნორმალური მსვლელობის უზრუნველსაყოფად და არსებულ დეფექტების აღმოსაფხვრელად საჭიროა ორივე დამამზადებელმა ორგანიზაციამ გამოიყენონ არსებული კალიფორნიული სტანდარტული ტარა, ხოლო სოფლის კავშირმა წესრიგში მოიყვანოს არასტანდარტული ტიპის ტარის კომპლექტები, რომლებიც მას ადგილებზე მოეპოვება.

გადამუშავების ტემპის გაძლიერების, საწყობების განტვირთვის და ექსპორტის მოწესრიგების მიზნით საჭიროდ იქნას ცნობილი, დამამზადებელ რაიონებში სამუშაო დღის გადიდება, ზედმეტი მუშაობის შემოღებით.

დამამზადებელი ორგანიზაციების აპარატის მუშაობის გასაჯანსაღებლად და დეფექტების საჩქაროთ აღმოსაფხვრელად, რაც შედეგია აპარატში უცხო ელემენტების მოკალათებისა („ზაკგოსტორგის“ ახალციხის დამამზადებელი პუნქტი) და ხელმძღვანელობის სისუსტისა, წინადადება მიეცეს სოფლის კავშირის და „ზაკგოსტორგის“ გამგეობებს, დამზადების ოპერაციები უზრუნველჰყონ სათანადო ხელმძღვანელობით და მიიღონ სასწრაფო ზომები გორის და ახალციხის კანტორების გამგეების შესაცვლელად სრულიად სანდო და მტკიცე პირებით. სასწრაფოდ იქნას გატარებული ცხოვრებაში ახალციხის სამაზრო აღმასკომის დადგენილება მთელ რიგ პირების მოხსნის შესახებ, რომლებიც მუშაობენ „ზაკგოსტორგის“ ახალციხის კანტორაში.

ვინაიდან დამამზადებელ ორგანიზაციების დამოკიდებულების გამწვავებაში თვალსაჩინო როლი ითამაშეს პირადი ხასიათის მომენტებმა, რაც გამომდინარეობდა ოპერაციების ხელმძღვანელთაგან, გაფრთხილება მიეცეს სოფლის კავშირის გამგეობის წევრს ბესელიძეს და „ზაკგოსტორგის“ ექსპორტის დირექტორის მოადგილეს დიდიძეს, საკითხების ბიუროკრატიული გადაჭრისა და აპარატების შეუთანხმებელი მუშაობისათვის გამოეცხადოს საყვედური „ზაკგოსტორგის“ გორის კანტორის გამგეს მამაცაშვილს და სოფლის კავშირის სპეც - ექსპერტს ბაკურაძეს, რომლებმაც არ მიიღეს ზომები დეფექტების გამოსასწორებლად.

ვინ აბრკოლებს უმუშევრობასთან ბრძოლას

26 კომუნარის სახელობის მექანიკურ ქარხანაში საჭირო იყო მონაგარიშე, რისთვისაც ქარხნის ადმინისტრაციამ ბირჟიდან გამოიძახა უმუშევარი, მაგრამ ბირჟიდან გამოგზავნილი 7 მონაგარიშე მან დაიწუნა, როგორც „უვარგისნი“ და სამუშაოზე მოაწყვეს თავიანთი კანდიდატი, როდესაც ბირჟამ მერვე გამოგზავნა და ისიც დაიწუნეს, მაშინ დაინიშნა კონკურსი, რამაც გამოარკვია, რომ ბირჟიდან გამოგზავნილები გაცილებით სჯობდნენ მათ მიერ აყვანილ მონაგარიშეს. ამის შემდეგ ქარხნის ადმინისტრაცია აცხადებს,—რომ აღნიშნულ მონაგარიშის შტატი გაუქმებულიაო.

ქალაქის პირველ საავადმყოფოში საჭირო იყო რეცეპტის გამომწერი ქალი; ბირჟა აგზავნის ოთხ უმუშევარს, მაგრამ საავადმყოფოს ადმინისტრაცია ოთხივეს იწუნებს, ვითომდა „უცოდინარობისათვის“ და იღებს თავის კანდიდატს, რომელმაც როგორც გამოირკვა რეცეპტის გამოწერის არაფერი იცოდა.

რკინის გზის საბინაო ამხანაგობაში რამოდენიმე თანამშრომელი მიიღეს უბირჟოდ.

ასევე იქცევიან ხშირად სხვა დაწესებულებები. როდესაც საჭიროა ქართულის მცოდნე მემანქანე განგებ თხოულობენ რუსულ-ქართულის მცოდნეს, და თუ ასეთი ბირჟაში არ აღმოჩნდა, თითონ მოყავთ თავიანთი კანდიდატი მხოლოდ ქართულის მცოდნე. ასეთი მაგალითები აურაცხელია. ნათლად ირკვევა, თუ როგორ ებრძვიან ზოგიერთი დაწესებულებები შრომის ბირჟას, რათა სამსახურში მიიღონ თავიანთი ნაცნობ-ნათესავები და არა ის უმუშევრები, რომლებიც წლობით ირიცხებიან შრომის ბირჟაში. ამით ისინი ხელს უწყობენ, როგორც უმუშევრობის ზრდას, ისე პროტექციონიზმს.

როზ.

უვარგისი მასწავლებლები

(ტყიბული)

დღევანდელ შრომის სკოლის მიზანს შეადგენს მისცეს საზოგადოებას ისეთი მომზადებული ახალგაზრდობა, რომელიც სოციალისტურ მშენებლობაში მაყურებლის როლში არ გამოვა.

მასწავლებლებად არ გამოდგება ისეთი ხალხი, რომელიც საზოგადოებრივ მუშაობას ზევიდან დაჰყურებს. რომ ამგვარი ტიპის პედაგოგები ჩვენს სკოლებში კიდევ მოიპოება, ამის საილუსტრაციოდ მოგვყავს ტყიბულის შვიდწლედის პედ. პერსონალის შემადგენლობა.

ამ სკოლაში მოკალათებულია ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმიანობისაგან განტვირთული ხალხი: ვარდანაშვილი, ოჩიგავა, გრიგოლაშვილი, ანდრეადი და სხვ.

— თქვენ ეტყვით ანდრეადს, რომ საჭიროა პროფკავშირის კრებაზე დასწრება, მაგრამ ის უარით გაგისტუმრებთ, რადგან იცის, რომ კრებაზე დასწრებისათვის გასამრჯელოს ვერ მიიღებს.

ტყიბულის 7 წლედში მასწავლებლად ითვლება შალვა ვარდანაშვილი, რომელიც ვერ შერიგებია თავის ბედს. ის ერთ დროს ამავე სკოლის გამგე იყო, ახლა კი მასწავლებლობს.

დაჩაგრულია ვარდანაშვილი, ის დარდს ღვინით იქარვებს. მან და მასწავლებელ ქ. კუხიანიძემ ღვინის სმა მიწაზე არ იკადრეს და ქარსაშვილის სახლის სახურავზე ავიდნენ.

ვარდანაშვილმა სცემა მე-5 ჯგუფის მოწაფე ვარდოსანიძეს. ეს მისი აზრით „დასაშვებია“.

ცოტა რამ კომკავშირულ მასწავლებელ ეწია ოჩიგავას შესახებ. ჯერ გავეცნოთ, თუ როგორ მუშაობს ის კომკავშირში. ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, საკმარისია გადავხედოთ ა. ლ. კ. კ. ტყიბულის სატრანსპორტო უჯრედის ოქმს № 17, რომელშიაც ნათქვამია: სასტიკი და უკანასკნელი გაფრთხილება გამოეცხადოს ოჩიგავას პირად საქმეში შეტანით კრებაზე არ დასწრებისათვის, პოლიტ-სკოლაში გულგრილობის გამოჩენისა და დავალებების შეუსრულებლობისათვის“.

მაისში ის გამოყოფილ იქნა კოლექტივის ხელმძღვანელის თანაშემწედ, მხოლოდ ერთხელაც არ მოსულა კოლექტივში.

შეიძლება სხვა დარგში გააკეთა რამე?

როგორც მასწავლებელი თავის სურვილით მიემაგრა საგ-საპროპაგანდო ჯგუფს. რა გააკეთა? არაფერი.

სკოლაში ხომ არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობს. ან და რა საჭიროა.

აღმასკომის მიერ ის გამოყოფილ იქნა სალიკვიდაციო სკოლის მასწავლებლად, თურმე დასაშვებია შენივე ნებით შენს ადგილზე სხვა ვინმე დატოვო და ოჩიგავაც ასე მოიქცა; დაიქირავა სრულებით მიუღებელი პიროვნება და მას ჩააბარა სკოლა, რის შესახებ აღმასკომმა არაფერი იცოდა.

ოჩიგავას სამსახურისადმი გულგრილობისათვის განათლების კოლეგიის მიერ გამოცხადებული ჰქონდა სასტიკი და უკანასკნელი გაფრთხილება.

ლიუბა გრიგოლაშვილი ჯგუფის მასწავლებელია, ყოფ. აზნაური. სამსახურში დაგვიანება მისი თანდაყოლილი თვისებაა. გრიგოლაშვილი ვერ შერიგებია ქალის უფლებების გათანასწორებას მამაკაცთან. „ქალი და კაცი არ ყოფილა თანასწორი და არც იქნებაო. მე ამ აზრის ვარ და ვიქნები“-ო.

გრიგოლაშვილი უფრო მაღლა აყენებს ექიმბაშებს, ვინემ ექიმებს. ეს გასაგებია. მამა ჰყავს ექიმბაში.

ვფიქრობთ, რომ მოწაფეები განთავისუფლებული იქნებიან ასეთ მახინჯ აღმზრდელებისაგან.

მსუბუქი კავალერისტი.

გამფლანგველები ხეთის საკრ. ამხ-ბაში

(ხეთა, ზუგდიდის მაზრა)

1928 წლის მაისში, სოფ. ხეთაში დაარსდა საკრედიტო ამხანაგობა, რომლის გარშემო სულ მცირე ხნის განმავლობაში დაირაზმენ ღარიბი გლეხები. ამხანაგობის გამგეობას თავმჯდომარედ მოეწყო ი. ტოლუში, მის მოადგილედ გელოვანი.

ამხანაგობის გამგეობაში შედიოდა აგრეთვე გრ. კუტალია, ცნობილი კულაკი და ყოფილი მენშევიკი.

თანამშრომლები გაბრავა, ნაჭყებია, ხარაია და სხვები, რომლებიც მოკალათდნენ ამ დაწესებულებაში, სამსახურის დაწყებისთანავე შეუდგნენ მივლინებებში სიარულს, რაზედაც აურაცხელი თანხა იხარჯებოდა, ხოლო გასაკეთებელი საქმე ისევ გასაკეთებლად რჩებოდა.

ამხანაგობამ მიიღო სესხი ღარიბ და საშუალო გლეხობისათვის დასარიგებლად და კოლექტივების მოსაწყობად, მაგრამ მათზე უფრო ახლოს ხომ ვაჭრები და კულაკები იყვნენ?

მუშა საქონელი და სესხი მიეცა მხოლოდ ვაჭრებს და საარჩევნო ხმის უფლება მოკლებულ კულაკებს, ხოლო ღარიბი გლეხები პირში ჩალაგამოვლებული დარჩენ.

ასე ატარებენ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხაზს სოფლად ხეთის საკ. ამხანაგობის ხელმძღვანელები.

გარდა ჯამაგირისა ეს ხალხი ამხანაგობას სალაროდან ღებულობდა ფულს, სხვადასხვაგვარი დახმარების სახით.

ა. გაბრავამ მიითვისა ამხანაგობიდან 3 ათას მანეთზე მეტი.

ამხანაგობის გამგეობამ შეიძინა 1.700 მანეთის უვარგისი ტომრები და ეს 1.700 მანეთიც წყალში გადაყარეს. ამხანაგობას დანაკლისი აქვს სულ 5.000 მანეთამდე.

სოფლის კავშირის ინსტრუქტორი კობალეიშვილი ამ საქმეს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. რევიზიის გაკეთების მაგივრად ის, როგორც ამბობენ, რომანით ყოფილა გართული.

საჭიროა საკრედიტო ამხანაგობის გამგეობასთან ერთად, ინსტრუქტორი კობალეიშვილიც იქნეს მიცემული პასუხისგებაში. გამფლანგველიც და მისი მფარველიც უნდა დაისაჯოს.

ჰეტ.

გათავხედებული ბოროტმოქმედნი

(ალგეთ-ასურეთის რაიონი, თბილისის ოლქი)

დიდი ენაგეთის კოოპერატივის პასუხისმგებელ ნოქრად ითვლება მიხეილ თეთრუაშვილი იგი ყოფილი ვაჭარია. 1924 წლამდის, ე. ი. ენაგეთში კოოპერატივის დაარსებამდე ვაჭრობდა, ხოლო, როდესაც კოოპერატივი დაარსდა, ეს აქ დააყენეს ნოქრად. ამის შემდეგ თეთრუაშვილი აძრებს პარტიაში შესვლას, როგორც კოოპერატივის „მუშაკი“.

თეთრუაშვილს კოოპერატივი თავის საწველ ფურად გაუხდია. მისი მოქმედება გლეხებს შორის დიდ უკმაყოფილებას იწვევს, გლეხობას მთელი დღეები უხდება რიგში დგომა ფართლის მისაღებად, მაშინ, როდესაც თეთრუაშვილს და მის ძმებს დილიდან კოოპერატივის დაკეტვამდე ფართალი და სხვა დეფიციტური საქონელი რიგის გარეშე მიაქვთ! ან რა „საჭიროა“ რიგში დგომა, როდესაც მიხ. თეთრუაშვილს თავისუფლად შეუძლიან ყოველგვარი საქონლის გამოტანა „თავის“ კოოპერატივიდან. ამ ზაფხულს კოოპერატივიდან თეთრუაშვილმა ზედმეტი ფართალი გამოიტანა და ნაწილი ფართლისა კომუნერდის მდივან არტემ დალაქიშვილს მისცა, ამის შესახებ კოოპერატივის წევრთა კრებაზე საკითხი დააყენა ოლია დავრიშოვმა, მაგრამ ხელმძღვანელ ამხანაგებმა ამ გარემოებას არავითარი ყურადღება არ მიაქციეს.

ამა წლის ოქტომბერში კოოპერატივმა თბილისიდან მიიღო ფეხსაცმელი, რომელიც წევრებს შორის უნდა განაწილებულიყო. იმ დროს, როდესაც თითო წევრს თითო წყვილი ფეხსაცმელი არ ხვდებოდა, მიხ. თეთრუაშვილის სიდედრს გააქვს 3 წყვილი ფეხსაცმელი, რამაც წევრებ შორის გამოიწვია აღშფოთება.

თეთრუაშვილი წესიერების „დასამყარებლად“ ფიზიკურ საშუალებებსაც მიმართავს. ოქტომბერში, როდესაც ფართალი ურიგდებოდა გლეხებს, თეთრუაშვილი ფართალს პირველ რიგში თავის ძმა-ბიჭებს აძლევდა, ამის შესახებ წინწყაროს მცხოვრებ ბერძენმა გლეხებმა, (რომლებიც დიდი ენაგეთის კოოპერატივის წევრებად ითვლებიან) მას განუცხადეს პროტესტი: ამან თეთრუაშვილი ძალზე გააბრაზა და გლეხი თედორე ყალაჩიევი ფიზიკურად შეურაცხყო.

თეთრუაშვილი არის ამავე დროს შეძლებული გლეხი და ცხოვრობს თავის ძმებთან. ჰყავს ძმებთან ერთად დაქირავებული მოჯამაგირე, რომელიც არ არის ჩარიცხული კავშირში.

ამავე კოოპერატივში ბუხჰალტერის თანამდებობას ასრულებს ყოფილი ოფიცერი და კულაკი მიშა სარალიძე. სარალიძე ანტისაბჭოთა ელემენტია, სასოფლო სამეურნეო სიაში ეწერა 3,5 დესეტინა ბაღ-ვენახი. სექტემბერში გამოყოფილმა კომისიამ აღმოაჩინა, რომ სარალიძეს აქვს 6,5 დესეტინა ბაღ-ვენახი, სახლ-კარის ეზოს ჩათვლით 8 დესეტინა. დაუმტკიცდა აგრეთვე მიწის ყიდვის ფაქტი, სარალიძემ სცადა მიწის დამალვა და მიწის ყიდვის მიფუჩეჩება, მაგრამ გლეხ ჯავახიშვილის და რაიკომის მდივან არაქელოვის მეშვეობით ეს ყველაფერი გამომჟღავნდა. ამის შემდეგ ადგილობრივმა ხელისუფლებამ სარალიძის წინააღმდეგ მიიღო ზომები, გამოიტანეს დადგენილება სარალიძის თანამდებობიდან ხსნის შესახებ. გარდა ამისა სარალიძე უნდ ბეგრილიყო ინდივიდუალური წესით, გორც კულაკი, მას ჯარიმა უნდა გად მიწის დამალვისათვის, ზედმეტი ბაღ- უნდა ჩამორთმეოდა და სხვ. მაგრამ დგენილება ცხოვრებაში არ არის გატარ ლი, რადგან მას მფარველობს აღმასკომის ვმჯდომარე შ. ხუციშვილი და საქმეთა მმ ველი მჭედლიძე. სარალიძე წავიდა სამსა რიდან „თავისი“ ნებით და საქმეც ამით თავრდა.

აღნიშნული პირები ყოლამდე სოფ სარალიძის პურ-მარილით. გარდა ამისა ხუციშვილიც არ აკლებს ხელს ბნელ კომბ ციებს. აღმასკომს ჰქონდა სამასალე ტყე მელიც საჯარო ვაჭრობით უნდა გაყიდ ყო. მაგრამ ხუციშვილმა ეს ტყე თვითონ „იყიდა“ საჯარო ვაჭრობის გარეშე.

დიდი ენაგეთის გლეხთა სკოლს ჰქონ ჰქონდა 500 ფ. ჭარხალი, რომელიც ოქტ რის პირველ რიცხვებში უნდა გაყიდ მაგრამ ხუციშვილმა და სამმა სხვა ვაჭრე პირმა, (რომელთანაც ხუციშ ლორები სუქდებიან) ფარულად გზით ანად შეისყიდეს ეს ჭარხალი. ხუციშ თავისი წილი ე. ი. 125 ფ. გამოიტანა მაღ, მიხეილ თეთრუაშვილის ურმით „შემთხვევამ“ უკმაყოფილება გამოიწვია ხობაში, რადგან ჭარხალი ყველას ესაჭ ბოდა.

ხუციშვილმა გასულ წელს სალაროში ოპერატივიდან შეისყიდა 20 ფუთი პური თი 2,40 მან. შემდეგ იგი ამ პურს ჩარჩ ვაჭარ მინას მინასოვზე, ფუთს 5 თად, ეს იმ დროს, როდესაც სალაროშ გლეხობა პურის ნაკლებობას განიცდ

ხუციშვილმა და მჭედლიძემ ხუციშ ძმას დათიკო ხუციშვილს მისცეს ყალბი წმობა იმის შესახებ, რომ თითქოს იგი 19 წლამდის დიდი ენაგეთში მისდევდა მეურ ობას. სინამდვილეში დათიკო ხუციშ სოფლის მეურნეობასთან არავითარი კავ არ ჰქონია და იმყოფებოდა თბილისში.

11 ნოემბერს უნდა მომხდარიყო კოოპ ტივის გამგის არჩევა. თბილისის საოლქო კ მიტეტისა და საოლქო აღმასკომის მიერ ვშირთან შეთანხმებით გამგეთ წარმოდგენი ლი იყო რკ. გზ. დაწინაურებული ტრაპაიძე. ადგილობრივ პარტორგანიზაცი თანახმა იყო ტრაპაიძის გამგეთ არჩევაზე მა გრამ რას ვხედავთ? ხუციშვილი, მისი შვილი ლადო ხუციშვილი, საბჭოს მდი გიორგი სუხიტაშვილი აგიტაციას ეწევ რომ ჩვენ არ გვინდა „გარეული“ კაცი თუ ტრაპაიძეა შემდეგ კლაპაიძე შე ხუციშვილს თავის ვეგმის განხორციელ აქტიურ დახმარებას უწევდნენ ყოფილი დიელები კოტე გოდერძიშვილი და „მეცადინეობა“ ხუციშვილს გამარჯვ ტრაპაიძე გააშავეს, გამგეთ თვით ხუციშვ იქნა გაყვანილი. აი ყველა ის „საქმენი სა რონი“, რომელსაც სჩადიან დიდი ენაგ „გმირები“. როდის მოეღება ბოლო ამ უმს გავსოებას.

ლუკა.

სიმინდით სპეკულიაცია გურიაში

მოუსავლიანობამ, რასაც გვალვის გამო, ადგილი ჰქონდა დასავლეთ საქართველოში, დაამშია მცხოვრებთა დიდი ნაწილი. უმრავლესობას სარჩო არ ეყოფა იანვრამდე. ხელისუფლება ყოველგვარ საშუალებით სცდილობს დამშეულ რაიონების მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამავე დროს დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ადგილი აქვს სიმინდით სპეკულიაციას. სპეკულიანტები მეტად თავისუფლად გრძნობენ თავს გურიაში, სახელდობრ ლანჩხუთში. ბაზარზე გამოტანილი საქონლის თითქმის ასი პროცენტი ხელში უვარდება სპეკულიანტ - ჩარჩ ვაჭრებს, რომლებიც გზავნიან მას სხვადასხვა სოფლებში და ორმაგ ფასებში ასაღებენ. ასეთ სპეკულიანტთა ჯგუფს ეკუთვნის ჩარჩი გიორგი არველაძე, რომელიც მეტად ბეჯითად „მუშაობს“. უკანასკნელი დღე ფუთამდე სიმინდს აგზავნის იმერეთში, ლაძე სიმინდის დიდ პარტიებს გზავნ დასხვა პირების გვარებზე, რომ როტმოქმედების კვალი დაფაროს. ეს იცის ლანჩხუთის სადგურის ადმინ ციამ და იმის მაგივრად, რომ სპეკულ არველაძეს მოუსპოს ბოროტმოქმედებ შუალება, ხელს უმართავს მას და ნებ ლევს გააჩაღოს სპეკულიაცია.

აღსანიშნავია, რომ ჩარჩ - სპეკულანტ ბის თავისუფალი თარეშის ერთ - ერთი ზეზია, ქირნახულის დამამზადებელ ორგა ზაციების სუსტი მუშაობა.

სპეკულიანტები და მათი მფარველნი ს ტიკად უნდა დაისაჯონ.

ვინი.

თემაღმასკომის თავმჯდომარე--მევახშე

(კოჯრის თემი)

კოჯრის თემს 1928 წ. აღმასკომის თავმჯდომარეთ მოევლინა სოფელ ტაბახმელაში მცხოვრები ვასო შერმაზანაშვილი, რომელიც დღესაც განაგრძობს თემის ბატონ-პატრონობას. ის არ ერიდება მშრომელ გლეხების უმიზეზოთ დაპატიმრებას. მან სრულიად უმიზეზოთ დააპატიმრა წაქვისის ღარიბი გლეხები გიორგი მამისაშვილი, გიორგი მირველაშვილი და სხვები აგრეთვე უმიზეზოთ ცხენს გაათელინა და დააპატიმრა მცირეწლოვანი ბავში, რომელიც ჩააგდო ბნელ სარდაფში და სცემა კიდეც. სარდაფის კარები დაკეტა დიდი კლიტით და თვითონ გაემგზავრა ტაბახმელაში, რაც თავის დროზე ეცნობა უმაღლეს ორგანოს, მაგრამ ვილაცის წყალობით საქმემ მიიძინა.

ამასთან ერთად შერმაზანაშვილი უდიერად ეპყრობა გლეხებს, უყვირის მათ და აღმასკომში საქმეზე მისულ გლხებს მილიციის საშუალებით აგდებს გარეთ. შარმაზანაშვილი თეთრ გვარდიაშიაც ყოფილა. იგი კულ და მევახშეობას ეწევა. ყავს მოჯამაგირე გაყიდა აღმასკომის კუთვნილი შეშა და მოიხმარა თავის პირად საქმისათვის გაანადგურა აღმასკომის სასტუმრო ინვენტარი. დარაჯს იყენებს პირადი ს თვის: გზავნის ტაბახმელაში და აზიდვ პურს.

ეს ყველაფერი თავის დროზე გამოაშკ პარტწმენდის კომისიამ, რომელმაც გამო ნა დადგენილება მისი სამსახურიდან მო შესახებ, მაგრამ ვილაცას წყალობით ის სად ბრძანდება აღმასკომის თავმჯდომ რაც აღელვებს თემის მოსახლეობას.

იმედია ყველა ამას ყურადღებას მიაქ მუშათა და გლეხთა ინსპექცია და რო შერმაზანაშვილს, ისე მის მფარველ ხოვს სათანადო პასუხს. შერმაზანაშვილი და მოშორდეს კოჯრის თემაღმასკომს.

მნახველი.

კეთილ-მოყვარების დაწინაურება

დიდი „გაბედული“ ან, უკეთ რომ ვსთქვათ, უტიფარი უნდა იყოს ადამიანი, რომ მან სწორეთ ამ გაცხოველებული თვითკრიტიკის პერიოდში ოდნავადაც არ შეანელოს პროტექციონიზმი—ნათლიმამობა. ჩვენ ვლაპარაკობთ ყოფ. შორაპნის მაზრის აღმასკომის თავ.-რე მიშა ნიორაძეზე.

ნიორაძე მაზრაღმასკომის თავმჯდომარედ „მოხვდა“ ჯერ კიდევ 1924 წ. მან საუცხოვოთ მოაწყო ოჯახური ძმა-ბიჭური აპარატი. თავისი სიძე სამუელ მარგველაშვილი, კაცი, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ ინიციატივა-უნარს, საზოგადოებრივ მუშაობაში კი ას პროცენტიანი ინვალიდია, განათლების განყ. გამგეთ დაასკუპა. მარგველაშვილმა სრული არევ-დარევა შეიტანა განათლების დარგში.

ნიორაძემ მოაწყო მთელი მისი და თავისი მეუღლის თითქმის ყველა ნათესავები, როგორც საპასუხისმგებლო, ისე ტეხნიკურ სამუშაოებზე, ნიორაძის პროტექციით გაბედნიერებულ ნათესავ-კეთილებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ვილაც ბიკენტი აბესაძე, ცნობილი აფერისტი და არა საბჭოთა ელემენტი.

ნიორაძის მაზრიდან წასვლის შემდეგ მას მიერ შეკრული ნათესაური თაიგული თან დაიშალა. მარგველაშვილს ბედმა ტყუნა. დაწინაურებული კაცი ისევ დაუბრუნდა. იგი ქიათურის 9-წლედში თული ენის უვარგის მასწავლებლად ლებოდა.

მაგრამ ნიორაძე კვლავ დაუბრუნდა შორა პნის მაზრას 1928 წელში და განაგრძო წყვეტილი საქმე. პირველი ცდა „ ტანჯულ პატიოსან ვაჭარ“ ახრახაძის სახურში მოწყობით დაამთავრა. ვაჭარია. ცხადია საარჩევნო ხმის უფლე მოკლებული, ნიორაძის მამასთან ეხლახან დაანება ვაჭრობას თავი, ცი კოოპერაციას დაუბრუნდა.

ეს კიდევ არაფერი, მართლაც მ უნდა შეეწყო ხელი—აბა როგორ არ დაივიწყა, რა თქმა უნდა, მისი ლით დასჯილი სიძეც. ნიორაძემ თავისი რფასი სიძე კვლავ წამოსწია. იგი 9-წლ გამგეთ დაინიშნა.

ამ უმსგავსოებას დაუყოვნებლივ მოეღოს ბოლო, საქმეში აუცილებლად და გლ. ინსპექცია უნდა ჩაერიოს.

მტვირთველი.

კულაკები და ყოფ. გენერალი მასწავლებლები

ჩვენს სკოლებში, ისე როგორც ბევრ სხვა საბჭოთა დაწესებულებაში, მოიპოვებიან ახალი საზოგადოებრიობისათვის უცხო და მტრული ელემენტები. ეს ხალხი საშიშია იმ მხრივ, რომ მათ აბარია მომავალი თაობის ბედი. გარდა იმისა, რომ თვით არ შეეფერებიან ჩვენს აღმშენებლობას, როგორც მუშაკები, მათ შეუძლიათ ახალი თაობაც გარყვნან პოლიტიკურად და საზოგადოებრივად.

მე აქ ვასახელებ რამოდენიმე ფაქტს სენაკის მაზრის ზოგიერთ თემიდან. ჩვენს მაზრაში არის შემთხვევები, რომ კულაკი, ყოფ. გენერლები და ამჟამად შავსიელები ზრდიან საბჭოთა სკოლებში მომავალ თაობას.

ასეთებია:

1) ფოცხოს თემის 4 წლედის გამგე, ადგილობრივი კულაკი, რომელიც მოქცეულია შავ სიაში. მას როგორც კულაკს, ჰყავს რამოდენიმე მოჯა გირე, ის სდევნის ღარიბ გლეხ ამავე დროს ასეთი კაცი ხელმძღვ ლობს ადგილობრივ კოოპერატივ

2) უზაფათის თემის სოფ. ლე ნეს 4 წლედის გამგეთ არის გოგინავა, რომელმაც „ღვთის“ სამ ხურში გაატარა 20 წელი, იმყოფ ნება და დღეს, როგორც კულაკი, სიაშია მოთავსებული.

3) ნაქალაქევის თემის სოფ. ლე ლათურეს 3 წლედის გამგეთ არის ფილი ნიკოლოზისა და მენშევიკ დროის გენერალი გაგუა. ეს მაგა თებიც საკმარისია იმისათვის, აშკარა გახდეს რამდენათ საჭირო ჩვენი სკოლების გაწმენდა და ვო ელემენტების გაძევება საბჭო ბლების კედლებიდან.

ხოძო.

საქართველოს მხატვართა გამოფენა



„აღვადგენთ ინდუსტრიას" — პროფ. მ. თოიძის სურათი საქართველოს მხატვართა გამოფენაზე

ჩვენი მხატვრობა

მხატვრობის აღორძინება მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც იგი ძლიერი გაქანების ეპოხის გამომხატველია, როდესაც მხატვრები ორგანიულად დაკავშირებული არიან ასეთ ეპოქის მაჯისცემასთან.

მსოფლიოს ისტორიაში არ ყოფილა იმაზე უკეთესი მომენტი მხატვრულ შემოქმედებისთვის, როგორიც დღეს საბჭოთა კავშირში არის. თუ საბერძნეთში ტანის კულტი და იტალიაში რელიგია საფუძვლად დაედო ხელოვნების აღორძინებას, დღეს არა ოცნებად, არამედ სინამდვილედ გადაიქცა სოციალიზმის მშენებლობა. ხდება უდიდესი გადატრიალება მსოფლიოში და ძნელი წარმოსადგენია რა წარმტაცი სურათები უნდა დაიხატოს ისეთ დიდებულ თემებზე როგორიც არის თავისუფალ მუშების კოლექტიური გმირული შრომა, ჩაგრულ ერების განთავისუფლება, პრიმიტიულ გუთნებით მიწის ჩიჩქნის მაგიერ ტრაქტორების აგუგუნება, ჩადრახდილ ქალის თამამი ღიმილი და მრავალი სხვა.

ჩვენი მხატვრებიც გრძნობენ თავის მოვალეობას. საქართველოს მხატვართა საზოგადოების გამოფენა ამ ფაქტის ნაწილობრივი გამოხატულება არის.

პროფ. მოსე თოიძე.

ახალი ასირიული ანბანი

განათლების კომისარიატთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა განყოფილებაში გუშინ, ამხ. ნ. მახარაძის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა ამიერ-კავკასიაში მოსახლე ასირიელთათვის ახალი ანბანის შემოღების საკითხი.

ამხ. ნ. მახარაძის საინფორმაციო მოხსენების შემდეგ ამხ. ბიტ-ლაზარი თათბირს აცნობს ასირიულ წერის ისტორიას, მის სირთულეს, და დაასკვნის, რომ საჭირო რადიკალური რეფორმა ასირიულ წერასა და ორთოგრაფიაში, რათა მშრომელ ასირიელებს გაუადვილდეთ თანამედროვე ლიტერატურის გაცნობა საკუთარ ენაზე.

მას მიზანშეწონილად მიაჩნია სამ ვარიანტიდან (რუსული, რუსულ - ლათინური და ლათინური), ლათინურის შემოღება.

ამხ. მარაგულოვი ეხება ლათინურ ვარიანტის უპირატესობას და აღნიშნავს, რომ ლათინური ვარიანტი განსაკუთრებით ეგუება და არ ახდენს ძირითად გავლენას ასირიულ ენის ფონეტიკაზე, იმავე დროს კი საგრძნობლად ამარტივებს წერას. ორატორი საჭიროდ აღიარებს ცვლილების შეტანას რამდენიმე ხმოვან ასოში.

აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ თათბირმა მიიღო მთ. სამეცნიერო საბჭოს მიერ წარმოდგენილი ასირიული ანბანის ვარიანტი და დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა ახალი ასირიულ ანბანის შემომღებ კომიტეტის დაარსების შესახებ. კომიტეტს დაევალება როგორც ახალი ანბანის შემოღებასთან დაკავშირებულ ტეხნიკურ საკითხების მოგვარება, ისე მისი პოპულიარიზაცია მშრომელ ასირიელთა შორის.

ახალწვეული წითელარმიელები ყაზარმაში

ახალწვეულები უკლებლივ გამოცხადდნენ

ოზურგეთი, 16 ნოემბერი. (საქ. კორესპ.) 14 ნოემბრიდან დაიწყო ოზურგეთის მაზრაში 1907 წელში დაბადებულ ახალგაზრდობის ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევა, რომლებიც უკლებლივ თავის დროზე გამოცხადდნენ შესაკრებ პუნქტზე. ახალწვეულებს არ ემჩნეოდა ძველებურად დაღვრემილობა, პირიქით ისინი აღტაცებით მოელოდნენ ყაზარმებისაკენ გამგზავრებას. საღამოს შესაკრებ პუნქტიდან სასულე ორკესტრით ახალწვეულები მიაცილეს პროფკავშირის კლუბამდე, სადაც გაიმართა საზეიმო სხდომა. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვა აჭარისტანის სამხედრო კომისარმა ამხ. ხომერიკმა, ს. კ. პ. (ბ) გურიის კომიტეტის და სამაზრო აღმასკომის სახელით ამხ. ნიკოლაიშვილმა და სხვებმა, რომლებიც აღნიშნავდნენ იმ გმირულ ბრძოლებს, რომელიც გაიარა თავისუფლების მოსაპოვებლად წითელმა არმიამ.

საზეიმო სხდომის შემდეგ ახალწვეულთათვის გაიმართა ადგილობრივ თეატრის ძალების მიერ უფასო წარმოდგენა, რის შემდეგ ხელისუფლებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა ფართო საზოგადოებასთან ერთად ახალწვეულები მუსიკით მიაცილეს რკინის გზის სადგურამდე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წელს ახალგაზრდობა განსაკუთრებული შეგნებით შეხვდა ჯარში გაწვევას, რაიც იმის უტყუარი თავდებია, რომ წითელი ჯარი კიდევ უფრო განამტკიცებს დისციპლინას და ბრძოლის უნარიანობას.

უცხოელი მეცნიერები პროფ. რაზმაძის შესახებ

განსვენებულ პროფ. რაზმაძის ოჯახის სახელზე მიღებულია რამდენიმე წერილი. ჩვენ გვთხოვენ გამოვაქვეყნოთ პროფ. ჰადამარის შემდეგი მიმართვა:

საფრანგეთისა და მსოფლიოს ყველა გეომეტრებთან ერთად მე ძლიერ შემაწუხა ბ-ნ რაზმაძის უდროო და მოულოდნელი გარდაცვალების ამბავმა.

მე ვერ დავივიწყებ თუნდაც იმ მოკლე მოხსენებებს, რომელიც მან „კოლეჟ დე ფრანს"-ში გაგვიკეთა და ვერც ბრწყინვალე აზრებს, რომელიც მან გაგვიზიარა. დეე, იმ თანაგრძნობამ და პატივისცემამ, რომელსაც განვიცდიდით და ახლაც განვიცდით მის მიმართ, შესძლოს ცოტაოდნავ მაინც თქვენი განუსაზღვრელი მწუხარების შემსუბუქება.

მე მით უფრო ვიყავი ამ საშინელი უბედურებით თავზარდაცემული, რომ ამ ზაფხულში კიდევ მივიღე ბ-ნ რაზმაძისაგან წერილი და შრომა, რომელიც დასაბეჭდათ იყო დანიშნული.

მე მგონია, ზედმეტი იქნება ლაპარაკი იმაზე, თუ რა მოკრძალებით და დაკვირვებით განვიხილავ ამ შრომას, რომელიც სამუდამოდ რჩება, როგორც მისი უკანასკნელი სიტყვა. გთხოვთ დარწმუნდეთ ჩემს თქვენდამი ღრმა პატივისცემაში და თანაგრძნობაში.

ჰადამარ.

გავადიდოთ რეალური ხელფასი

(ხელშეკრულების დადება კავშირებსა და კოოპერაციის შორის)

უმაღლესი ორგანოების დირექტივის თანახმად, 1929 — 30 წლის განმავლობაში რეალური ხელფასი საშუალოდ გადიდებულ უნდა იქნეს 13—14 პროც.-ით; აქედან მარტო თვითღირებულების შემცირების ხარჯზე რეალური ხელფასი უნდა გაიზარდოს დაახლოვებით 5 პროც.-ით. ამ ამოცანის მიღწევა შეიძლება მხოლოდ კოოპერატიული და პროფესიონალური ორგანიზაციების შეერთებული ძალღონით. წარსულში ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ იყო, რის გამო, შარშან საბაუჯეტო შენაკრების ფასები გაიზარდა, რასაც არ შეეძლო უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა რეალურ ხელფასზე.

მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში რეალური ხელფასის ზრდის უზრუნველსაყოფად საქ. პროფსაბჭომ და ცეკავშირმა აუცილებლად სცნეს ხელშეკრულების დადება საკავშირო ორგანიზაციებსა და კოოპერაციას შორის აღნიშნული ამოცანის განსახორციელებლად. ხელშეკრულების ძალით კოოპერაცია კისრულობს დანართების შემცირებას საქონელზე. კოოპერატიულ საქონლის გასაყიდ ფასის დაკლებას და საქონლის მიწოდების ტეხნიკის გაუმჯობესებას.

თავის მხრივ საკავშირო ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ კოოპერაციის წევრთა ზრდა, საწევრო გადასახადის განსაზღვრულ რაოდენობამდე გადიდება და საერთოდ ხელი უნდა შეუწყონ თანხების მოზიდვას კოოპერაციაში.

მსხვილი წარმოებების მიმართ ხელშეკრულებანი დადებული იქნება საფაბრიკო - საქარხნო კომიტეტებსა და სათანადო კოოპერატიულ ერთეულს შორის. დანარჩენი წვრილი წარმოებების მიმართ დადებული იქნება მთლიანი ხელშეკრულება კავშირისა და კოოპერაციას შორის.

ხელშეკრულებები განხილული უნდა იქნეს წარმოების მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრებაზე კოლექტიურ ხელშეკრულების პროექტის განხილვასთან ერთად; ხელშეკრულების განხილვას აუცილებლად უნდა დაესწროს კოოპერაციის წარმომადგენელი.

ხელშეკრულებები დადებული იქნება მხოლოდ წარმოებების მიმართ; დაწესებულებების შეტანა ხელშეკრულებების ქსელში ჯერ არ არის განზრახული.

ეს მუშაობა კავშირებმა უნდა ჩაატარონ კოლექტიურ ხელშეკრულებების ხელ-ახლა დადების კამპანიასთან დაკავშირებით.

მეოთხე ავიოლატარია

თავდაცვა-ავიაქიმის სრულიად საკავშირო მე-11-ტე თათბირის დადგენილებით, მიმდინარე წელს მოწყობილი იქნება მეოთხე ავიოლატარია, გამოშვებულ იქნება 4.000.000 ბილეთი. ამ რაოდენობიდან საქართველოში უნდა გასაღდეს 250.000 ბილეთი.

მეოთხე ავიოლატარიის უპირატესობა, წინა ლატარიებთან შედარებით, მდგომარეობს იმაში, რომ თვითეული რესპუბლიკა თვითონ ატარებს ბილეთების რეალიზაციას, მოგება რჩება ამავე რესპუბლიკაში და ტირაჟიც ეწყობა რესპუბლიკის ცენტრალურ ქალაქში.

მეოთხე ავიოლატარიის მთავარი მოგებანი შემდეგია: 3 მოგზაურობა საზღვარგარეთ (თვითეული მოგზაურობის ღირებულება 2000 მანეთი), 5 მოგზაურობა საბჭოთა კავშირში (მოგზაურობის ღირებულება 600 მანეთი), 5 სტიპენდია უმაღლეს სასწავლებელში, ჯიშიანი ცხენი, ჯიშიანი ხარი, მასალები და ნახაზები პლანერის ასაშენებლად და მრავალი სხვა მოგება.

საქ. თავდაცვა-ავიაქიმი უკვე შეუდგა სამზადისს მეოთხე ავიოლატარიის ჩასატარებლად და ბილეთების გასავრცელებლად. ადგილებზე შექმნილი იქნება სალატარიო კომისიები, რომლებიც გაუწევენ ხელმძღვანელობას მთელ მუშაობას და ბილეთების გავრცელებას.

მილიციაში

მოძრაობის მოსაწესრიგებლად კომინტერნის ქუჩაზე

აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების განკარგულებით, ა. წ. 17 ნოემბრიდან დროებით აკრძალულია კომინტერნის ქუჩაზე ავტომობილებისა და გადასაზიდ საშუალებათა მოძრაობა (გარდა ტრამვაისა და ქვეითი მოძრაობისა).

მილიციონერის დაწინაურება

ქალაქის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების ინსპექტორათ დაინიშნა ამხ. მ. გრიგოლია.

ამხ. გრიგოლია მილიციაში მუშაობს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან. პირველად იგი მუშაობდა უფროს მილიციონერად. უკანასკნელად კი მუშაობდა სისხლის სამართლის მილიციაში.

დანიშვნა

ქალაქის აღმასკომის ადმინგანის უფროსის თანაშემწეთ შინაგან ნაწილში დაინიშნა ამხ. დ. მდივნიშვილი, ხოლო გარეშე ნაწილში—კი დაწინაურებული მუშა ამხ. მ. ზაცარინი.

ავიაქიმში

ყრილობები

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის მეორე ყრილობა მოწვეული იქნება მიმდინარე წლის 9 დეკემბერს. 14 დეკემბერს შესდგება ავიაქიმის ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების ყრილობა. 25 დეკემბერს მოსკოვში მოწვეულია ავიაქიმის სრულიად საკავშირო ყრილობა.

ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება საქ. ავიაქიმის მიერ გამოცემული შემდეგი ახალი წიგნები: „ქიმიური ომი და მოსახლეობის თავდაცვა", „თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედებთან არსებული საჰაერო-ქიმიური თავდაცვის წრეები", „ქიმია სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლაში", „როგორ უნდა ვიმუშაოთ სამოდელო წრეებში".

ავიაქიმელი

საქ. ავიაქიმის ჟურნალ „ავიაქიმელი"-ს მესამე ნომერი გამოვა და დაეგზავნება ხელის მომწერლებს 20 ნოემბრისათვის.

პროგრამები

საქ. ავიაქიმმა დაუგზავნა თავის ადგილობრივ ორგანიზაციებს სამხედრო ცოდნათა წრეების და უჯრედების სამეცადინო პროგრამები.

ფეხბურთი

„დინამო"—ტრანსპორტელები

დღეს „დინამო"-ს სტადიონზე გაიმართება პირველი კატეგორიის გუნდების საფინალო შეჯიბრება. თამაშობენ „დინამო"-ს და ტრანსპორტელთა კავშირის პირველი გუნდები.

აღნიშნული შეჯიბრება დიდ ინტერესს იწვევს, რადგან გუნდებ თითქმის თანაბარ ძალას წარმოადგენენ და თანაბარად მიდიან მიმდინარე სეზონში (არც ერთ გუნდს არ აქვს დამარცხება).

აღნიშნული ორგანიზაციების მეორე გუნდების შეჯიბრება დამთავრდა „დინამო"-ს გამარჯვებით 2:0.

მატჩი დაიწყება ნაშუადღევის 3 საათზე.

ქრონიკა

ინდუსტრიალიზაციის 1-ლი სესხის ტირაჟი

20 ნოემბერს ქ. ვიტებსკში გაიმართება ინდუსტრიალიზაციის 1-ლი სესხის ტირაჟი. სულ გათამაშებული იქნება 23.300 მოგება 1.001.500 მანეთის ღირებულების. აქედან 20.000 მოგება არის თითო 100 მანეთიანი, 3.156 მოგება — 250 მ., 84 მოგება — 1.000 მ., 10 მოგება — 5.000 მ., 5 მოგება — 10.000 მან. და 1 მოგება — 25.000 მან.

ბრძოლა საბინაო კრიზისთან

საბინაო კრიზისთან ბრძოლის მიზნით გადაწყვეტილია მტკიცე საძირკველის მქონე სახლებზე დააშენონ ახალი სართულები. ამ მიზნით უკვე დაიწყო ქალაქში არსებულ სახლების გამძლეობის გამოკვლევა. ჯერ-ჯერობით აღრიცხულია 250 სახლი, რომლებზედაც შეიძლება მეორე და მესამე სართულის დაშენება.

აეროპლანი „განათლების მუშაკი"

საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირი შეუდგა აეროპლან „საქ. განათლების მუშაკი"-ს ასაგებ ფონდის შექმნას.

ახალციხის მაზრის მასწავლებელთა კონფერენცია

უკანასკნელ ხანებში ახალციხის მაზრის მასწავლებელთა შორის მუშაობა თვალსაჩინოდ გაცხოველდა. კულტურულ რევოლიუციასთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველად მოწვეულ იქნა მასწავლებელთა სამაზრო კონფერენცია, რომელმაც გამოიმუშავა სოფლად კულტურულ მუშაობაში, წ.-კ. უცოდინარობასთან ბრძოლაში და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საქმეში მასწავლებელთა მონაწილეობის გეგმა. კონფერენციამ დაარსა მეთოდიური 4 კაბინეტით. კაბინეტების მოსაწყობად სამაზრო განათლების განყოფილებამ გადასდო 1.000 მანეთი.

თბ. აღმასკომში

◆ აბანო ვაკეში. კომუნალურმა განყოფილებამ გადასწყვიტა ვაკეში ააგოს აბანო.

◆ ახალი ბაღი. ბარნოვის ქუჩაზე შენდება ახალი ბაღი.

გარაჟი. თბ. აღმასკომმა გადასწყვიტა ააგოს გარაჟი 100 ავტომობილისათვის.

პროფსაბჭოში

◆ პროფმუშაკთა კულტკონფერენცია შესდგება 18 ნოემბერს, მუშათა სასახლეში.

◆ კურსები. 28 ნოემბრიდან პროფსაბჭო პროფმუშაკთა მოსამზადებლად ხსნის თვენახევრიან კურსებს.

◆ კინოს მუშა - მაყურებელთა კონფერენცია მოწვეულია 23 ნოემბერს.

სხვადასხვა

◆ სახ. მეურ. უმ. საბჭოს პლენუმი შესდგება 20 ნოემბერს.

◆ საქართ. მთიელთა საზოგადოება მომავალ კულტ - მუშაობის გეგმის დასამუშავებლათ კვირას 17 ნოემბერს საღ. 7 საათზე (რუსთაველის გამზირი № 41) იწვევს კრებას.

—:—

სახელგამის ახალი გამოცემანი

რედაქციამ მიიღო სახელგამის ახალი გამოცემანი:

1) ფ. მახარაძე — თხზულებანი. ტომი 6. გვ. 260. ფასი 2 მ. 50 კაპ.; 2) ნ. ბოცვაძე, ცკ. ბურჯანაძე, რ. ჩიხლაძე — „ჯეჯილი" (მეორე ჯგუფის სამუშაო წიგნი). გვ. 360. + XI, ფასი 2 მ. 60 კ., 3) ა. ვართანიანი—ოქტომბ: რევოლიუცია და ნაციონ. საკითხი გვ. 30. ფასი 20 კ.

4) წიგნის ფრონტზე (შიგ მოთავსებულია წერილები: წიგნი მასებს — (საქ. კომ. (ბ) ცენტრალური კომიტ. დადგენილება. წიგნის გავრცელების შესახებ); ფ. მახარაძე — პოპულიარული, მარქს. ლიტერ. მასაში. დ. კანდელაკი—საქართველოს მასწავლებლობას (მოწოდება) ბ. ბიბინეიშვილი — სახელმწიფო გამომცემლობის ნაკლი და მიღწევები; ინსტრუქცია წიგნის დამტარებელთა ორგანიზაციის დაარსებისათვის; წიგნის მეგობართა საზოგადოების მუშაობა; წიგნის დამტარებელთა ინსტიტუტი; წიგნის გამომცემლობის 5 წლიანი გეგმა; 1929 წელში გამოცემული და 1930 წ. გამოსაცემი პოპულიარული ლიტერატურა. ფასი — 80 კაპ. 5) დ. კარიჭაშვილი — ქართული ენის გრამატიკა (ეტიმოლოგია). გვ. 196.+12 ტაბულა, ფასი 1 მ. 60 კაპ., 6) ს. სულაქველიძე—სწორხაზოვანი ტრიგონომეტრია. გვ. 242. ფასი 2 მ. 30 კაპ.; 7) გიორგი ნათიძე — ტყის ჩიტები (საბავშო, დასურათებ. გამოცემა), ფასი 65 კაპ.; 8) ვარლამ უზნაძე — თვისებითი ანალიზი (სახ. სპეცტეხნიკუმებისათვის) ფ. 1 მ. 20 კაპ.; 9) ი. სტალინი — დიდი გარდატეხის წელი. გვ. 40. ფასი 10 კაპ.; 10) „ქართული მწერლობა" № 10. (ოქტომბრის ნომერი) ფასი 65 კაპ.

—:—

ხელოვნების ქრონია

◆ „სამსონ და დალილა". დღეს აბონემენტის გარეშე წარმოდგენილი იქნება „სამსონ და დალილა".

◆ „ღვარძლი". რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ღვარძლი".

◆ „მწვერვალები". მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „მწვერვალები".

◆ მბეჭდავთა კლუბში. დღეს წარმოდგენას გამართავს თბ. სატირის თეატრი.

სასამართლო

კატასტროფისათვის სასტიკი პასუხი უნდა აგონ

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ა. წ. 7 სექტემბერს აბასთუმანიდან ბორჯომში მომავალი ავტომობილი, რომელშიაც 17 მგზავრი იჯდა, ახალციხის მახლობლად გადაიჩეხა კლდეში. კატასტროფის დროს მოკვდა ხუთი წლის ბავშვი, დანარჩენები დაშავდნენ; ზოგი მძიმედ, ზოგი მსუბუქად.

ამ კატასტროფის მიზეზების გამომკვლევი კომისიის დასკვნა და საგამომძიებლო ორგანოს წარმომადგენლების მიერ დაგროვილი მასალა ბევრ რამეს მოწმობს და ბევრ რამეს გვაცლება.

პირველი, რაც უსათუოდ აღაშფოთებს მკითხველს,—ეს არის „ზაკავპრომტორგ"-ის ბორჯომის განყოფილების გამგის ვლადიმერ გიგაურის მიუტევებელი უმოქმედობა და უპასუხისმგებლობა.

მეორე—შოფერ გიორგი ივანიანცის განუკურნებელი სენი—ავტომობილის არაჩვეულებრივი სისწრაფით წაყვანა.

საქმე შემდეგშია: ავტომობილი, რომელსაც ავარია მოუვიდა, საჭიროებდა კაპიტალურ შეკეთებას. ავტომობილს გაფუჭებული ჰქონდა რამდენიმე ნაწილი. სულ არ გააჩნდა ერთი-ერთი მუხრუჭი.

მიუხედავად იმისა, რომ გამგე გიგაური არა ერთხელ გაუფრთხილებიათ ავტომობილის უვარგისობის შესახებ, მას ყურადღება არ მიუქცევია, არ მიუღია ზომები შესაკეთებლად. პირიქით, ერთ-ერთი შოფერი, რომელსაც უარი უთქვამს ამ დანჯღრეულ ავტომობილის მართვაზე, გიგაურს გაულანძღავს „ურჩობისათვის" და უბრძანებია ავტომობილის წაყვანა.

შოფერი ვლადიმერ ივანიანცი, რომელიც მართავდა ავტომობილს, განთქმული იყო აბასთუმნის გზაზე, როგორც „უშიშარი" შოფერი. მას მუდამ თავ-ბრუ დამხვევი სისწრაფით დაჰყავდა ავტომობილი. მგზავრები მუდამ შიშით თრთოდნენ, მუდამ ეხვეწებოდნენ შეენელებია სისწრაფე, მაგრამ ივანიანცი მათ ყურადღებას არ აქცევდა.

მგზავრებს არა ერთხელ მიუმართავთ გამგისათვის საჩივრით ივანიანცის წინააღმდეგ, მოითხოვდნენ მის მოხსნას, მაგრამ ის დაუსჯელი რჩებოდა.

ამაშფოთებელია ის გარემოება, რომ ივანიანც რომელმაც კარგად იცოდა მისი დანჯღრეული ავტომობილის ავალ-დავალი, კარგად იცოდა, რომ მას არ გააჩნდა ერთ-ერთი მუხრუჭი და საერთოდ ბევრი სხვა ნაწილიც დაზიანებული ჰქონდა, მიუხედავად ამისა, არაჩვეულებრივი სისწრაფით მიჰყავდა ავტომობილი....

აი ასეთ უპასუხისმგებლობასთან გვაქვს საქმე. საკმარისი იყო გამგის ფხიზელი თვალყური და შოფერის მიერ თავისი პასუხისმგებლობის შეგნება, იმისათვის, რომ ასეთ საშინელ უბედურებას ადგილი არ ჰქონოდა.

საქმის გამოძიება უკვე დამთავრებულია. ორივე ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია. მალე ისინი წარსდგებიან სასამართლოს წინაშე.

ზ.ერ:

შემთხვევები

აფერისტი ბაჩოშვილი

ამ დღეებში თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა პროფესიონალური აფერისტი — ლევან ალექსის ძე ბაჩოშვილი. ბაჩოშვილი მოქალაქეებს ეცნობოდა, როგორც მაზრიდან ჩამოსული გლეხი და სთხოვდა ღამის გათევას. ამასთანავე იგი პირდებოდა სხვადასხვა პირებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ხელსაყრელ ფასებში მიწოდებას. ამ გზით მან ზოგიერთ მოქალაქეებს დასტყუა ფული.

კვლევა - ძიებით გამოირკვა, რომ ბაჩოშვილი თბილისის მთელ რიგ ოჯახებში იპარავდა სხვადასხვა საოჯახო ნივთებს.

ო. სარქისოვის დაპატიმრება

აღმასკომის პრეზიდიუმის განკარგულებით, მოხსნილია თანამდებობიდან და დაპატიმრებულია ღამის გასათევ სახლის კომენდანტი ოგანეზ სარქისოვი, რომელსაც მდგმურებისათვის საჭირო ბინების აღმოსაჩენათ კავშირი ჰქონდა კერძო მაკლერებთან, რომელთაგანაც ღებულობდა გასამრჯელოს.

ძმის დაჭრა

კოსტა დავითისძე იაშვილმა ჩხუბის დროს დასჭრა თავისი ძმა — ტრიფონ იაშვილი. ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია.

ვისია საათი?

აღმოჩენილია ნაქურდალი ოქროს საათი. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 7, ამხ. ახვლედიანთან.

ჭადრაკი

ვ. გოგლიძის რედაქტორობით

(ამოცანა) გ. კასპარიანი (თბილისი)
(იბეჭდება პირველად)



შამათი სამ სვლაში

(ამოცანა) ს. კალანდაძე (თბილისი)
(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

მეორე კატეგორიის მოჭადრაკეთა შეჯიბრება

პირველი ტური

პირველი ტურის უმეტესი პარტიების ბედი უამრავმა შეცდომებმა გადასწყვიტა. ყველაზე ადრე დამთავრდა კარლინსკის და ფალავანდიშვილის პარტია (ახალი ინდიური), ფალავანდიშვილი ჩქარა და მოუფიქრებლად თამაშობდა, რასაც მეცხრე სვლაზე უხეში შეცდომის დაშვების გამო მოჰყვა პაიკის დაკარგვა, შემდეგ როქის და მალე პარტიის. მოხესოვმა დებიუტშივე საშუალება მისცა შიშოვს, როგორც მეფის ისე ლაზიერის ფრთაზე შეტევის მიტანით დაესუსტებინა მისი პოზიცია, მოეგო პაიკი და მალე პარტიაც. დავიდოვმა (შავებით) სიჭინავას წინააღმდეგ ფრანგულ პარტიაში მოწინააღმდეგის დაბნევის მიზნით აირჩია არა თეორეტიული გაგრძელება, მაგრამ თვითონ დაიბნა და მალე ლაზიერის დაკარგვის მუქარის გამო იძულებული გახდა შეეწირა ფიგურა და რამოდენიმე სვლის შემდეგ პარტია დაეთმო. წერეთელმა საყაიმო მდგომარეობაში კარგათ გამოიყენა არუთინოვის სუსტი თამაში ენდშპილში და პარტია მოიგო. შედარებით საინტერესო იყო იცკოვიჩის და პოლოსოვის პარტია, სადაც პოლოსოვი დროს სიმცირის გამო იძულებული გახდა ჩქარა ეთამაშა, რასაც მოჰყვა ხარისხის დაკარგვა და შემდეგ პარტიის. ლევიტასის და ჯაგეტიანის პარტია გადადებულია საყაიმო მდგომარეობაში. დანილოვის და ახნაზაროვის პარტია გადადებულია დანილოვისთვის წაგებულ მდგომარეობაში. ჩერნიავსკის და ასოვსკის პარტია თავიდანვე თანასწორად ვითარდებოდა, მოსალოდნელი იყო რომ პარტია ყაიმით დასრულდებოდა, მაგრამ ენდშპილში ჩერნოვსკი სუსტად თამაშობდა და პარტია წააგო.

ვ. გ.

—:—

სოხუმში

ოქტომბრის დღესასწაულზე საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებების მუშაკთა კავშირის ფიზკულტუროსანთა კოლექტივთან ერთად სოხუმს ესტუმრა ნ. სოროკინი, რომელმაც ჩაატარა იქ რამოდენიმე ერთდროული სეანსი, მოწყობილი პროფკავშირთა საბჭოს მიერ. შედეგები ასეთია: პირველ დღეს 5 დაფაზე, დაფაზე დაუხედავად +4—1 წაგება ს. ტუტელიანთან. იმავე საღ. 9 დაფაზე +7—2 წაგება შვეცოვთან და შერვაშიძესთან და უკანასკნელად 15 დაფაზე +13—1=1. ერთდროულ სეანსის გარდა მას მოუხდა რამოდენიმე სერიოზულ პარტიის გათამაშება სოხუმში მყოფ ინჟინერ რიცლინთან, რომლის ვინაობა, როგორც ძლიერ მოჭადრაკის, არც თვითონ სოხუმმა იცოდა, პირველი პარტია ხანგრძლივი და მეტად ორიგინალური თამაშის შემდეგ რიცლინის მხრივ დამთავრდა სოროკინის წაგებით. მეორე დღეს დილას და საღამოს გათამაშებული იქნა კიდევ ორი პარტია, რომელიც მოუგო სოროკინმა. როგორც გამოირკვა, რიცლინი ძველი მოჭადრაკეა. მას უთამაშნია საკმაოდ ძლიერ მოჭადრაკეებთან, როგორნიც არიან რუსეთში დუზ-ხოტიმირსკი, ნენაროკოვი, და საზღვარგარეთ —რეტი, კანალი, მონტიჩელი და კარგს შედეგებსაც აღწევდა.

პასუხი მკითხველებს

— ვ. ტყეშელაშვილის ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: ა. ჩირაძემ, ქ. ფირცხალავამ, ლ. შონიამ, (ახალ სენაკი), ს. ბეზერაშვილმა (გურჯაანი), არონიშიძემ (ოზურ.), მ. კალაშნიკოვმა, უ. თაყაიშვილმა (ოზურგეთი), ა. ხუნჯუამ (სენაკის მაზრა, ეკის თემი), ქ. სანაძემ (წალვერი), ა. ჰიპაშვილმა (ხაშური), და ო. პ. ავალიშვილებმა (სოფ. ბრეთი) და გ. თხინვალელმა.

— ა. ჩირაძის ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: მ. კალაშნიკოვმა, არონიშიძემ (ოზურგეთი), ქ. სანაძემ (წალვერი), უ. თაყაიშვილმა (ოზურგეთი), ლ. შონიამ (ახალსენაკი) და ქ. ახვლედიანმა.

— ა. კეზელს: თქვენი ეტიუდი დასაბეჭდათ არ გამოდგება. მეტად მარტივია.

— გ. ლომსაძეს თქვენი ამოცანა დასაბეჭდათ არ გამოდგება.

—შ. ჰიპაშვილს: გაფრინდაშვილის და სხვათა ამოცანის გადაწყვეტა თქვენგან მიღებული გვაქვს, მაგრამ დაგვიანებით. ამოცანის გადაწყვეტისას en passant-ს აღება დასაშვებია.

—ვ. ჩომახიძეს (ოზურგეთი): პაიკის უკანასკნელ ზოლში გაყვანისას შეიძლება იგი გადავაქციოთ რა ფიგურათაც გვინდა, მიუხედავად იმისა არის თუ არა ასეთივე ფიგურა დაფაზე.

— დ. კობალავას: თქვენს ამოცანებში პირველ ამოცანას არა უშავს რა, მას უახლოეს №-ში დავბეჭდავთ. მეორე ამოცანა მეტად მარტივია; მესამე ამოცანის იდეა კარგია, მხოლოდ არ ვარგა გადამწყვეტის პირველი სვლა—თავისუფალ უჯრის წართმევით რაც ეწინააღმდეგება ამოცანებისადმი წარდგენილ პირობებს. ეცადეთ შესცვალოთ პირველი სვლა.

— ვ. ლარსაძეს (ქ. ტუმენი): საქართველოში ჯერჯერობით არავითარი საჭადრაკო ჟურნალი არ გამოდის.

— დ. კვესელავას და მაღნარაძეს: თქვენი ეტიუდი და ამოცანა დასაბეჭდათ არ გამოდგება.

—:—

19 ივლისის №-ში მოთავსებულ ამოცანების გადაწყვეტა

ამოცანა ვ. ტყეშელაშვილის შამათი ორ სვლაში გადაწყვეტა: 1. ლh4 (მ 5✕ მუქარათ) I. 1.., კe3+ 2. fe+ II. 1.., კc3+ 2. მფ:c3+
III. 1.., მf5 2. ლf3✕ და სხვა...

ამოცანა ა. ჩიხაძის შამათი ოთხ სვლაში. გადაწყვეტა: 1. ეd4:
I. 1.., მფc5 2. მe2, მფb5 3. მc3+, მფa5 (ან a5) 4. ეc4✕ (ან ვ:a4✕)
II. 1.., მფa5 2. მe2, მფb5 3. მc+ და იგივე რაც პირველ ვარიანტშია.

სრ. საქართველოს პარტიული თათბირი
ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის შესახებ
დანიშნულია 20 ნოემბრისათვის

კვირას, 17 ნოემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე ხელოვნების სასახლეში (მაჩაბლის ქ. № 13) გაიხსნება

საქართველ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის პლენუმი

პლენუმის დღის წესრიგი:

1. პროლეტარულ მწერალთა ამოცანები რეკონსტრუქციის პერიოდში მომხ. ბენ. ბუაჩიძე.
2. კინოს საკითხები მომხს. დავ რონდელი.
3. ქართული პროლეტარული პროზა მომხს. შალვა რადიანი.
4. პროლეტარული მწერლობის ახალ კადრების შესახებ მომხს. ალ. სულავა.
5. თანამედროვე ოსეთის მწერლობა მომხ. ყულაევი.

4263

მეცნიერება და ტეხნიკა

ყველა ნარჩენები—მინდვრათ!

გავაძლიეროთ მებოსტნეობა - მებაღეობა

სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა უდიდეს ამოცანებს ითვალისწინებს ჩვენი მინდვრების ნიადაგის განოყიერების დარგში. უკანასკნელ დრომდე მთელი ჩვენი ყურადღება მიპყრობილი იყო მინერალურ სასუქების წარმოების გაფართოებაზე. მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო მეურნეობის მთელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ შეიძლება ჩვენი წარმოების გეგმის მთლიანად შესრულების შემთხვევაშიც, ჩვენ მხედველობიდან უშვებთ იმას, რომ მოგვეპოება უდიდესი შინაგანი რესურსები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ განაყოფიერებელ ნივთიერებათა საერთო ბალანსის გადიდებაში.

მიმდინარე წელს — გაზაფხულისა და შემოდგომის სეზონისათვის — უნდა დაისვას ამ რესურსების მობილიზაციის საკითხი. მე სახეში მაქვს ამ საჭიროებისათვის ყოველგვარ ნარჩენების შეკრება. ამათ რიცხვს ეკუთვნის ყოველგვარი სამრეწველო ნარჩენები, სასოფლო მეურნეობის ნარჩენები და აგრეთვე საოჯახო ნარჩენები — ნაცარი, ფოთლები, ნაკელი და სხვ.

ნიადაგის კირითა და ფოსფორიტებით განოყიერების უკვე წამოყენებულ პრობლემებს გარდა, ამ ნარჩენების გამოყენებას მიწის გასანოყიერებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ცნობილია, რომ ზოგიერთ რაიონებში ნაკელი იხმარება, როგორც სათბობი მასალა, ზოგიერთ რაიონებში კი — იყრება წყალში. უნდა მოეწყოს ამ რაიონებში მინერალური სასუქის შეზიდვა და მათი გაყიდვა ადგილობრივ დუქნებში განუსაზღვრელი რაოდენობით. ნაკელი კი მთლიანად უნდა იქნას გატანილი, მინდვრათ, უნდა დავიწყოთ კამპანია სასოფლო მეურნეობაში ნარჩენების შეკრების და გამოყენების სასარგებლოდ ლოზუნგით: „მთელი ნაკელი — მინდვრათ".

პრესის ერთ - ერთ ამოცანას უახლოეს დროისათვის წარმოადგენს საზოგადოებრივი აზრის ყურადღების მიპყრობა ამ საკითხზე.

პირველ რიგში უნდა დაისვას ჩვენი ბაღებისა და ბოსტნების მოსავლიანობის გადიდება. ეს უდიდეს ეფექტს გვპირდება ჩვენი ექსპორტის გაფართოების დარგში.

გამოკვლევები, რომლებიც ჩატარებულ იქნა ამიერ-კავკასიაში, კასპიის მხარეში და სხვ., ცხადყოფენ, რომ ჩვენ შეგვიძლია საგრძნობათ ავსწიოთ ჩაისა და თამბაქოს პლანტაციების მოსავლიანობა და გავაუმჯობესოთ ჩვენი სუბტროპიკული მცენარეების — ლიმონების და მანდარინების ნაყოფის ხარისხი.

ამ მცენარეთა არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ამჟამად აიხსნება იმით, რომ ნიადაგი მათი აღმოცენების ადგილას გამოფიტულია და ძლიერ ღარიბია მცენარისათვის საჭირო ნივთიერებებით. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი განაყოფიერებელი ფონდების გამოყენების საკითხის განხილვას იმ მიზნით, რომ ჩვენს ბაღებსა და ბოსტნებს, აგრეთვე თამბაქოსა და ჩაის პლანტაციებს მივაწოდოთ მეტი სასუქი, ვიდრე ისინი იღებენ ამჟამად.

ამასთან ერთად ყურადღების ცენტრში უნდა დაისვას ბაღ-ბოსტნების მოვლის საკითხი. ეს საკითხი უნდა დაისვას, როგორც პირველხარისხოვანი ამოცანა.

პროფ. ი. ვ. ბრიცკე.

გადატრიალება მებამბეობაში

ვ. ზოლოტოვის შესანიშნავი აღმოჩენა

ცდები, რომლებიც უზბეკისტანელმა მეტყევე-მკვლევარმა, ვ. ზოლოტოვმა მოახდინა, მთელ რევოლიუციას მოასწავებენ მებამბეობის და არა თუ მებამბეობის არამედ მეტყეობისა და მებოსტნეობის დარგში. ამ ცდებს ორი-სამი თვის წინ საკმაოდ დიდი წერილი უძღვნა „პრავდა ვოსტოკამ". სამწუხაროდ არც ამ ცდებმა და არც „პრავდა ვოსტოკა"-ს წერილებმა ვერაფერი გამოხმაურება ვერ ჰპოვეს ჩვენი სასოფლო მეურნეობის სპეციალისტებში და ამიტომ, თუმცა სპეციალისტი არა ვარ, საჭიროდ ვთვლი მშრომელთა ფართო მასას გავაცნო ამხ. ზოლოტოვის შესანიშნავი ცდები („პრავდა ვოსტოკა"-ს წერილის და ამავე გაზეთში ამხ. ზოლოტოვის მიერ მოთავსებულ წერილის მიხედვით) იმ იმედით, რომ მიწსახკომი და სასოფლო მეურნეობის განვითარებით დაინტერესებულ სხვა ორგანოები, ამის შემდეგ მაინც მიაქცევენ ყურადღებას ვ. ზოლოტოვის აღმოჩენას.

პირველის შეხედვით ვ. ზოლოტოვის აღმოჩენა იმდენათ მარტივია, რომ ადამიანი გაკვირვებაში მოვა, თუ რატომ ამდენხანს არ იქნა აღმოჩენილი მორწყვის ის წესი, რომელიც ზოლოტოვმა შეიმუშავა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამხ. ვ. ზოლოტოვის აღმოჩენა მდგომარეობს მორწყვის ახალი სისტემის შემუშავებაში.

ვ. ზოლოტოვმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მორწყვის არსებულ სისტემებს მრავალი ნაკლოვანებები ახასიათებს. თუ წყალი არხებიდან მოუშვეს მთელ დათესილ მოედანზე, სიცხის დროს წყალი ჩქარა ორთქლდება, მისი მხოლოდ მცირე ნაწილი აღწევს მცენარის ფესვებამდე. წყალის გაშრობის შემდეგ ჩნდება მიწის ქერქი, რომელიც აღრჩობს ახლად ამოსულ მცენარეს, აბრკოლებს ჰაერის მიღებას მის მიერ. ასეთ პირობებში საჭირო ხდება მიწის მოთოხნა ყოველი მორწყვის შემდეგ. ამრიგად ტყუილად იკარგება აუარებელი წყალი და შრომა (ხელ-ახლა მოთოხნაზე).

ნათესებს რწყავენ აგრეთვე კვალებით. მაგრამ ამ შემთხვევაში ნათესები ფაქტიურად კი არ ირწყვება, არამედ ნიადაგი სველდება ოდნავ და ისიც კვალების ახლო. მართალია, ამ შემთხვევაში არ ჩნდება ქერქი, მაგრამ მიწა იყრება კვალში, ავსებს მას და საჭირო ხდება კვალის ხშირ-ხშირად გაწმენდა. საგულისხმოა კიდევ ერთი გარემოება. ამგვარი მორწყვის დროს მცენარის ფესვები მოქცეულია კვალებისაკენ, ფესვები გრძელი იზრდება. ყველაფერი ეს, რასაკვირველია, ხდება მცენარის ტანის ზრდის ხარჯზე. არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე, რომ კვალების გაყვანას ბევრი ადგილი მიაქვს (ვ. ზოლოტოვის გამოანგარიშებით ამგვარი მორწყვის დროს უქმად იკარგება მიწის 50 პროც.), არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ მორწყვის დროს მხედველობაში არ იღებენ მცენარის საჭიროებებს. რწყავენ მაშინ, როცა მცენარეს ჭკნობა დაეტყობა, და, მაშასადამე, მისი ზრდაც შეჩერებულია. აქედან ნათელია, თუ როგორი მნიშვნელობა ეძლევა სისტემატიურ მორწყვას, მორწყვის ისეთი წესის შემოღებას. რომელიც მოსპობს ზემოდაღნიშნულ ნაკლოვანებებს და მცენარეს მისცემს თანაბარი და შეუწყვეტელი ზრდის საშუალებას.

ეს პრობლემა ბრწყინვალედ გადაჭრა ამხ. ვ. ზოლოტოვმა. მრავალრიცხოვანმა დაკვირვებებმა ვ. ზოლოტოვი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მცენარის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი ფესვების სისტემის ნორმალურ განვითარებას. ფესვების სისტემის ნორმალური განვითარება კი შეუძლია ფიჩხკონებზე (фашины) მოწყობილ კვალებს. სანამ ამ აღმოჩენას გააკეთებდა, ვ. ზოლოტოვს ხუთი წლის დაუღალავი მუშაობა დასჭირდა.

აი ამ აღმოჩენის მოკლე აღწერაც.

პირველ ყოვლისა მზადდება ნიადაგი. ნიადაგის მომზადების შემდეგ გაჰყავთ კვალი, განით 15 სანტიმეტრი, სიღრმით—25 სანტიმეტრი. კვალებს შუა დარჩენილ მიწის სიგანე ერთ მეტრს არ უნდა აღემატებოდეს, სიგრძეს მნიშვნელობა არა აქვს. კვალებს კიდეებში ასობენ პალოებს (8 ცალს ერთ მეტრის სიგრძეზე; პალოების სიგრძე—50 სანტ., დიამეტრი—2 ნახ. სანტ.) კვალს ავლებენ წნელის კედელს. კვალებს შუა მოქცეული მიწის ნაკვეთების კედლების წნელით გამაგრების შემდეგ, ამ ნაკვეთზე ერთმანეთისაგან ერთი მეოთხედ მეტრის მანძილზე (მიწაში) აწყობენ ფიჩხკონებს (უმჯობესია ლერწამის), რომლის ბოლოები კვალის კედელში უნდა იყოს გაყრილი. ფიჩხკონები სამ ადგილას უნდა იყოს შეკრული: შუაში და კიდეებში, გარდა ამისა, ფიჩხკონა შუაში უნდა იყოს დაზნექილი, ამნაირად გამოდის, რომ კვალებს შუა მოქცეული მიწის ნაკვეთები თითქოს ფიჩხკონების „ლამბაქებზეა" მოთავსებული.

ახლა დაუკვირდეთ, თუ როგორ ხდება მორწყვა ამ სისტემის დროს. კვალში გაშვებული წყალი შედის ფიჩხკონებში, როგორც მილებში და ქვემოდან თანაბრად რწყავს მთელს ნიადაგს, 45 წუთში მთელი სივრცე სველია წყლიდან. ამის შემდეგ წყლის მიწოდებას სწყვეტენ. ეს ხანმოკლე მორწყვა შუა აზიის პირობებში საკმაოა 2 ნახ. — 3 თვით. როგორც კი კვალში წყლის გაშვება შეწყდება, კვალებს შუა მოქცეული მიწის ნაკვეთების ზედაპირი თანდათანობით შრება იწოვს ნალექს ნიადაგის ქვედა ფენებიდან, თითქოს იქნება განუწყვეტელი და უხილავი (მიწის ქვეშა) წვიმა. მცენარე განუწყვეტლივ ღებულობს მისთვის საჭირო ნალექს და ამრიგად მისი ზრდა ოდნავადაც არ ბრკოლდება, ფესვები ვითარდება ნორმალურად და ისე, რომ მცენარის ტანის ზრდა არ დააბრკოლოს.

ფიჩხკონები ასრულებენ არა მარტო თავისებური წყალსადენის, არამედ ერთგვარი ვენტილიატორის როლსაც: მათი საშუალებით მცენარე ღებულობს საჭირო ჰაერს, რაც აძლიერებს უხილავი წვიმის ხელსაყრელ გავლენას.

გარდა ამისა ფიჩხკონების წყალობით მიწის განუწყვეტელი სისველე ხელს უწყობს მცენარის განვითარებისათვის საჭირო (ე. წ. ნიადაგის) ბაქტერიების გამრავლებას.

ფიჩხკონების გამოყენება იძლევა წყლის დიდ ეკონომიას (68 პროც.) და შესაძლებლად ხდის სათესი სივრცის 85—90 პროცენტის გამოყენებას. ფიჩხკონების გამოყენება მცენარის ზრდას აჩქარებს სამჯერ, ამდენივე ჯერ იზრდება მცენარის გამძლეობა. ამხ. ვ. ზოლოტოვის გამოანგარიშებით, ფიჩხკონებით მოწყობილ ჰექტარ ბამბის ნათესს შეუძლია 300 ფუთი ბამბის მოცემა.

საინტერესოა, თუ რამდენ ხარჯს მოითხოვს ფიჩხკონების გამოყენება: ჰექტარზე საჭიროა 2200 მან. დახარჯვა. მაგრამ, რადგან კვალი ეწყობა ხუთი წლის ვადით, თითეული ჰექტარი ჯდება 450—500 მანეთი.

⁂

ამხ. ზოლოტოვის ცდები არ ამოიწურება მხოლოდ მებამბეობით, მან თავისი მეთოდის გამოყენება სცადა მეტყეობისა და მებაღეობა-მებოსტნეობის დარგშიც.

აი რას სწერს ამის შესახებ ამხ. ზოლოტოვი:

„მაისის დასაწყისში მე დავრგავი პამიდორი. ივნისის დასაწყისში პამიდორის ბუჩქი აყვავილდა, ივლისის დასაწყისში კი ნაყოფი მოისხა. ბუჩქი არაჩვეულებრივად გაიზარდა. თვითეული ნაყოფის წონა კი 4 გირვანქამდე აღწევდა. ასევე გაიზარდა კიტრი, ბოლოკი და სხვა ბოსტნეული. ჩემი წესით გამზადებულ ნიადაგზე მოყვანილი კომბოსტო 2 ნახ. თვით ადრე დამწიფდა". როცა კომბოსტო მოსჭრეს, ძირზე ახალი თავი ამოიყარა, თუმცა უფრო პატარა ზომის. საერთოდ შესაძლებელი გახდა ზოგ ბოსტნეულის მოსავლის ორჯერ მოწევა.

ნათელია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამხ. ვ. ზოლოტოვის აღმოჩენას. უზბეკისტანის სახ. კომისართა საბჭომ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ამ აღმოჩენას. ამხ. ზოლოტოვს მიეცა ჯილდო 2000 მანეთი და გარდა ამისა გამოტანილია დადგენილება მისი ცდების ფინანსიურად უზრუნველყოფის შესახებ.

საჭიროა ჩვენმა მიწადმოქმედების კომისარიატმა და მებამბეობის კომიტეტმა მიიღონ ზომები ამხ. ზოლოტოვის ცდების გამოსაყენებლად ჩვენს პირობებში. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენს ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებს მოცემული აქვთ მტკიცე დირექტივა მებამბეობის გაფართოების შესახებ. მიზანშეწონილია ბამბის ნათესების გაფართოების დროს გამოვიყენოთ ბამბის მორწყვისა და მოვლის ახალი მეთოდი, რომელიც ასეთ განსაცვიფრებელ შედეგებს იძლევა.

ს მ—ძე.

კომბაინი

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მანქანათა-მშენებლობის განვითარებისა და ზრდის ტემპი თვალსაჩინოა. განვითარების ტემპების შედარება გვიჩვენებს, რომ ორი სამი წლის შემდეგ ჩვენი მარცვლეული და შაქრის მეურნეობა საგრძნობლად გაუსწრებს ჩრდილოეთ ამერიკისა და არგენტინისას.

ამხ. კალმანოვიჩი, რომელიც მივლინებული იყო ამერიკაში მანქანა-იარაღების შესაძენად აღნიშნავს: „ამერიკის მრეწველობა არ იძლევა იმას, რასაც ჩვენ მისგან მოველოდით. მანქანები, რომლებიც დააკმაყოფილებენ ჩვენ მსხვილ სასოფლო-სამეურნეო წარმოებებს, ამერიკაში არ არის. ამიტომ ჩვენი მარცვლეულ კულტურათა ტრესტის წინაშე ისმება პრობლემა—ჩვენში არსებულ ამერიკულ მანქანების კონსტრუქციის შეცვლა და შემუშავება ახალი კონსტრუქციით, რომელიც დააკმაყოფილებს ჩვენს სასოფლო მეურნეობას.

ამერიკაში არ არის არც ერთი ისეთი მსხვილი მარცვლეული მეურნეობა, როგორიც ეს ჩვენ წარმოგვიდგენია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში კემპბელის მეურნეობას, თუმცა მისი მეურნეობაც არ აღემატება 12.000 ჰექტარს. კემპბელის მეურნეობა საინტერესოა იმ მხრივ, რომ იქ მაქსიმალურადაა გამოყენებული მანქანა-იარაღები.

ს. მეურნეობაში დღეს საინტერესოა თავისი დანიშნულებით და კონსტრუქციით ე. წ. კომბაინი, რომელიც ერთ და იმავე დროს მკის პურს, ლეწავს (ჩალას ცალკე უშვებს და მარცვალს ცალკე), ახარისხებს და შემდეგ ასეთი სახით მარცვალი იგზავნება ელევატორში.

კომბაინი უბია ტრაქტორს. ამრიგად საჭიროა 2 მაღალი კვალიფიკაციის მუშაკი: ერთი ტრაქტორისტი და მეორე კომბაინის მესაჭე ანუ კომბაინერი. მეტი პასუხისმგებლობა აწევს ტრაქტორისტს, რომელიც თვალყურს ადევნებს არა მარტო ტრაქტორს, არამედ კომბაინსაც.

საბჭოთა კავშირში ეხლა მუშაობს ამერიკული ფირმის კომბაინები, რომლებიც სხვადასხვა ტიპისაა (იმის და მიხედვით, თუ რა სიფართეზე მკის პურს), მაგრამ სულ მალე მუშაობას დაიწყებს საბჭოთა კომბაინი, რომელიც ბევრად განსხვავდება ამერიკული ტიპის კომბაინისაგან. გამოგონება ეკუთვნის ტიმირიაზევის სახელობის სას. სამ. აკადემიის თანამშრომელს აგრონომ ბოროდინს. აღნიშნული კომბაინის გამოცდა მოხდა აკადემიაში და საუკეთესო შედეგი გამოიღო.



მაკ-კორმიკის სისტემის კომბაინი მუშაობის დროს

საბჭოთა კომბაინის თავისებურება გამოიხატება შემდეგში: ამერიკულ კომბაინთან შედარებით ჩვენი კომბაინი უბრალო კონსტრუქციისაა და ამავე დროს უფრო ეკონომიური, ნაყოფიერი და თვით მანქანაც იაფი ჯდება (დაახლოებით 800 მანეთი 2.400—4.800 მანეთის მაგივრად). ჩვენი კომბაინი საინტერესოა სალეწი აპარატით. რომელსაც სულ თავისებური კონსტრუქცია აქვს. სალეწს არა აქვს საკუთარი ძრავი, როგორც ამერიკულს, არამედ ტრაქტორის ენერგიით მუშაობს, გარდა ამისა არ ხდება მარცვლის (დამტვრევა) დაზიანება და ჩალაც თავის ფორმას ინარჩუნებს.

ამერიკული კომბაინი ძალიან დიდია და შეიძლება ადვილად დაზიანდეს ნიადაგის უსწორო ზედაპირზე. ჩვენი კომბაინი ამერიკულთან შედარებით იძლევა სათბობ მასალის ეკონომიას, არ საჭიროებს მაღალი კვალიფიკაციის კომბაინერს, საკმარისია მხოლოდ ტრაქტორისტი.

წონა ჩვენი კომბაინისა დაახლოვებით 8 ტონაა, ამერიკული 33 ტონამდეა.

ცუდი ამინდის პირობებში უპირატესობა აქვს ჩვენ კომბაინს, რადგან შეიძლება მოიხსნას სალეწი აპარატი და იმუშავებს მარტო სამკალი.

კომბაინმა დღეში უნდა იმუშაოს 18 საათი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დატვირთული არ იქნება. ამიტომ საჭიროა მასზე იმუშაოს ორმა წყებამ. იმისდამიხედვით, თუ როგორი აქვს სამკალს მოდების სიფართე, წელიწადში აიღება 120—480 ჰექტარი ნათესი, დღეში (18 საათის მუშაობა) 7—40 ჰექტარამდე.

კომბაინის ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მისთვის ნიადაგი აუცილებლად უნდა იყოს სწორი, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მუშაობა შეუძლებელია. პური უნდა იყოს სრულიად მომწიფებული. თუ ის ნესტიანია მისი გალეწვა ძნელდება. ამ მიზნით ამერიკაში ხმარობენ მანქანას ე. წ. „ვინდროვერს", რომელიც სჭრის ნათესს და აწყობს ფენებად, სადაც ის შრება და შემდეგ აიღებენ კომბაინით. თუმცა არის კომბაინის ისეთი ტიპი—(„ხოლტი"), რომელიც მომკულ პურს ჯერ აწყობს ფენებად.

ხუთწლიან გეგმის თანახმად 1933 წ. ბოლოს საბჭოთა კავშირში უნდა იქნეს 16,000 კომბაინი, მაგრამ ზოგიერთ სპეციალისტების აზრით ეს რიცხვი მცირეა და აყვანილ უნდა იქნეს 30.000-მდე.

საბჭოთა მამულში „გიგანტი" (ჩრდილოეთ კავკასია) დღეს მუშაობს 25 კომბაინი.

რაც შეეხება ს. მეურნეობის სხვა დარგებს, ის ჯერ კიდევ არ არის სათანადოთ მექანიზაციაქმნილი, სას. მეურნეობის ამ დარგების მექანიზაციას ხელი უნდა შეუწყოს კოლექტივიზაციამ და ინდუსტრიალიზაციის იმ ტემპმა, რომელიც ხელისუფლების მიერ არის აღებული.

აგრ. რ. დოლონაძე.

კვერცხების შენახვის ახალი წესი

კორნუელის (შეერთ. შტატები) უნივერსიტეტის პროფესორმა შარპმა აღმოაჩინა კვერცხების გაუფუჭებლად შენახვის ახალი წესი. მან შენიშნა, რომ ახლად დადებულ კვერცხში მოიპოება ნახშირმჟავას მცირე რაოდენობა, რომელიც თანდათანობით გამოდის ნაჭუჭიდან და ქრება, რის შემდეგ იწყება კვერცხის გაფუჭება. ამ გარემოებამ შარპს აფიქრებინა—ნახშირმჟავას გამოყენება კვერცხის დასაცავად გაფუჭებისაგან. შარპის მიერ შემუშავებული წესით კვერცხები ინახება გერმეტიულად დახურულ შენობაში, რომელშიც უშვებენ 10 პროც. ნახშირმჟავას. ასეთ პირობებში კვერცხი დიდხანს ინახება გაუფუჭებლად.

ათასი კვერცხის შენახვა შარპის წესით ჯდება რამდენიმე კაპეიკი.

დადან-ბლატის სკის გაუმჯობესება

მეფუტკრე-სპეციალისტმა ვ. ფ. უნაფქოშვილმა, რომელიც მუშაობს გორის ოლქის მიწადმოქმედების განყოფილებაში, დიდი ხნის მუშაობის შემდეგ მიაღწია დადან-ბლატის სკის საგრძნობლად გაუმჯობესებას.

როგორც ვიცით, დადან-ბლატის სკა დღევანდლამდე ფართედ იხმარება მეფუტკრეობაში და წარმოადგენს საუკეთესო სკას. მაგრამ მას ჰქონდა მრავალი უარყოფითი მხარე, რომლებიც საგრძნობ ზიანს აყენებდნენ ფუტკარს.

ვ. უნაფქოშვილის გაუმჯობესებანი სკის კონსტრუქციაში აადვილებენ მუშაობას და ამასთანავე თავიდან აცილებულია მრავალი ხარჯი და დროის დაკარგვა.

ვ. უნაფქოშვილმა შეიტანა შემდეგი გაუმჯობესება დადან-ბლატის სკაში: სკიდან ჩარჩო ისე ამოიღება და ჩაიდგმება მასში, რომ ფუტკარი არ გაიჭყლიტება, დადან-ბლატის სკაში კი ჩარჩოს ამოღება-ჩადგმის დროს იღუპებოდა მრავალი ფუტკარი, ამავე დროს ფუტკარი ბრაზდებოდა, რაც უარყოფითი გავლენას ახდენდა მუშაობაზე.

ვ. უნაფქოშვილი და მის მიერ გაუმჯობესებული სკა

ვ. უნაფქოშვილის მიერ გაუმჯობესებულ სკაში ჩარჩოს არ სჭირდება მავთულის გაბმა. ყველას ადვილად შეუძლიან ჩარჩოში ხელოვნური ფიჭის ჩამყნობა, ამით დაზოგვილია დრო და მავთული. ახალი გაუმჯობესებული სკა სამთაბარო კარგია, მასში არ მოხდება ფიჭების ჩამოწოლა. ზამთარ-ზაფხულ სკაში ზომიერი ტემპერატურაა, რასაც შედეგათ მოსდევს ნაადრევი ბარტყი, თაფლის ბლომად შეგროვება, საზამთრო საზრდოს დაზოგვა. ცივ ადგილებში (მთაში) სკას საზამთროდ არ სჭირდება შენობაში შეტანა, რადგან ყინვისაგან ფუტკარი არ ზარალდება.

ახალი სკა ისეა მოწყობილი, რომ მასში ქურდი ფუტკარი ადვილად ვერ შეძვრება. ამასთანავე სკის ბუდე შეთანხმებულია ფუტკრის ბუნებასთან. ფუტკარი ახალ სკაში მუშაობს დინჯად, იძლევა მეტ თაფლს და ფიჭს აშენებს რიგიანად.

ვინაიდან ახალ სკაში ჩარჩოს ამოღება ადვილად ხდება, მუშაობის დროს მეფუტკრეს ძალიან ცოტა დრო ეხარჯება. ერთი მეფუტკრე ადვილად მოუვლის 200 ძირიან საფუტკრეს.

ვ. უნაფქოშვილის მიერ გაუმჯობესებული სკა გამოსცადა სპეციალისტების კომისიამ, რომელმაც იგი სცნო მიზანშეწონილად და სასარგებლოდ მეფუტკრეობის დარგში.

ქალაქის ახალი ტიპი

ქ. ნიუ-იორკის მგეგმავმა კომისიამ გამოაქვეყნა მოხსენება ახალ საქალაქო მშენებლობის შესახებ.

კომისია, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში აწარმოებდა ქალაქის მშენებლობის შესწავლას, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დიდი ქალაქები, გარდა იმისა, რომ უარყოფითი გავლენას ახდენენ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ეკონომიურადაც არ არიან ხელსაყრელი. კომისიამ მხედველობაში მიიღო განვითარება ავტო-ტრანსპორტის, რომელმაც რადიკალური ცვლილებები მოახდინა ამერიკის ყოფა-ცხოვრებაში და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მომავალი ეკუთვნის პატარა ქალაქებს.

ყველაზე უფრო სასურველად კომისია თვლის ქალაქს, რომელსაც 50—60 დესეტინაზე მეტი არ უჭირავს და რომლის მოსახლეობა შეიძლება დაკმაყოფილდეს ერთი შკოლით.

ქალაქის შიგნით ქუჩების, მოედნების და საბავშო მოედნების სისტემა ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ მოსახლეობის ყოველი ნაწილისათვის ადვილი მისაწვდომი იყოს ქალაქის ცენტრი, სადაც მოთავსებული იქნება ყველა საზოგადოებრივი დაწესებულება, სავაჭრო დაწესებულებები მოეწყობა ცენტრში ან სხვა მისაწვდომ პუნქტში, მაგრამ იმ ანგარიშით, რომ დააკმაყოფილოს მხოლოდ ამ ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილება. ქუჩების ქსელი ისე უნდა მოეწყოს, რომ მან დააკმაყოფილოს ქალაქის შიგნით მიმოსვლის საჭიროებები, მაგრამ არ გამოდგეს ქალაქთაშორისო მიმოსვლისათვის. უკანასკნელი საჭიროებისათვის გაყვანილი მაგისტრალები ან გზატკეცილები გაივლიან ქალაქის გარშემო ან ახლოს. ავტომობილისათვის მოეწყობა ერთი საერთო ცენტრალური გარაჟი.

მთელი ასეთი ქალაქი, გაშენებული იმ ანგარიშით, რომ იგი დააკმაყოფილებს თავის მოსახლეობის ყველა კულტურულ-ყოფაცხოვრებრივ მოთხოვნილებებს, კომისიის აზრით, იქნება ყველაზე ხელსაყრელი საცხოვრებელი ერთეული.

მაგრამ საეჭვოა, რომ ამერიკელმა კაპიტალისტებმა გააშენონ ამგვარი იდეალური ქალაქი, ვინაიდან სახლის პატრონები ამერიკაში ყველაზე მეტ მოგებას იღებენ დიდ ქალაქებში, სადაც მოსახლეობის სიჭარბის გამო, ისინი წამ და უწუმ ახერხებენ ბინის ქირის გადიდებას.

ნ. ი.

რადიო-გადაცემა

კვირა, 17 ნოემბერი

პიონერისა და მოწაფის საათი „სანიტარია და ჰიგიენა რაზმში" — ქართულ ენაზე; საზავშო ლიტერატურულ - მუსიკალური დილა; ექიმის საუბარი, საერთაშორისო და საშინაო მიმოხილვა ქართულ ენაზე; პოპულიარული კონცერტი, ინფორმაცია და ცნობები; პიონერისა და მოწაფის საათი „სკოლის ასაკამდე აღზრდის ლაშქრობა" რუსულ ენაზე; აგრონომის საუბარი „მევენახეობა კოლმეურნეობებში" ქართულ ენაზე; კომკავშირის რადიო - გაზეთი ქართულ ენაზე; საუბარი ციკლიდან „საბჭოთა პედაგოგის დასახმარებლად" — „ანტი-რელიგიური მუშაობა სკოლებში" — ქართულ ენაზე; საერთაშორისო და საშინაო მიმოხილვები რუსულ ენაზე, ინფორმაცია და დროის შემოწმება; რადიოს მეგობართა საზოგადოების საათი (ტეხნიკური კონსულტაცია); ოპერა „სამსონ და დალილას" ტრანსლიაცია, ახალი ამბები.

ორშაბათი, 18 ნოემბერი

დილას — სატრანსლიაციო ქსელით — მუშათა შუადღე.

საღამოს — მუსიკის მოსმენა ნასადილევს; პიონერისა და მოწაფის საათი „ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის 10 წლის თავი" რუსულ ენაზე; რადიო - გაზეთი ქართულ ენაზე; ინფორმაციები; წითელარმიელთა რადიო - გაზეთი ქართულ ენაზე; ცნობები და დროის შემოწმება; რადიო-გაზეთი რუსულ ენაზე; ლიტერატურულ - მუსიკალური საღამო ციკლიდან „საქართველოს პროლეტარული პოეტები" — ალ. მაშაშვილი, პროგრამით „მე და ბარათაშვილი", დუმილის საათი; ახალი ამბები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აგიტპროპგანყოფილება იუწყება, რომ დღეს, 17 ნოემბერს, დღის სრულ 12 საათზე აგიტპროპგანყოფილებაში შესდგება **თათბირი პროფკავშირთა კულტმუშაობის გამოკვლევის საკითხზე.** სავალდებულოა ქვემოდ ჩამოთვლილი ამხანაგების დასწრება.

არუთინოვი (საქ. პროფსაბჭო), ადამიანი (თბილისის კომიტეტი), დავითიანი, კიკაძე და ცართანიანი.

—:—

საქ. ა. ლ. კ. კ. ცენტრალური კომიტეტის საკონტროლო კომისია იუწყება, რომ ორშაბათს, 18 ნოემბერს, საღამოს სრულ ექვს საათზე ცენტრალურ კომიტეტში (რუსთაველის პრ. № 20) **შესდგება საკონფლიქტო კომისიის სხდომა.** სავალდებულოა საკონფლიქტო კომისიის ყველა წევრის, საწარმოო მუშაკებისა და ქვემოდ ჩამოთვლილი ამხანაგების დაუგვიანებლივ დასწრება.

კულაკოვი, მიტრო მჭედლიშვილი, ნინა და მიხეილ ჭუმბურიძეები, ლოლობერიძე, ახვერდოვა, კ. შავრაშიძე, მ. ცინცაძე, ა. ცაგარეიშვილი, გრ. ტორია, პ. სახანბერიძე, ლ. ნიკოლაიშვილი, გრ. ლორია, დ. ღლონტი, შ. კალანდაძე, ნ. ქამუშაძე, ნ. გოგიავა, ვ. ბოკერია, ა. სიხარულიძე, მ. ვორდანიშვილი, გ. ჯაფარიძე, დავიდოვი, მეუნარგია (ანძათმშენებლობის ტრესტიდან).

—:—

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონული კომიტეტის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება იუწყება, რომ კვირას, 17 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე მუშათა ახალ კლუბში (კომინტერნის ქ. № 5) **მოწვეულია ახალი მოწვევის დელეგატ ქალთა საორგანიზაციო კრება შტატს გარეშე ინსტრუქტორებსა და უჯრედების და საბინაო-საიჯარო კოოპ. ამხანაგობების ქალთა ორგანიზატორებთან ერთად.**

სავალდებულოა ყველა ზემოთ აღნიშნული ამხანაგის დაუგვიანებლივ დასწრება.

—:—

საქართველოს ა. ლ. კ. კ. თბილისის საოლქო კომიტეტის საკონფლიქტო კომისიის მორიგი სხდომა შესდგება 18 ნოემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე. სავალდებულოა თბილისის საოლქო კომიტეტის საკონფლიქტო კომისიის წევრების, აგრეთვე ამხ. ვ. გასპაროვის, ს. მეგრელიშვილის, ბ. ალანიას, ი. დანელიას, ე. ლომიძის, გ. კუმიტაშვილის, ბ. მამედოვის და ხ. გუნიას დაუგვიანებლივ დასწრება.

—:—

ცენტრალური კომიტეტის აგიტპროპგანყოფილება იუწყება, რომ 18 ნოემბერს, დღის სრულ 2 საათზე შესდგება **თათბირი სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის საკითხებზე.** სავალდებულოა ქვემოდ ჩამოთვლილი ამხანაგების დაუგვიანებლივ დასწრება.

კანდელაკი (განათლების სახ. კომისარიატი), პროფ. მუსხელიშვილი და ზავრიევი (სახ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტი), ჩაკვეტაძე და პერვუშინი (სახ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტი) და მაისურაძე. (ა. ლ. კ. კ. ცენტრალური კომიტეტი).

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქართველოს ს. ს. რ. შრომის სახ. კომისარიატისა

18 სექტემბერი 1929 წ.

პრაქტიკანტების შრომის გასამრჯელოს შესახებ

ამიერ-კავკასიის შრომის სახკომისარიატის მიერ 1929 წ. სექტემბრის 6-ს თარიღით და 84 №-თ „საწარმოო პრაქტიკის დროს უმაღლეს სასწავლებლებსა და ტეხნიკუმების მოსწავლეთა შრომის პირობების შესახებ" გამოცემულ დადგენილებასთან შეფარდებით, საქ. სსრ შრომის სახკომისარიატი ადგენს:

გაუქმებული იქნეს საქ. სსრ შრომის სახკომისარიატის მიერ 1928 წლის ნოემბრის 12-ს თარიღით და № 23-თ „პრაქტიკანტებისა და სტაჟიორებისათვის მინიმალურ ხელფასის დაწესების შესახებ, იმ დაწესებულებებში, სადაც გატარებულია ხელფასის სახელმწიფო მოწესრიგება (დანორმვა) და თანამდებობითი ხელფასის სისტემა" გამოცემული დადგენილება (საქ. სსრ შრომსახკომ. კან. კრ. გამოც. 29 წ. გვერდი 159—460) და 29 წ. ივლისის 31-ს თარიღით გამოცემული განმარტება „პრაქტიკანტებსა და სტაჟიორების შრომის ხელფასის დაკმაყოფილების შესახებ იმ წარმოებებში, სადაც სატარიფო რეფორმა არის გატარებული" (გაზეთი „კომუნისტი" 1929 წ. აგვისტოს 4 № 177—2523), იმ ნაწილში, რომელიც ეხება პრაქტიკანტების შრომის ხელფასის რაოდენობის გამოანგარიშების საკითხს.

შრომის სახკომისრის მოადგილე

ნ. ათოევი.

სატ. საკ. გან. გამგის მაგიერ

შ. ჯაგადარი.

უნუგეშო დედა ნინო, დები: ელენე და მარო, სიძე შალვა ცინცაძე და დისშვილი იოსებ ცინცაძე აუწყებენ საზოგადოებას, რომ კვირას, 17 ნოემბერს, 4 საათზე, დიდუბის პანთეონში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

პროფ. ანდრია რაზმაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 4278

თ.ს.უ. სამათემატიკო დარგის მე-4 კურსის სტუდენტები: ნ. ბრეგვაძე, მ. ჩხარტიშვილი, კ. ქურიძე, ნ. გურგენიძე, გ. ჩაკვეტაძე, ა. კორძაძე, ა. კოზმავა, ა. ღვინერია, ნ. კიკვაძე, თ. სულაბერიძე, ნ. ბახტაძე, დ. ებანოიძე, თ. ცინცაძე, მ. ჩაკვეტაძე, ა. რაფავა, დ. დევიძე, დ. ტყეშელაშვილი, გ. ჩხიკვაძე, ს. ნაჭყებია იუწყებიან, რომ კვირას, 17 ნოემბერს, 4 საათზე დიდუბის პანთეონში

პროფ. ანდრია მიხეილის-ძე რაზმაძის

ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი. 4277

მათემატიკური დარგის კურსდამთავრებულთა ჯგუფი: ნ. ძიგავა, დ. ქინქლაძე, მ. მირიანაშვილი, დ. უკლება და მ. როინიშვილი აუწყებენ საზოგადოებას, რომ დღეს, 17 ნოემბერს, 4 საათზე, დიდუბის პანთეონში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი სასიქადულო პროფესორის და მსოფლიო მეცნიერის

ანდრია მიხეილის-ძის რაზმაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 4283

თბ. სახ. უნივერსიტეტის მათემატიკური დარგის მე-3 კურსის სტუდენტობა აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას, 17 ნოემბერს, 4 საათზე, დიდუბის პანთეონში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი განსვენებული

პროფ. ა. რაზმაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 4279

ტ. ს. უ. პედაგოგიურ ფაკულტეტთან არსებული პროფ. ა. რაზმაძის სახელობის ფიზიკო-მათემატიკური წრე აუწყებს საზოგადოებას, რომ განსვენებულ

პროფ. ანდრია მიხეილის ძე რაზმაძის

ხსოვნის აღსანიშნავად კვირას, 17 ნოემბერს, 4 საათზე, დიდუბის პანთეონში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 4275

ა. ბეგიაშვილი, ვ. გვარაშვილი, კ. მარჯანიშვილი, ვ. კუპრაძე, ა. რუხაძე, დ. ვაშაკიძე, შ. მიქელაძე და გ. ხაჟალია იუწყებიან, რომ დღეს, 17 ნოემბერს, დღის 4 საათზე, დიდუბის პანთეონში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

პროფ. ანდრია რაზმაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 4284

დამწუხრებული სიმონ და მარიამ ხმალაძე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი ქალიშვილი

ზინაიდა (ზინა) ხმალაძე

გამოსვენება დღეს, 3 საათზე ყ. ალექსანდრეს საავადმყოფოდან ვერის ახალ სასაფლაოზე. 4285

გრიგოლ ტაბიძე, გალაქტიონ მგელაძე, მიხეილ ზაცარნი, დავით მდივნიშვილი, შალვა მელაძე, მიხეილ გრიგოლია, მიხეილ ტაბიძე, ექვთიმე ჯვებენავა, ვანიჩკა მამაჯანოვი და ნოე ჩხეიძე მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ზინაიდა (ზინა) ხმალაძე

გამოსვენება დღეს, 3 საათზე ყ. ალექსანდრეს საავადმყოფოდან ვერის ახალ სასაფლაოზე. 4285

სის. სამარ. სამძებრო გვე-განყ. თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან ადმინგანის უფროსის ამხ. სიმონ ადამის-ძე ხმალაძის საყვარელ ქალიშვილის

ზინა ხმალაძის

უდროოთ გარდაცვალებას. ნ. 3356

უზომოდ დამწუხრებული ქირისუფალი აუწყებს საზოგადოებას, რომ ორშაბათს, 18 ნოემბერს, 2 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

პავლე (პალიკო) ბოკერიას

ხსოვნის აღსანიშნავად. 3353

დამწუხრებული ძმები: ბიჭია, იორდანე, და ქეთევანი, რძლები ანუსია და პელაგია, ძმისშვილები: დავითი, იროდი, კარპეზი, ტრიფონი, სამსონი, ამბროსი, ვანო და სიმონი ნეფარიძეები, დობილი ვარინკა გამბაროვისა და დეიდაშვილი სიმონ აბრამიშვილი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 16 ნოემბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ზაქარია ხახუტას-ძე ნეფარიძე

დასაფლავება—18 ნოემბერს, დღის 3 საათზე, კუკიის სასაფლაოზე (ბინა—კამოს ქუჩა № 32). (ღ)

ღრმად დამწუხრებული შვილები მარიამი, სერგო, ნესტორ, ნიკოლოზი, ელისო, შალვა, ვასილი, რძლები—ნინა, სონია და ელენე, შვილისშვილები, სიძეები ვ. ჭანიშვილი და ზ. მჟავია აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 16 ნოემბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი

ეკატერინე ბეჟანის ასული კეჭელმაძე

დასაფლავება 18 ნოემბერს, სოფ. კვირიკეთში (გურია), საღამოს 4 საათზე. (ტელ.)

დამწუხრებულნი მეუღლე კოწია ჩაჩავა შვილებით, მშობლები: ფილიპე და ნატალია, ძმა აკაკი, რძალი შურა გოცირიძეები, კატო და რეზო ციციშვილები აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს, რომ დაუვიწყარ

ლიუბა გოცირიძე-ჩაჩავას

ხსოვნის აღსანიშნად კვირას, 17 ნოემბერს, 3 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი. 4267

ბებია ივდითი, ბიძა გერვასი და ბიცოლა ნინა გოგოლაძეები თავიანთი პატარა ნაირათი მწუხარებით დასტირიან საყვარელ

ელეონორას (ტუპუნიას)

უდროოთ დაკარგვას. დაკრძალვა დღეს, 2 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. 4281

დამწუხრებულნი: დედა დოვნე ქარცივაძისა, მეუღლე ისაკი, შვილები: ელენე, ნინო, თამარა, დავითი, ვალერიანი, ბორისი და რძალი ნადეჟდა კალანდარიშვილები იუწყებიან, რომ კვირას, 17 ნოემბერს, 4 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ

ეკატერინე კალანდარიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავათ. 4276

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ივანე, შვილები: არტემი და ჭიჭიკო; რძლები კატო და ნინა, შვილისშვილები ფლორენცია, მარო, გენო, ოთარი და ლამარა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათთვის ძვირფას

ფოტინე კაჭარავა-ურიდიას

უეცრად გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება 19 ნოემბერს, სოფ. ონტოფოში. (ღ)

ქალაქ სოხუმის ქართველ მასწავლებელთა სექცია უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამს

არტემ ფილიპეს ძე ფანცულაიას

ვერაგულათ მოკვლის გამო. დაკრძალვა ქალაქ სოხუმში, კვირას, 17 ნოემბერს. 4272

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1929—30 წ. სეზონი

კვირა, 17 ნოემბ. აბონ. გარეშე, აბონ. ციკლში არ შედის
მ. პ. მაქსაკოვას ტ ცნობ. ბარიტ. მ. კ. მაქსაკოვის მონაწ. **სამსონ ტ დალილა**
ორშაბათი 18 ნოემბ. 1 აბონ. 2 წარმ. ნ. კ. პეჩკოვსკის მონაწ. **პიკის ქალი**
სამშაბათი, 19 ნოემბერი, მე-3 აბონემ. მე-2 წარმ. **გედების ტბა**

ყველა საბონემენტო წარმოდგენაზე ბილეთების ნაწილი დატოვებულია ხელზე გასაყიდათ. გამოსყიდული ტალონებით ბილეთები გაიცემა რიგს გარეშე დღის 2 საათამდე. შეღავათიანი ტალონების გაყიდვა შესწყდება 25 ნოემბერს.

ნ. 3350

რუსთაველის თეატრი
სეზონი 1929—1930

დღეს, კვირას, 17 ნოემბერს,
სერია ბ მე-4 აბონემენტის მე-2 წარმოდგენა
ვ. ილცევი
ღვარძლი
დრ. 4 მოქ. თარგ. ს. შანშიაშვილის.
დადგმა—ალ. ახმეტელის და კ. პატარიძის
მხატვარი—ნ. პელიონკინი
მუს. ნაწ. გამგე—ბრ. კილაძე
დასაწყისი სრულ 8 საათზე

თეატრის დირექტორი, სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი — ალ. ახმეტელი.
აბონემენტების გადასახადის მესამე ვადა თავდება 20 ნოემბერს.

ნ. 3355

ორშაბათიდან, 18 ნოემბრიდან, კინო-თეატრებში

სოლეი
ნიკოლოზ კოლინი
უცხოეთის მხატვრულ სურათში
პოეტი

არფასტო
ახალი სურათი
სილამაზის საიდუმლოება
ცნობილ სპორტსმენ-ტრიუკისტის
რიჩარდ ტოლმეჯის
მონაწილეობით.

მინიონი
საუკეთესო ამერიკული მხატვრული ფილმი
სიცოცხლის ფასად
(ინჟენერ სტრონგის პროექტი)
რეჟისორი რალფ ინს.
მთავარ როლებში
რალფ ინს ტ რევს ლიჩ

დარბაზი
ყოველ სეანსში პოპულიარული მუსიკალური
ექსცენტრიკ-სატირიკოსები
ლავროვების ოჯახი
6 კაცის შემადგენლობით
თავიანთი ორიგინ. რეპერტუარით
ეკრანზე
მწვანე შესახვევი.

ნ. 3359

აპოლო	უკანასკნელი დღე **ცოცხალი ლეში**	პალასი	**ეს ჩემი საქმროა** 18 ნოემბრიდან პრემიერა მოსამართლე რეიტანესკუ
სოლეი	18 ნოემბრიდან აპოლოში ნანუკ	არფასტო	**შავი ციკლონი** 18 ნოემბრიდან სილამაზის საიდუმლოება
მინიონი	სოლეიში პოეტი მინიონში სიცოცხლის ფასად	დარბაზი	**ზეროს ვაჟი** 18 ნოემბრიდან მწვანე შესახვევი

მალე—მკვდარი მარყუში 0—7

კინო-პალასი
ორშაბათიდან, 18 ნოემბრიდან პრემიერა
სეზონის საუკეთესო ფილმი
მოსამართლე რეიტანესკუ
(ორეული)
მთავარ როლში **ზოია ვალევსკაია**
გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრი ცეიტლინის ლოტბარობით. ნ. 3359

იგი ხელით იჭერს
პოლიარულ მელას...
სელაპს ისე აძრობს
ტყავს, როგორც ბანანს...

ნანუკ

ეს კაცი მთელ თავის სიცოცხლეში მხოლოდ იმას აკეთებს, რომ ნადირივით იბრძვის თავისი სიცოცხლისათვის, ამარცხებს სტიქიასა და ნადირებს.

ორშაბათიდან
18 ნოემბრიდან
კინო-აპოლოში

განსაკუთ. ჩანგ? ნახეთ ნანუკ. ჩანგ—ტროპიკები (სამხრეთი), ნანუკ—ჩრდილოეთი.

ნ. 3359

„საქსახვაჭრობა"

საქ. სახელ. ვაჭრობის სააქციო საზ-ბა

(Грузгосторг)

იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება სრულიად გამოირკვეს საქართველოს მრეწველობის, კომუნალური მეურნეობისა და სხვა მომხმარებელთა მოთხოვნილება, აგრეთვე იმ მიზნით, რომ საქონელი სწორად და თავის დროზე განაწილდეს, ვთხოვთ თბილისისა და საქართველოს იმ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომელნიც მომარაგების მხრივ მიმაგრებულნი არიან საქართველოს „სახვაჭრობასთან", აგრეთვე იმ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც განზრახული აქვთ მიიღონ საქონელი საქ. „სახვაჭრობის" საშუალებით, არა უგვიანეს ა. წ. 25 ნოემბრისა წარმოადგინონ თავიანთი დაკვეთები შემდეგ საქონელზე:

I. ლითონის საქონელი რკინა სახურავი, თუთიაშემოკრული, დახარისხებული, მავთული, კალა, თუთია, ბაბიტი, ლურსმანი. მილები წყალსადენის და საკანალიზაციო. წყლის არმატურა, ტყვია. რელსები. კოჭები. შველერები. რკინის კასრები. ხელსაწყოები სადურგლო, სახუროო, სამჭედლო და საზეინკლო. კარ-ფანჯრის რკინეული—ბოქლომები, ფალები, საკეტები, შარნირები, ანჯამები, ხრახნები და სხვ. საზომი ხელსაწყოები: სასწორები, საწონები, მეტრები, რულეტები და სხვ. ცეცხლმქრობები. თოკები.

II. ქიმიკატები საღებავები ანილინის რუსული და უცხოეთის. ლაქები ზეთის და სპირტის. სკიპიდარი. ბურა. თუთიის შაბიამანი. ნიშადური. სოდა კაუსტიური. სათეთრებელი გახეხილი და მშრალი. ოლიფა. გოგირდმჟავა და მარილმჟავა. წებო. კანიფოლი. კოქსი. ანტრაციტი და სხვ. აზბესტი. რეზინის ტეხნიკური ნაწარმები.

III. ხე-ტყის მასალები საშენებელი, საყუთე ნახერხი მასალა და მრგვალი ხე-ტყე. ფანერა.

IV. საშენებელი მასალები და მინა ცემენტი. ასფალტი. გუდრონი. ფანჯრის მინა ბემის და უბრალო. მინების ჩასმის სამუშაოები. სანიტარული ფაიანსი. თიხა. აგური. გაჯი. კირი. შპალერი. მარმარილო მთლიანი და მოზაიკური.

V. სილიკატები და სამეურნეო საქონელი ბოთლები მონოპოლური და კომერციული. ლამპის შუშები. სარკეები. შუშის წვრილი ჭურჭელი. ჭურჭელი რკინის—ემალიანი. საწოლები. ლამპის პატრუქები. ნავთის სამზარეულოები და პრიმუსები მოწყობილობით. ლამპები და სანთურები. ფანრები „დამურა". ლეიბები. დგამი.

VI. სასურსათო და სხ. საქონელი თევზი. შერია. ქერი. შაქარი. საპონი. სანთელი. ჩაი. მაკარონი და ვერმიშელი. ბურღული. ბადაგი. მარილი. კარტოფილის ფქვილი, ქალალდი. მუყაო. ბამბა. ვატინი. ტომრები, ჭილობი და პარკები. ბაწარი.

სპეცტანისამოსი. ტეხნიკური წებნაქსი გარნიტოლი. ბრეზენტები. ნართი. ტყავი—საკერავი და ტეხნიკური. ტყავის ფურნიტურა სპეცფეხსაცმელი.

დაკვეთები საქონლის თვითეულ კატეგორიაზე ცალკე უნდა იქნას წარმოდგენილი.

ნ. 3335 **გამგეობა.**

თბილისის ცირკი
სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან არსებული სრ. საქ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტ. ტელეფონი 8—64.

დღეს, კვირას, 17 ნოემბერს
საგასტროლო წარმოდგენა
სამ დიდ განყოფილებად

საბჭოთა კავშირში და უცხოეთში სახელგანთქმულ მოაზროვნე-მონაგარიშის ა. ხეიფეცის გასტროლები. ფენომენალური მეხსიერება. ცოცხალი საანგარიშო მანქანა. მისი ექსპერიმენტები ობივატელთა თვალში სასწაულს უდრის. აგრეთვე მონაწილეობს 4 **დეიმონტი** და გარდა ამისა 12 რჩეული საცირკო ნომერი

კვირას, 17 ნოემბერს, დიდი წარმოდგენა დღისით.
წარმოდგენის დასაწყისი დღის სრულ 2 საათზე. საღამოს წარმოდგენის საღ. 9 საათზე.

ნ. 3344 3—3 წაიკითხეთ აფიშები. დირექცია.

სარეწავი გადასახადი

საქართველოს ფინსახკომი აუწყებს სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს და კერძო სავაჭრო სამრეწველო საწარმოთა მფლობელთ, რომ საკავშირო მთავრობის დადგენილებით, მიმდინარე წლის პირველ კვარტალისათვის შემოღებულია სარეწავი გადასახადის გადახდის შემდეგი წესი:

1. სახელმწიფო და კოოპერატიული საწარმონი 25 დეკემბერს იხდიან ავანსებს 1929/30 წლის გადასახადის ანგარიშში იმ გადასახადის რაოდენობით, რომელიც გამოანგარიშებული იქნება მიმდინარე წლის სექტემბრის, ოქტომბრის და ნოემბრის ბრუნვიდან.

2. ხსენებულ ავანსების ანგარიშში ჩაითვლება ავანსი (მეორე ავანსი), რომელიც შემოტანილია 15 ოქტომბერს და 15 ნოემბერს (უკანასკნელი ვადა დაწესებული იყო სახელმწიფო სამრეწველო საწარმოოთათვის).

3. კერძო საწარმონი, გარდა 15 ოქტომბერს გადახდილ მეორე ავანსისა, იხდიან 20 ნოემბერს ავანსებს 10 პროც.-ის, რაოდენობით გასულ წელში გამოანგარიშებულ ავანსების მთელი ჯამიდან.

კერძო სექტორის საწარმოთა მფლობელნი, რომლებსაც რაიმე მიზეზისა გამო არა აქვთ მიღებული აღნიშნული ავანსების შესახებ უწყებები, უნდა გამოცხადდნენ ამკრეფ ორგანოებში ასეთების მისაღებად.

ვადის გასვლის შემდეგ ნარჩენები აკრეფილი იქნება საურავის დარიცხვით იძულებითი წესით.

ცნობების მიღება შეიძლება ფინსახკომის საგადასახადო სამმართველოში და პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორებთან.

საქ. ფინსახკომი: **გ. ვაშაძე.**

საგადასახადო სამმარ. უფროსი: **ბეჟირგანიშვილი.**

ნ. 3358

— მიხა ცხაკაიას სახელობის —

ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტი

(ლენინის ქ. № 49)

მკურნალობის ყოველგვარი ფიზიკური მეთოდები: ელექტრონი, ტალახით, წყლით, სინათლით მკურნალობა, მექანოთერაპია, რენტგენო-რადიოთერაპია, ინგალიაცია, რენტგენოდიაგნოსტიკა.

მკურნალობა ამბულატორიული და სტაციონარული.

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე კვირა-უქმე დღეების გარდა დილის 10 საათიდან 1 საათამდე.

შინაგანი (სპეციალურად გულის, ნივთიერებათა ცვლის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების ავადმყოფობანი, რევმატიული დაავადებანი და სხვ.), ნერვიული და ქალთა ავადმყოფობანი.

ავადმყოფების ჩაწერა დილის 9-დან 11 საათამდე.

ფასიანი ავადმყოფების მიღება. მკურნალობის პირობების შესახებ ცნობების გაცემა ინსტიტუტის კანცელარიაში, აგრეთვე წერილობით და ტელეფონით 15—87. ნ. 3303.

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

- პასპორტი თამარ ბიჭაძეს სახელზე. 4266
- პროფკავშირის წიგნაკი № 4143 სიმონ წულუკიძეს სახელზე. 4568
- მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 67948 შაქრო შიოშვილის სახელზე. 4270
- სამხედრო მოწმობა № 60 მიხეილ გელუტაშვილის სახელზე. 4271
- მეისრეთა მოწმობა, გაცემული თბილისის დნ/2-დან სერგო ძიძიგურის სახელზე. 4273
- სასურსათო რკინის გზის ბილეთი № 4365 და მუშკოოპის წიგნაკი გიორგი კერესელიძეს სახელზე. 4277
- 30 მანეთის ქვითარი № 60 „მკერვალი"-ს მიერ გაცემული მ. კოპაძეს სახელზე. 4285
- დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 36 მოსე ბენიამინის-ძე დათიკაშვილის სახელზე. 4286

კინო-აპოლოში
დღეს
სეანსი
დღისით
სურამის ციხე
1 სეანსის დასაწ. 11 ს. 30 წ.
2 „ „ 1 საათზე
მთელი შემოსავალი გადაიდება დასავლეთ საქართველოში მოუსავლიანობით დაზარალებულთა სასარგებლოდ. ნ. 3359

თბილისის მუშკოოპმა
პლეხანოვის პრ. № 102,
გახსნა
„რეზინოტრესტის"
ნაწარმოების
მაღაზია
რომელშიდაც იყიდება:
ავტო-მოტო-ველის შინები, ევედები, სამკლავურები, ყოველნაირი კანცელის და შირის სამეწველო ნაწარმოები, სანიტარიის, სპორტის და ფართო მოთხოვნილების საგნები.
საქონელი იყიდება რეზინოტრესტის ფასებში.
ნ. 3357 გამგეობა.

მათემატიკის მასწავლებელი
ივ. მარაიძე
ამზადებს გერმანულში, რუსულსა და მათემატიკაში
(არითმეტ., ალგებ., გეომეტ., ტრიგონ., სიმწიფ. მოწმ. უმაღლ. სასწავ. მე-9 და მე-10 ჯგუფ. შესასვლელად და ყველა საგნებში 7-წლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ. (ინდუსტ., ქიმ. და ფარმაც.), ვასწორებ სუსტსა და ჩამორჩენილ მოწაფეებს. შესავალი პლეხანოვის პრ. № 25 და ჩერნიშევის ქუჩის კუთხიდან № 5. 9—12 საათ. 4—6 საათ.
8—3 4213

კურსები

ა. წ. 20 ნოემბრიდან საზოგადოება „წერა-კითხვა" ხსნის 8 თვიან

ჭრა-კერვის კურსებს

კურსებზე მიიღებიან პროფკავშირის წევრები და მათი ოჯახის წევრნი **უცოდინარნი შეისწავლიან, როგორც ხელობას, ისე წერა-კითხვას**

უფასოდ

სწავლება ქართულ და რუსულ ენებზე

განცხადებები კურსებზე ჩარიცხვის შესახებ მიიღება 15 დეკემბრამდე. პირობების გაგება საღამოს 5—7 საათამდე ჭავჭავაძის ქ. № 10, კურსების გამგესთან. ნ. 3337 2—2

იყიდება
სახლი ორი ოთახით,
აქვს სამზარეულო, შუშაბანდიანი დერეფანი და სარდაფი.
მისამართი: დიდუბე, ანდრეევის ქ. 110, მე-3 სართული, მე-40 ოთახში. 4247

თანახმად სრულიად საქარ. საბჭ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის და საქარ. სოც. საბჭ. რესპ. სახკომისართა საბჭოს 1923 წლის 15 მარტის № 12 ცირკულიარისა ადმინგანის მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. სერგო სილიბისტროსძე ბაიდიჯკიძ თავისი გვარი გამოიცვალა ახალ გვარზე „გარინ"-ზე.
მმაჩის ბიუროს გამგე
(ხელმოწერილია).
4280

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

კ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პროსპ. № 10 — სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, კანის და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი). ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფ მამაკაცების და ქალების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და საღამოს 4-დან 8 საათამდე. 13—3

ი. პ. მჭედლიშვილი შინაგანი სნეულებანი. სპეციალ. კუჭის და ნაწლავების დაავადებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ავადმყოფ ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქ. (ყოფ. ნაზერეულა) № 7—ვერის ხიდთან. [illegible] № 15—02. 25—13

ზესტაფონი კ. ს. ანანოვი სიფილისი (შეშხაპუნება 914) ვენერიული (სუსუნატი და მისი შედეგები) და კანის სნეულებ. მიღება: 1—2 დღით, საღამოს 6—8 ს., თებერვლის ქ. 130. 25 12

გ. ო. ზანდუკელი შინაგან და ნერვიულ სნეულებათა ელექტროსინათ. სამკურნალო კაბინეტი. იღებს საღამოს 7—8 საათ. ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11. ტელ. 4—82. 25—15

დ. ს. რიჟინაშვილი კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთ მიღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. საღ. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის პრ. კუთხე. ტელ. 10—14. 25—

დ. ლ. თევზაძე ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა. აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-ტერაპიული მეთოდებით მკურნალობა. ძიღება: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ჭონქაძის ქ. № (ყ. გუდოვიჩის) სოლოლაკში. ტელ. 25—73. 25—1

ა. გ. სოლოღაშვილი კბილების მკურნალობა,—რუსთაველის პრ. № 12. 25—

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, მკერდის და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—1

დ. ე. პაპიტაშვილი შინაგანი სნეულებანი, სპეც. კუჭ-ნაწლავების და ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის დაავადებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე 5—7 საათამდე, კრილოვის ქ. № 8. 25—

გ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფების მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 13—

ი. ი. ბერიშვილი ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოე"-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—

პ. ტყეშელაშვილი სიფილ. ვენერიული და კანის სნეულებანი. ბელგიის ქ. № 1, ყოფ. მიხეილის საავადმყოფოს ახლოს, დილით 8—9, საღამოთი 6—8. 25—

ი. გ. ხარებავა-გაჩეჩილაძე კბილის ექიმობა, პლომბები, ყოველი ფორმის ხელოვნური კბილები. სნეულ კბილების ამოღება უმტკივნეულოდ. კლარა ცეტკინის ყ. ელისაბედის) ქუჩა, № 117. 25—

გ. გ. შახნაზაროვი სპეციალურად სიფილისი, „914" შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ნაშუადღევს 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 3 (ყოფ. თუმანოვის ქუჩის კუთხე). 25—

ლოგოპედი ა. ა. პაიჭაური ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132 ტელ. 26—01. 25—1

ტერ-ოვაკიმოვი სპეციალურად ექიმობს სქესობრივ ფუნქციონალურ მოშლილობას (სქესობრივი ბეჩაობა), პსიქოტერაპია. მიღება დილით 9 ნახ. 11 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე. ა.-კ. ფედერაციის ქ. (ყოფ. ველიამი ნოვის) № 22. 25—

ს. ანდრეევა შინაგან ავადმყ. სპეც. სახსრების და ჯირკვლების დაავადება (ტუბერკულიოზი), საღ. 6—7 ს. ელბაქიძის დაღმართი 29, (ცირკის პირდაპირ) ტელ. 11—78.

მ. ორლოვსკაია თვალის ოპერაციები და სათვალეების შერჩევა. ღებულობს დილის 9-დან 12 საათამდე და საღამოს 5-დან 7 საათამდე. ამოს (ყოფ. ქიზნიას) ქუჩა, № 9. 25—5

ი. გაგიჩვაძე ავადმყოფების მიღება სიფილისი, ვენერიული, კანის და საშარდე-სასქესო ორგანოების სნეულებანი. ქალის გონორეა. მიღება 8 საათიდან 10-მდე და საღ. 6-დან 8 საათამდე. პლეხანოვის პრ. 65. 25—

ი. ი. ჭეიშვილი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. იღებს: დილ. 8—9 საათ., საღ. 6—8 საათ., ნაშუად. 4—5 ს. მხოლოდ ქალებს. მისამართი: კამოს ქ. № 72 (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩა. ქალაქის მეორე საავადმყოფოს პირდაპირ. 25—4

გ. ე. ფხალაძე სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება დილით: 7—8 საათ. საღ. 6—8, 5—6 ქალების. მარტის ქ. № 6 (ყ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან აფთიაქთან. 25—

კ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—

ქუთაისი თ. ვ. აკოფაშვილი შინაგანი სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ., № 7 (მე-3 საბჭოთა აფთიაქის გვერდზე).

ალ. მაღალაშვილი საღამოს 5—7 საათამდის, ყორღანოვის ქუჩა № 12. 25—1

ა. დ. კეკელია სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებ. პლეხანოვის პროსპ. № 116, სასტუმრო „ოლ"-ს პირდაპირ. ძიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ. —12—67.

ა. ვადაჭკორია ქალთა ავადმყოფობანი დილის 8 ს.—12 საათამდე, საღამოს 4 ს.—7 საათამდე. ლენინის ქუჩა № 35 (ყოფილი ოლღას). 3219 25—1

მალაევი თვალის ექიმი ღებულობს ავადმყოფ-ბს საღ. 6—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) 47. ტელ. 5—90.

ი. ვ. ხანდამოვი სპეციალურად მკურნალობს სიფილისს, კანის და ვენერიულ ავადმყოფობას. მიღება დილის 2 საათიდან 4 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე. ძნელაძის (ყოფ. მესანგრეთა) ქუჩა, № 35, (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

ი. დ. თოფურიძე იღებს ავადმყოფებს კალინინის ქუჩა (ყოფ. ნიკოლოზის) № 33. სიფილისი, კანის და ვენერიული (სუსუნატით გამოწვეული გართულებები). დილის 7 საათიდან 8 საათამდე. დღით ქალები და ბავშვები 3—5 საათამდის, მამაკაცები 5—8 საათამდის. 25—1

ნ. გ. გეგეჭკორი შინაგანი სნეულებანი; სპეციალ. ფილტვების დაავადებანი. ავადმყოფების მიღება 6—7 საათამდე. პეროვსკის ქუჩა (ყოფ. ანასტასიევის) 7. ტელეფონი 20—33.